საქართველო

შპს "გეოსტანდარტი"

ნატანების ჰესი III მდ.ნატანებზე

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები

ტექნიკური ანგარიში

GS-A20

თბილისი 2019

საქართველო

შპს „გეოსტანდარტი“

ნატანების ჰესი III მდ. ნატანებზე

საინჟინრო–გეოლოგიური კვლევები

ტექნიკური ანგარიში
GS-ა20

დირექტორი დავით გოგოლაშვილი

თბილისი 2019

სარჩევი

შ ე ს ა ვ ა ლ ი 3

1. საკვლევი რაიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება 6
   1.1. კლიმატი 6
   1.2. გეომორფოლოგიური პირობები 7

2. გეოლოგიური პირობები 10
   2.1. გეოლოგიური აგებულება 10
   2.2. საშიში გეოლოგიური პროცესები 20
   2.3. ტექტონიკა და სეისმურობა 23

3. ჰიდროგეოლოგიური პირობები 25

4. საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შეფასება (სპეციალური ნაწილი) ... 28
   4.1. გეომორფოლოგიური თავისებურებანი 28
   4.2. გეოლოგიური აგებულება და ქანების ფიზიკურ-მექანიკური (გეოტექნიკური) მახასიათებლები 28
   4.3. ჰიდროკვანძში შემავალ ნაგებობათა საინჟინრო-გეოლოგიური პირობები 42
      4.3.1. ტიროლის ტიპის წყალშემკრები კაშხალი, პერიოდული რეცხვის სალექარი და სადაწნეო აუზი 43
      4.3.2. სადაწნეო სადერივაციო მილსადენი 45
      4.3.3. ჰესის შენობა (საგენერატორო) და გამყვანი არხი 56

5. მდ. ნატანების ხეობაში ნატანების ჰესი III ჰიდროკვანძის საპროექტო უბანზე გეოფიზიკური კვლევების ანგარიში (სეისმური პროფილები) 60

6. მდ. ნატანების ხეობაში ნატანების ჰესი III საპროექტო ტერიტორიის სეისმური საშიშროების შეფასება 82

7. სამშენებლო მასალები 89

8. დასკვნები და რეკომენდაციები 99

გამოყენებული ლიტერატურა 106

ტექსტური დანართები 108

დანართი-1. ქანის ნიმუშების პეტროგრაფიული აღწერა
დანართი-2. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები
დანართი-3. გრუნტების შედგენილობის ლაბორატორიული კვლევა
დანართი-4. გრუნტების და გრუნტის წყლების ქიმიური ანალიზი და აგრესიულობა
დანართი-5. გეოფიზიკური კვლევის შედეგები (ვეზ-ები)
დანართი-6. გეოლოგიური გამონამუშევრები: ჭაბურღილები N1-3; შურფები N1-11
დანართი-7. კლდოვანი ქანების ნაჩენების დეტალური გეომექანიკური აღწერა
დანართი-8. ფოტოდოკუმენტაცია
დანართი-9. ტექნიკური დავალება

გრაფიკული ნაწილი

1.საკვლევი რაიონის გეოლოგიური რუკა, მ. 1:25000, ნახ. №GS-1
2. საკვლევი რაიონის საინჟინრო-გეოლოგიური რუკა, მ.1:2000, ნახ. №GS-2, ფურც.1-3
3. სათავე კვანძი, გეოლოგიური ჭრილები 1-1, 2-2, 3-3, მ.1:500, ნახ. №GS-3
4. ჰესის შენობა და გამყვანი არხი, გეოლოგიური ჭრილები 10-10, 11-11 და 12-12, მ.1:1500, ნახ. №GS-4
5. სადაწნეო სადერივაციო მილსადენი, გრძივი გეოლოგიური ჭრილი; მ.1:2000/500, ნახ. №GS-5
6. სადაწნეო სადერივაციო მილსადენი, განივი გეოლოგიური ჭრილები 6-6, 7-7, 8-8, 9-9, 10-10; მ.1:2000/500, ნახ. №GS-6

შესავალი

ადმინისტრაციული დაყოფის მხრივ გურიის რეგიონი მოიცავს ოზურგეთის, ლანჩხუთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებს, რომელთა ფართობი შეადგენს 2032 კმ^2-ს.

საკვლევი ტერიტორია მდებარეობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში და მოიცავს მდ.ნატანების აუზის ნაწილს, სოფ. ვაკიჯვრიდან (400 მ.აბს.ნიშ.) მდ.ნატანების კალაპოტის 650 მ. აბს. ნიშნულის მიმდებარე ტერიტორიამდე, სადაც უნდა განთავსდეს სათავე კვანძის ნაგებობები, ანუ საპროექტო ნატანების ჰესი II საგენერატორო შენობამდე **(იხ. საკვლევი რაიონის მიმოხილვითი რუკა).**

მდ. ნატანებზე დასაპროექტებელი **ნატანების ჰესი III** ჰიდროკვანძის განთავსების ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური შესწავლის მიზნით, **შპს „უნივერსალ ენერჯი ქორფორეიშნ“**-თან გაფორმებული სანარდო ხელშეკრულების **(N28/06/2019 წელი)** და მათ მიერ გაცემული ტექნიკური დავალების თანახმად (იხ. დანართი-9), შესრულდა **შპს „გეოსტანდარტი“**-ს მიერ, ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების, სამშენებლო ნორმების და წესების სრული დაცვით.

განსახორციელებელი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების პროგრამა მოიცავდა კამერალური და საველე სამუშაოების შესრულებას, რომლის მიზანს წარმოადგენდა მდ. ნატანებზე გათვალისწინებული ნატანების ჰესი III პროექტირებასთან დაკავშირებით საკვლევი რაიონის საინჟინრო-გეოლოგიური თავისებურებების შესწავლას:

- მოძიებული და გადამუშავებული იქნა საფონდო ლიტერატურა და გეოლოგიური მასალა;
- საველე კვლევებით შესწავლილი იქნა მდ.ნატანებზე ნატანების ჰესი III საპროექტო ჰიდროკვანძში შემავალ ნაგებობათა განთავსების ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები - შესრულდა გეოლოგიური რეკოგნოსცირება და აგეგმვა, ასევე განხორციელდა საველე გეოფიზიკური კვლევები სათავე კვანძის, ჰესის შენობის და სადაწნეო სადერივაციო მილადენის განლაგების უბნებზე, როგორც ვერტიკალური ელექტრო ზონდირების - 9 სვეტი, ასევე გარდატეხილი ტალღების მეთოდებით - 7 სეისმური პროფილი - 2 სათავეზე, 2 საგენერატორეზე (პირველი ვარიანტი) და 3 სადერივაციო მილსადენზე ;
- საპროექტო ტერიტორიისთვის განხორციელდა სეისმური საშიშროების შეფასება;
- გაყვანილი იქნა სამთო გამონამუშევრები - 11 შურფი (ორი სათავე კვანძზე, ორი ჰესის ჰენობაზე - პირველი ვარიანტი, ორი ჰესის შენობაზე - მეორე ვარიანტი და ხუთი სადერივაციო ტრასაზე, ჯამური სიღრმით 25.1 გრძ.მეტრი;

- ჰესის შენობაზე (პირველი ვარიანტი) გაყვანილი იქნა 3 ჭაბურღილი, ჯამური სიღრმით 46.0 გრძ. მეტრი;
- საველე კვლევების პროცესში გამოვლენილი და შესწავლილი იქნა თანამედროვე საშიში გეოლოგიური პროცესები;
- ლაბორატორიული კვლევებისთვის გაშიშვლებებიდან აღებული იქნა კლდოვანი ქანების ნიმუშები, როგორც ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესასწავლად, ასევე პეტროგრაფიული ანალიზისთვის, ხოლო მდინარიდან აღებული წყლის სინჯები ქიმიზმისა და აგრესიულობის განსასაზღვრად;
- შესრულდა კლდოვანი ქანების ნაპრალიანობის შესწავლა (დეტალური გეომექანიკური დახასიათება);
- განხორციელდა საკვლევი ტერიტორიის GPS-ით დაკოორდინატება და ფოტოილუსტრირება;
- მოძიებული და შესწავლილი იქნა სამშენებლო მასალების საბადოები;
- შედგენილი იქნა შემაჯამებელი ტექნიკური ანგარიში.

ადრეულ პერიოდში განხორციელებულ კვლევებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებდა ანალოგიური ტიპის ჰიდროკვანძის მოწყობას მდ. ნატანების ხეობის შესაბამის უბანზე, გეოლოგიური აგებგმვის, ლაბორატორიული და გეოფიზიკური კვლევების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ ტერიტორიაზე გამოყოფილი იქნა სხვადასხვა ტიპის და სიმძლავრის გრუნტები, რომლებიც დაყოფილი იქნა შესაბამის საინჟინრო-გეოლოგიურ ელემენტებად.

წინამდებარე გეოლოგიური კვლევების შემაჯამებელი ტექნიკური ანგარიშის შედგენა, რომელიც დამატებით ითვალისწინებდა სხვადასხვა მკვლევარების მიერ წინა წლებში შესრულებული ძიების შედეგებს, განხორციელდა შპს ,,გეოსტანდარტი“-ს მიერ (დირექტორი დავით გოგოლაშვილი), რომელსაც ხელმძღვანელობა გაუწია მთავარმა ინჟინერმა, ინჟინერ-გეოლოგმა და ექსპერტმა საინჟინრო-გეოლოგიის საკითხებში ლევან ქებულაძემ. კვლევებში გამოყენებული იქნა ადრეულ პერიოდში ,,ჰიდროპროექტი“-ს და შპს ,,გეოინჟინირინგი“-ს მიერ შესრულებული კვლევების შედეგები, ხოლო შემაჯამებელი გრაფიკული მასალა კომპიუტერულად დაამუშავა ინჟინერ-გრაფიკოსმა ირაკლი ქებულაძემ.


1:54,836
საკვლევი რაიონის მიმოხილვითი რუკა
საკვლევი უბანი
262000
263000
264000
265000
266000
267000
268000
269000
270000
271000
272000
273000
274000
275000
276000
277000
4646000
4645000
4644000
4643000
4642000
4641000
4640000
4639000
4638000
4637000
Вакиджвари
1255.8
1830.6
-2242
ХРЕБЕТ САНАТОРИЯ

1. საკვლევი რაიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება

1.1. კლიმატი

საკვლევი რეგიონის ჰავის დასახასიათებლად გამოყენებულია "ლანჩხუთის" და "ანასეულის" მეტეოსადგურებიდან აღებული ატმოსფერული ნალექების, ჰაერის ტემპერატურის და შეფარდებითი სინოტივის მონაცემები.

გურიის რეგიონი, როგორც დასავლეთ საქართველოს შემადგენელი ნაწილი ხასიათდება ჰაერის მაღალი სინოტივით, ნალექების დიდი რაოდენობით და შედარებით რბილი ზამთრით. ქარებს გააჩნიათ სეზონური ხასიათი: ზამთარში გაბატონებულია მშრალი, ხოლო ზაფხულში დასავლეთის ნოტიო ქარები.

რეგიონი ხასიათდება უხვი, ფრონტალური და ხანგრძლივი ნალექებით, რომელთა წლიური ჯამი საშუალოდ 1700-2300 მმ-ია.

ვერტიკალური ზონალობის მიხედვით რეგიონის ტერიტორიაზე გამოიყოფა ჰავის 3 ტიპი:

1. ნოტიო ჰავა, თბილი ზამთრით და ცხელი ზაფხულით. აქ ჰაერის ტემპერატურა იანვარში 4-7^0-ს, ხოლო ივლისში 22-24^0-ს შორის ცვალებადობს. წლის განმავლობაში მოდის 1400-3000 მმ ნალექი. ყველაზე უხვნალექიანია სექტემბერი და დეკემბერი, ხოლო მცირე ნალექიანი მაისი. დანესტიანების კოეფიციენტი 3-5-ის ტოლია;
2. ნოტიო ჰავა, თბილი ზამთრით და გრილი ზაფხულით. ამ ზონაში ჰაერის ტემპერატურა იანვარში 3-0^0-ია, ივლისში 20–30^0-ის ფარგლებში იცვლება. ნალექების რაოდენობა წლის განმავლობაში 2000-3000 მმ-ია. ყველაზე უხვნალექიანი აგვისტო-სექტემბერია, მცირენალექიანი აპრილ-მაისი. დანესტიანების კოეფიციენტი 3-4-ის ტოლია;
3. ნოტიო ჰავა, ცივი ზამთრით და ხანმოკლე ზაფხულით. აქ ჰაერის ტემპერატურა იანვარში -1-6^0-ია, ხოლო ივლისში 13-20^0. წლის განმავლობაში მოსული ნალექების რაოდენობა 1200-2000 მმ-ის ფარგლებშია. ნალექების მაქსიმუმი უწევს ნოემბერში, ხოლო მინიმუმი - იავარში. დანესტიანების კოეფიციენტი 2-3-ის ტოლია.

თოვლის საფარის ხანგრძლივობა ზღვის სანაპირო დაბლობ ზონაში შეადგენს 30-35 დღეს, გორაკ-ბორცვიან ზონაში 50-60 დღეს, ხოლო მთაში 70-150 დღეს. ზღვის დონიდან 2000 მეტრ სიმაღლეზე თოვლის საბურველი ჩნდება ოქტომბერში, ხოლო სანაპირო ზოლში იანვრის პირველ დეკადაში და მისი სიმაღლე შეადგენს 2-10 სმ-ს. მეტეოსადგურ "ბახმაროს" მონაცემებით, თოვლის საბურველის საშუალო სიმაღლე 2,5 მეტრია, ხოლო მაქსიმალური სიმაღლე 516 სმ-ს აღწევს.

რეგიონში ყველაზე მეტი დღეღამური ნალექი - 352 მმ, აღნიშნულია 1943 წელს, სოფ.ჯურყვეთში და ასევე ლანჩხუთში. ეს მონაცემები სარეკორდოა საქართველოსთვის.

უხვი ნალექების მოსვლა, სექტემბრის და მარტის თვეებში, შედარებით გვალვიანი პერიოდის შემდგომ, იწვევს ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ინტენსიურ გაუარესებას, რაც უარყოფითად მოქმედებს ფერდობების მდგრადობაზე, ხოლო მაღალი ტემპერატურა, უხვი ნალექის თანხლებით ხელს უწყობს ქიმიურ გამოფიტვას.

უხვი ატმოსფერული ნალექები ზრდიან დროებითი ზედაპირული ნაკადების წარმოშობის პროცესს, რომლებიც ააქტიურებენ ეროზიული და ღვარცოფული პროცესების მიმდინარეობას.

ინფილტრაციული ზონალური და ზედაპირული წყლების მკვეთრი ზრდა ხელს უწყობს ფერდობის მდგრადობისთვის უჩვეულო პირობების შექმნას. ეს წყლები ქანების წონის გაზრდის და ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დაქვეითების გარდა, იწვევს მიწისქვეშა წყლების რაოდენობის ზრდას, რაც კვების და განტვირთვის ზონების მაღალი ნიშნულების და მოკლე ფერდობების პირობებში, იწვევს ჰიდროდინამიკური წნევის წარმოშობას.

1.2 გეომორფოლოგიური პირობები

გურიის რეგიონის ტერიტორია მოქცეულია ამიერკავკასიის მთათაშორისი ქვაბულის და სამხრეთ სქართველოს მთიანეთის რეგიონის ფარგლებში. საკვლევ რაიონში ზედაპირის ჰიფსომეტრიული აბსოლუტური ნიშუნულები მერყეობს 500 - დან 2000 მეტრამდე.

აჭარ-იმერეთის ჩრდილო ფერდობის რაიონის ფიზიკურ–გეოგრაფიული თავისებურება მდგომარეობს საშუალო მთიან ეროზიულ რელიეფში, ლოკალური ძველი გამყინვარების ნიშნებით და უხვი ატმოსფერული განესტიანებით (განსაკუთრებით დასავლეთ ნაწილში).

აჭარა იმერეთის მთავარი წყალგამყოფი თხემი მდ. საქვისთავიდან ჯერ ჩრდილო–აღმოსავლეთისაკენ მიემართება მდ. ხინოსაკენ შემდეგ კი განედურ მიმართულებას ღებულობს, რომელსაც ბოლომდე (ბორჯომის ხეობამდე) ინარჩუნებს. თხემის პროფილი ძირითადად ტალღობრივია – მცირე სიმაღლებრივი სხვაობაა მწვერვალებსა და უნაგირებს შორის. მხოლოდ ცალკეული მასივები ატარებს კლდოვანი პირამიდების ხასიათს. უმაღლესი მასივების ჩრდილო კალთებზე შეიმჩნევა მეოთხეული სუსტი გამყინვარების კვალი. უმთავრესად კარების სახით, რომლებიც ტყიანი სარტყელის ზედა საზღვარზე ბევრად მაღლაა განლაგებული. ქედის ჩრდილო ფერდობი დაღარულია კოლხეთის დაბლობში და შავ ზღვაში ჩამავალ მდინარეთა (მათ შორის მდინარე ნატანები) ზემო წელის საშუალო მთიური, ზოგჯერ კლდეკარისებრი ხეობებით. ეს ხეობები უფრო ხშირად სამხრეთ–აღმოსავლეთიდან ჩრდილო–დასავლეთისკენაა ორიენტირებული ნაოჭთა ზოლის მართობულად. ხეობათა გვერდები ბევრგან ძლიერ ციცაბოა და 1000 მ–საც აღწევს, სუსტადაა გამოხატული ხეობების განსაკუთრებით შევიწროებული მონაკვეთები.

დეტალური გეომორფოლოგიური დაყოფა შესრულებულია ჰიფსომეტრიული მდებარეობის, ლითოლოგიის და ტექტონიკური აგებულების საფუძველზე, რის შედეგად, გურიაში გამოყოფილია ოლქები, ხოლო გეოლოგიური მოვლენების სახეების და რელიეფის მიკროფორმების მიხედვით, შესაძლებელი გახდა გეომორფოლოგიური რაიონების გამოყოფა.

დაბალი და საშუალომთიანი ტექტოგენურ-ეროზიული რელიეფი განვითარებულია პალეოგენის ეოცენური ასაკის ვულკანურ-დანალექი ქანებისგან აგებულ ნაოჭა სტრუქტურებზე.

სუბსტრატი წარმოდგენილია მასიური და ტლანქშრეებრივი ტუფებით, ტუფობრექჩიებით, ტუფოკონგლომერატებით, ტუფოქვიშაქვებით და არგილიტებით. ხშირად გვხვდება ანდეზიტების საფარი, ადგილ-ადგილ კი სიენიტ-დიორიტების ინტრუზიული მასივები, სადაც ფერდობები ხშირად ვერტიკალური ქარაფების (სიმაღლით 30-50მ) სახით ეშვებიან ხეობებში. რაიონის მთელი ფართობი დანაწევრებულია 80-%-მდე.

უხვი ნალექები ხელს უწყობს ხშირი ჰიდროგრაფიული ქსელის განვითარებას. მათ ახასიათებთ ვიწრო და ღრმა, ძირითადად V-ს მაგვარი ფორმის ხეობები, რომლებიც ადგილ-ადგილ გადადიან ვიწრობებში. ეროზიული ჩაჭრის სიღრმე ძირითადად იცვლება 150 -200-დან 300 მეტრამდე (ზოგან მეტიც).

გურიის რეგიონი მდიდარია ჰიდროგრაფიული ქსელით. ძირითადი წყლოვანი არტერიებია მდ.მდ.სუფსა, გუბაზეული, ბახვისწყალი, ნატანები, ხევისწყალი, ბჟუჟი და სხვა მრავალი მათი შენაკადი. ძირითად მდინარეთა ხეობების მიმართულება განედური და სუბგანედურია, რომლებიც ზოგიერთ მონაკვეთზე გადადიან სუბმერიდიანულში **(სურ.1).**

სურ.1

მდინარეების კვება ხორციელდება, როგორც ნადნობი წყლით (სუფსის და ნატანების აუზები)-45-60%, ასევე მიწისქვეშა წყლებით, არაუმეტეს 20-25 %-სა.

გურიის მდინარეებს ახასიათებთ პერიოდული წყალმოვარდნითი რეჟიმი. უმაღლესი წყალდიდობები დაფიქსირებულია შუა მარტიდან ივნისის ბოლომდე და ასევე შემოდგომაზე.

მდინარეთა გასწვრივ, პროფილი ხშირად ტეხილია. ამ რაიონის ხეობებისთვის ასევე დამახასიათებელია ხშირი ჩანჩქერები, ქვაბები და ღარები.

აჭარა-იმერეთის ქედის ჩრდილო ფერდობის განშტოების გაბატონებული მიმართულებები ჩრდილო-დასავლურია, რაც ემთხვევა ძირითადი მდინარეების დინების

მიმართულებას. განშტოების კონფიგურაცია რთულია, ფერდობების დახრა 30^0-დან 50^0-მდე მერყეობს. ხშირად ფერდობები დანაწევრებულია ხრამებით და ხეობებით.
გეომორფოლოგიური თვალსაზრისით რეგიონში გამოიყოფა შემდეგი ერთეულები:

ა) დაბალმთიან, ტექტოგენურ-ეროზიული რელიეფი, დაფუძნებული ვულკანოგენურ-დანალექი ქანებისგან აგებულ ნაოჭა სტრუქტურებზე;

ბ) გორაკ-ბორცვიანი მთისწინეთის, ტექტოგენურ-ეროზიული რელიეფი, დაფუძნებულია მესამეული ასაკის, ტერიგენული და მოლასური ნალექებით აგებულ სუბსტრატზე;

გ) კოლხეთის აკუმულაციური დაბლობი, აგებული მეოთხეული ასაკის ზღვიური და კონტინენტური ნალექებისგან.

მდინარე ნატანების ხეობის გეომორფოლოგია

მდინარე ნატანები სათავეს იღებს აჭარა–იმერეთის ქედის ჩრდილო კალთაზე 2560 მეტრ სიმაღლეზე და შავ ზღვას ერთვის სოფელ შეკვეთილთან. წყალშემკრები აუზი განლაგებულია აჭარა-იმერეთის ქედის ჩრდილო ფერდობის დასავლეთ ნაწილში და შემოსაზღვრულია მდ. სუფსის წყალშემკრები აუზით ჩრდილოეთის მხრიდან და მდ. კინტრიშის წყალშემკრები აუზით სამხრეთის მხრიდან. აუზის ფორმა ასიმეტრიულია, სიგრძით 63 კმ. სიგანით 22 კმ. აუზის საშუალო სიმაღლე შეადგენს 830 მ-ს.

აუზის ზედა ნაწილი მთიანი ხასიათისაა. მაღალ სიმაღლეებზე განლაგებული მოვაკებული ზედაპირებით და მრავალრიცხოვანი შენაკადების ღრმად ჩაჭრილი ხევებითა და ხეობებით. აჭარა-იმერეთის წყალგამყოფი ქედის თხემური ხაზი მაღალ სიმაღლეებზეა განლაგებული. ქედები მკვეთრად დაქანებულია მდინარის ხეობისკენ ზ.დ 400-600 მ-მდე. ფერდობების მნიშვნელოვანი დაქანება განაპირობებს მდ. ნატანების და მისი შენაკადების მაღალ ვარდნას და მღვრიე დინებას **(სურ.2).**

სურ.2

სოფელ ვაკიჯვარის ქვემოთ მდინარე მიედინება ნატანების მთისწინა ქვაბულში, რომელსაც გააჩნია დაჭაობებული ზედაპირი. მდინარის ხეობა მის მთელ სიგრძეზე იცვლის ფორმას, რომლის სიგანე აღწევს 250 მ–დან 1,5 კმ–დე. ტრასები კარგად არიან გამოხატული, გაუყვებიან მდინარის ორივე ნაპირს და მათი სიგანე შეადგენს 100–400 მ–ს, საფეხურების სიმაღლით 2,5–5 მეტრი და სწორი ზედაპირული ფორმებით.

2. გეოლოგიური პირობები

2.1 გეოლოგიური აგებულება

საკვლევი რაიონის ტერიტორია გეოლოგიურად აგებულია პალეოგენის შუა ეოცენური ასაკის ვულკანოგენური და ვულკანოგენურ-დანალექი ქანებით, რომლებიც შედგენილობის, მორფოლოგიური ფორმების, დანალექი და ვულკანოგენურ-დანალექი მასალის ხარისხის, მინერალური შედგენილობის და სხვა ნიშნების მიხედვით დაყოფილია ორ წყებად, რამოდენიმე ქვეწყებად და დასტად. კერძოდ (ქვევიდან ზევით): 1. ნაღვარევის და 2. ჭიდილას წყება. ამ უკანასკნელში გამოყოფენ შემდეგ ქვეწყებებს: გადრეკილის, ბახმაროს, ნაფოცხვარას და გურიის **(იხ. ნახ. № GS-1).**

საკვლევი ტერიტორია მოიცავს მდ. ნატანების ხეობას სოფ.ვაკიჯვარიდან დინების საწინააღმდეგო მიმართულებით მდ. ნატანების კალაპოტის 650 მ. აბს. ნიშნულის მიდამოებამდე, სადაც შიშვლდებიან ჭიდილას წყების ნაფოცხვარას და გურიის ქვეწყებები.

ნაფოცხვარას ქვეწყებაში **(P_2^2np)** გამოყოფილია ზედა, შუა და ქვედა დასტები. საკვლევ ტერიტორიაზე შიშვლდება მხოლოდ ზედა დასტა.

ნაფოცხვარის ქვეწყების ზედა დასტა **($P_2^2np_3$)** თანხმობით აგრძელებს შუა დასტის ოლივინიან ბაზალტებს და ტრაქიბაზალტებს. ის შიშვლდება მდ.აჭისწყლის და მისი შენაკადების ხეობებში, ასევე საშვალის ანტიკლინის ფრთებში, მდ. ნატანების ხეობასა და ბახმაროს სინკლინალის ჩრდილო ფრთაში.

დასტა წარმოდგენილია მასიური ვულკანური ბრექჩიებით, ასევე მასიური და ბრექჩიული ლავური განფენით, რომელშიც გვხვდება რქატყუარიანი ბაზალტის ჩანართები, სადაც პორფირულ გამონაყოფებს წარმოადგენს პიროქსენი და რქატყუარა. აღმოსავლეთ ნაწილში დაფიქსირებულია ანალოგიური შედგენილობის თხელშრეებრივი ტუფების დასტა. დასავლეთით წვრილნატეხოვანი პიროკლასტიკა თითქმის მთლიანად ქრება და მას ანაცვლებს მასიური და მსხვილნატეხოვანი პიროკლასტური განფენი.

ანალოგიური ჭრილი გვხდება ბახმარო-ხიდისთავის გზაზე და ცხრაწყაროს უღელტეხილთან. აქ ჩრდილო ფრთაში გვხდება მცირე ნაოჭა სტრუქტურები, სადაც გამოყოფილია შემდეგი ქანები (აღმავალ ჭრილში):

1. ვულკანური ბრექჩია, რქატყუარიანი ბაზალტებით. ეფუზიური ნამსხვრევები შეადგენს მთლიანი მასის 40-60%-ს, რომელთა ზომები მერყეობს 5-50 სმ-ის ფარგლებში. ისინი აგებულია ძლიერ შეცვლილი რქატყუარიანი ბაზალტებით, ოლივინიანი და უოლივინო ბაზალტებით. ძირითადი მასა წარმოდგენილია ძლიერ შეცვლილი საშუალონატეხოვანი ტუფებით. სიმძლავრე 350 მ.


რაიონის გეოლოგიური რუკა
მასშტაბი 1:25000
4644000
268000
4642000
270000
4640000
256000
264000
4636000
N
P₂³gr₂
P₂³gr₁
P₂³np₃
P₂³np₁
სოფ.ვაკიჯვარი
სადაწნეო სადენივაცილო მილსადენი
ჯემის შენობა
pbeξP₂³
სამაგე კვანძი
4642000
264000
4640000
266000
4638000
268000
პირობითი აღნიშვნები
P₂³gr₂ ბურჯის ქვიშქვება, ზედა ღასტა, ტუფობრექჩიები, ლავური ბრექჩიები და ანდეზიტები
P₂³gr₁ ბურჯის ქვიშქვება, ქვედა ღასტა, ოლივინიანი ბაზალტები, ფელსანური ბრექჩიები და ტრაქიტები
P₂³np₁ ნაფიროხმარას ქვიშქვება, ზედა ღასტა, ბაზალტები, ტუფები და ფელსანური ბრექჩიები
pbeξP₂³ ინტრუზივები, პიროქსენ-ბიოტიტიანი და ბიოტიტიანი ტუტე სიენიტები
ანტიკლინი
ტექტონიკური რღვევა

ნახ. № GS-1

2. მწვანე ფერის მსხვილნატეხოვანი ბაზალტური შედგენილობის ტუფებით. სიმძლავრე 5 მ.

3. რქატყუარიანი ბაზალტების ბრექჩიული ლავები. ნატეხები წარმოდგენილია რქატყუარიანი ბაზალტებით და ძლიერ შეცვლილი ოლივინიანი ბაზალტებით. ნატეხების ზომა მერყეობს 5-15 სმ-ის ფარგლებში. სიმძლავრე 5 მ.

4. ღია ფერის მსხვილნატეხოვანი, სქელშრეებრივი ბაზალტური შედგენილობის ტუფები. რქატყუარიანი ბაზალტების ცალკეული ნატეხები 0.5-1 მ ზომისაა. სიმძლავრე 38-40 მ.

გურიის ქვეწყებაში **(P_2^2gr)** გამოიყოფა ორი დასტა: ქვედა და ზედა.

გურიის ქვეწყების ქვედა დასტის **($P_2^2gr_1$)** მასიური ვულკანური ბრექჩიები დასავლეთით წარმოდგენილია რქატყუარიანი ბაზალტების განფენებით (მდ. ბჟუჟის ხეობა მთლიანად ამ ქანებით არის აგებული), რომლებიც იკვეთება მრავალრიცხოვანი ესექსიტ-დიაბაზური და შონკინიტური აგებულების ძარღვებით და დაიკებით.

გურიის ქვეწყება შიშვლდება მდ. სუფსის ხეობის მარჯვენა ფერდზე, მდ. აჭისწყლამდე და დასავლეთით, შავ ზღვამდე. ასევე მისი გამოსავლები გვხდება ბახმაროს სინკლინალში, მდ.ნატანების ხეობასა და საშუალის ანტიკლინის ჩრდილო ფრთაში.

პეტროგენეტული ასოციაციის და ეფუზიურ-პიროკლასტური წარმონაქმნების ურთიერთდამოკიდებულების მიხედვით გამოყოფილია ორი დასტა: ზედა და ქვედა.
ქვედა დასტა თანხმობით ადევს ნაფოცხვარის ქვეწყებას, საზღვარზე გვხდება ტუტე მასიური ვულკანური ბრექჩიები, სხვადასხვანატეხოვანი შრეებრივი ტუფები, ლეიციტური ტეფრიტები და ბაზალტები, ბიოტიტიანი და ბიოტიტ-ეგირინიანი ტრაქიტებიდა ტრაქიანდეზიტები.

მდინარეების აჭისწყლის და აკი-დაკვას ხეობებში დომინირებს ტრაქიბაზალტური ლავები და პიროკლასტოლითები. აღმოსავლეთით, მდ. ბჟუჟის და მდ.ნატანების ხეობებში შიშვლდება ვაკიჯვრის ინტრუზივის ჯგუფის სიენიტები. გვხდება ასევე მასიური და ბრექჩიული ლავური განფენები, მასიური ვულკანური ბრექჩიები და ტრაქიტული შედგენილობის ტუფები, პემზიანი და ფერფლის ტრაქიტული ტუფები.

აღმოსავლეთ ნაწილში, დასტის შედგენილობა მკვეთრად იცვლება. მდ.მდ. საშვალის, კალაშას, გუბაზეულის და სუფსის ხეობებში გვხდება მასიური ვულკანური ბრექჩიები, ლაპილური საშუალო და წვრილნატეხოვანი ლეიციტური ტეფრიტული ტუფები, ბაზანიტები, სანიდინიანი ბაზალტები, ოლივინიანი ტრაქიბაზალტები, ოლივინიანი კალიბაზალტები და ბიოტიტიანი ტრაქიტები, იშვიათად ოლივინიანი ბაზალტური შედგენილობის ლიმბურგიტები.

ქვემოთ მოყვანილია ჭრილი, აღწერილი მდ. ცხაკაურას ხეობაში საშუალის ანტიკლინის ჩრდილო ფრთაში (ქვემოდან ზემოთ):

1. ტრაქიტული ვულკანური ლოდბრექჩიები. ლოდები და ნატეხები წარმოდგენილია მანდელშტეინური ტრაქიბაზალტებით, ზომებით 15-30 სმ. ასევე გვხდება უფრო მსხვილი ნატეხები. ძირითადი მასა წარმოდგენილია მსხვილ და - საშუალომარცვლოვანი ლეიციტური ტეფრიტული ტუფებით. სიმძლავრე 80 მ.

2. შერეული შედგენილობის მასიური ვულკანური ბრექჩიები. ნატეხები წარმოდგენილია ბიოტიტიანი ტრაქიტებით, ძლიერ შეცვლილი რქატყუარიანი ბაზალტებით და ანდეზიტებით. ნატეხების ზომა მერყეობს 5-15 სმ-ის ფარგლებში. გვხდება 20-50 სმ ზომის ნატეხებიც, რომლებიც ქანის მოცულობის 50-75%-ს შეადგენს. ძირითადი მასა წარმოდგენილია მსხვილ და -საშუალომარცვლოვანი ლეიციტური ტეფრიტული ტუფებით. სიმძლავრე 12 მ.
3. ანალოგიური დასტა, სიმძლავრით 7 მ.
4. წვრილნატეხოვანი, მომწვანო-რუხი ფერის, ლოდნარული შედგენილობის, შრეებრივი ტუფები. სიმძლავრე 2 მ.
5. დასტა 1-ის, ანალოგიური. სიმძლავრე 5 მ.
6. დასტა 2-ის, ანალოგიური. სიმძლავრე 11 მ.
7. ბიოტიტიანი ტრაქიტებით აგებული ვულკანური ბრექჩია. ნატეხების ზომა 20 სმ, რომელიც ბიოტიტიანი ტრაქიტებით არის წარმოდგენილი. გვხდება ლეიციტიანი ტრაქიტებიც. ძირითადი მასა იგივეა. სიმძლავრე 38 მ.
8. ბაზალტური შედგენილობის, სქელშრეებრივი, საშუალონატეხოვანი ტუფები. სიმძლავრე 7 მ.
9. მომწვანო-რუხი ფერის, წვრილ და -საშუალონატეხოვანი თხელშრეებრივი ტუფების და მწვანე ფერის მსხვილნატეხოვანი სქელშრეებრივი ტუფების მორიგეობა. ტუფები შედგენილობით პასუხობს ბაზალტებს. ნატეხების წომა მერყეობს 5-15 სმ-ს შორის. ასევე გვხდება წვრილფორიანი აფანიტური ტრაქიბაზალტები. სიმძლავრე 32 მ.
10. მასიური ბრექჩიული ლავური ნაკადების მორიგეობა. აგებულია მომწვანო-მოყვითალო ფერის მსხვილნატეხოვანი ბაზალტური შედგენილობის ტეფრიტებით. სიმძლავრე 21 მ.
11. ოლივინიანი ბაზალტების აგლომერატული ლავები. ნატეხები წარმოდგენილია ლეიციტიანი ტეფრიტებით, ლეიციტიანი ბაზანიტებით, რქატყუარიანი ბაზალტებით, ოლივინიანი ბაზალტებით და ტრაქიბაზალტებით. ნატეხების ზომები მერყეობს 3-15 სმ-ის ფარგლებში. ზედა ნაწილში გვხდება 30 სმ და უფრო დიდი ზომის ნატეხები. ისინი ქანის მთლიანი მოცულობის 40%-ს იკავებენ. სიმძლავრე 33 მ.
12. ტრაქიბაზალტური ბალიშა ლავების და საშუალონატეხოვანი მოყვითალო-მომწვანო ფერის ბაზალტური შედგენილობის ტეფრიტების მორიგეობა. სიმძლავრე 43 მ.
13. მომწვანო-რუხი ფერის სქელშრეებრივი, მსხვილნატეხოვანი ლეიციტური ტეფრიტული ტუფები, ძლიერ ფორიანი ლეიციტური ტეფრიტები ერთგვაროვანი ლოდებით. სიმძლავრე 18 მ.
14. მომწვანო-რუხი ფერის, სქელშრეებრივი, მსხვილნატეხოვანი ლეიციტური ტეფრიტული ტუფების და საშუალონატეხოვანი ბაზალტური შედგენილობის ტუფების მორიგეობა. დასტაში გვხდება 5 მეტრი სიმძლავრის შავი ფერის ლიმბურგიტები და მომწვანო-რუხი ფერის ფორიანი ტრაქიბაზალტები. სიმძლავრე 52 მ.

15. შერეული შედგენილობის ვულკანური ბრექჩიები. ნატეხები წარმოდგენილია ბიოტიტიანი ტრაქიტებით, ნეფელინიანი და ლეიციტიანი ფონოლიტებით, ლეიციტიანი ტეფრიტებით, ლეიციტიანი ბაზანიტებით, ტრაქიბაზალტებით, ოლივინიანი ბაზალტებით და ტრაქიბაზალტური ლიმბურგიტებით. გვხდება ასევე შრეებრივი, საშუალო და -მსხვილკრისტალური, რქატყუარიანი ბაზალტები. ქვედა ნაწილში დომინირებს ტრაქიტ-ფონოლით-ტეფრიტული შედგენილობის ბაზალტები. ნატეხების ზომა მერყეობს 5-30 სმ-ის ფარგლებში. სიმძლავრე 180 მ.
16. თხელშრეებრივი, მუქი, ლაქებრივი, საშუალონატეხოვანი ბაზალტური შედგენილობის ტუფები. სიმძლავრე 7 მ.
17. შავი ფერის,ოლივინიანი კალიბაზალტების ლავური განფენი. სიმძავრე 8 მ.
18. დასტა 16-ის ანალოგიური. სიმძლავრე 4 მ.
19. სქელშრეებრივი, მსხვილნატეხოვანი, ლეიციტური ტეფრიტული ტუფები, მასიური ლეიციტური ტეფრიტული ბრექჩიების და ბაზანიტების მორიგეობა. ნატეხების ზომა 3-40 სმ-ის ფარგლებში მერყეობს, რომლებიც ქანის მოცულობის 80-85%-ს შეადგენს. სიმძლავრე 52 მ.

ჭრილის სიმძლავრე ჯამში 557 მ-ია.

დასტა ზედა ნაწილში შემოფარგლულია გუბაზეულის რღვევით. ანალოგიური ჭრილი გვხდება მდ. გუბაზეულის და სოფ. ბუქსიეთის მიდამოებში, სადაც მასიური ბალიშა ლავები იფარება ნაფოცხვარას ქვეწყების შუა დასტის ლიმბურგიტებით:

1. ღია მწვანე, შრეებრივი, ლაქებრივი, მსხვილი და საშუალონატეხოვანი ბიოტიტიანი ტრაქიტული ტუფები. სიმძლავრე 8 მ.
2. ხორცისფერ-წითელი ფერის ეგირინიანი ტრაქიტების ლავური განფენი. მისი საგები და სახურავი ხასიათდება ბრექჩიული სტრუქტურით და პარალელური განწევრებით. იკვეთებიან ოლივინიანი კალიბაზალტების ძარღვებით. სიმძლავრე 35 მ.
3. შერეული შედგენილობის მასიური ვულკანური ბრექჩიები. ნატეხების ზომა 30 სმ. წარმოდგენილია ძლიერ შეცვლილი მაღალთიხამიწიანი ოლივინიანი ბაზალტებით და ბაზალტური ჰაბიტუსის ვულკანიტებით. ასევე გვხდება ბიოტიტიანი შედგენილობის კალიბაზალტები. ძირითადი მასა წარმოდგენილია ანალოგიური შედგენილობის ტუფებით. სიმძლავრე 56 მ.
4. კალიბაზალტ-ბაზანიტური შედგენილობის მასიური ვულკანური ბრექჩიები. ნატეხების ზომა აღწევს 25 სმ-ს და წარმოდგენილია ლეიციტიანი ბაზანიტებით, ოლივინიანი კალიბაზალტებით, ლიმბურგიტული შედგენილობის ჰიალომელანით. ძირითადი მასა მსხვილნატეხოვანი შერეული ტუფებია. სიმძლავრე 62 მ.
5. მე-4 დასტის ანალოგიური. სიმძლავრე 53 მ.
6. მუქი რუხი ფერის ოლივინიანი კალიბაზალტების ბალიშა ლავები. სიმძლავრე 115 მ.
7. ლეიციტიანი ბაზანიტების მასიური ლავური ბრექჩია. ნატეხები წარმოდგენილია ლეიციტიანი ბაზანიტებით, ასევე გვხდება ლიმბურგიტები, ლიმბურგიტული

ტრაქიბაზალტები და ძლიერ შეცვლილი მსხვილნატეხოვანი ოლივინიანი ბაზალტები. ნატეხების ზომა მერყეობს 3-150 სმ-ს შორის. სიმძლავრე 125 მ.

8. მაღალთიხამიწიანი ბაზალტები. ნატეხები წარმოდგენილია ოლივინიანი ბაზალტებით, ოლივინიანი კალიბაზალტებით და ბიოტიტიანი ბაზალტებით. ძრითადი მასა მსხვილნატეხოვანი ბაზალტური შედგენილობის ლავებია. სიმძლავრე 15 მ.
9. თხელშრეებრივი, ლაქებრივი, წვრილნატეხოვანი, ბაზალტური შედგენილობის ლავები. სიმძლავრე 15 მ.

   ჭრილის მიხედვით დასტის სიმძლავრე 522 მ-ია.

გურიის ქვეწყების ზედა დასტა (**$P_2^2gr_2$**) შიშვლდება მდინარეების სუფსის, გუბაზეულის, საშვალას, ბახვისწყლის, ნატანების, ბჟუჟის, აკი-დაკვის და აჭისწყლის ხეობებში (**სურ.3**).

სურ.3

აღნიშნული წყება თავისი განვრცობის მიმართულებით განიცდის მკვეთრ ფაციალურ ცვლილებას. მისი სიმძლავრე 450-550 მ-ია, სადაც ძირითადად დომინირებს ტრაქიტული შედგენილობის ქანები. ისინი გვხვდებიან ამ წყების ქვედა საზრვარზე, ხოლო ზედა საზღვარზე, ნათლად ჩანს ზედა ეოცენის ვულკანომიქტური, ვულკანოგენურ-ტერიგენული და ქვიშა-თიხიანი ქანები.

ქვეწყების ზედა ნაწილი იმეორებს მისთვის დამახასიათებელ პეტროგრაფიულ შედგენილობას და ასევე, როგორც გურიის ქვეწყების ქვედა დასტა, მკვეთრად განსხვავდება მათ ქვეშ განლაგებულ წარმონაქმნებისგან. მესხეთის ქედის მთისწინა ნაწილში დასტა ძირითადად აგებულია ლავური განფენების ვულკანური ბრექჩიების, ბიოტიტიანი პემზიანი დაფერფლილი ტუფების, ბიოტიტ-ეგირინიანი და ნეფელინიანი ტრაქიტების და ტრაქიანდეზიტების მორიგეობით. რაიონის აღმოსავლეთ ნაწილში (მდ.მდ. გუბაზეული და სუფსა) მორიგეობენ ლავური ნაკადები და პიროკლასტური ოლივინიანი კალიბაზალტები და ოლივინიანი ტრაქიბაზალტები, ლეიციტიანი ტეფრიტები და ბაზანიტები. აღნიშნული დასტა გაკვეთილია მრავალრიცხოვანი სხვადასხვა სიმძლავრის (1-25 მ), ძირითადად ტრაქიტული შედგენილობის სხეულებით.

სოფ.სოფ. ვანისწყალის, მთისპირის, ფამფალეთის ტერიტორიებზე და ასევე მდ. გუბაზეულის ხეობაში, ზედა დასტის ჭრილი მთავრდება ვულკანური ბრექჩიებით, ტუფოკონგლომერატებით, ტუფოგრაველიტებით, ტუფოქვიშაქვებით და კალიბაზალტების, ლეიციტიანი ტეფრიტების და ბაზანიტების ლავური განფენებით.

გთავაზობთ გურიის ქვეწყების ზედა დასტის გეოლოგიურ ჭრილს მდ. გუბაზეულის ხეობაში (დაღმავალი ჭრილი):

1. საშუალო და მსხვილნატეხოვანი შრეებრივი ტუფები. სიმძლავრე 160 მ.
2. ბიოტიტიანი ტრაქიტებისგან აგებული მასიური ვულკანური ბრექჩია. სიმძლავრე 70 მ.
3. მომწვანო-რუხი და იასამან-რუხი ფერის, შრეებრივი, მსხვილ და საშუალო ნატეხოვანი პემზიანი ტუფები, ბიოტიტიანი ტრაქიტული და შერეული შედგენილობის. სიმძლავრე 85 მ.
4. ბიოტირიანი ტრაქიტების ბალიშა ლავები. სიმძლავრე 15 მ.
5. ნათელი და ხორცისფერ-წითელი ფერის, მსხვილ და -საშუალონატეხოვანი მასიური, ბიოტიტიანი ტრაქიტული პემზიანი ტუფები. სიმძლავრე 4 მ.
6. იასამან-რუხი ფერის მსხვილნატეხოვანი ბიოტიტიანი ტრაქიტის პემზიანი ტუფები. სიმძლავრე 1.5 მ.
7. შერეული შედგენილობის, შრეებრივი, საშუალონატეხოვანი, ლაქებრივი ტუფები. სიმძლავრე 2.5 მ.
8. მე-6 დასტის ანალოგიური დასტა. სიმძლავრე 2 მ.
9. ღია მომწვანო-რუხი ფერის, საშუალონატეხოვანი, ბიოტიტიანი ტრაქიტის პემზიანი ტუფები. სიმძლავრე 3 მ.
10. ღია მომწვანო-რუხი ფერის, ლაპილური, ბიოტიტიანი ტრაქიტის ტუფები. სიმძლავრე 4 მ.
11. ღია მწვანე და ღია მომწვანო-რუხი ფერის, მსხვილ და -საშუალონატეხოვანი, ლაპილური, ბიოტიტიანი ტრაქიტის ტუფები. სიმძლავრე 18 მ.
12. მასიური, ნეფელინიანი, ანალციმური ტრაქიტების ლავური განფენი. სიმძლავრე 80 მ.

ქვემოთ აღწერილი განფენი წარმოადგენს ანტიკლინური ნაოჭის თაღური ნაწილის ამგებს, რომლის ჩრდილო ფრთაში აღნიშნულ ტრაქიტულ განფენზე განლაგებულია (აღმავალი ჭრილი):

1. ღია მწვანე ფერის, მსხვილ და -საშუალონატეხოვანი, ბიოტიტიანი ტრაქიტის პემზიანი ტუფები. სიმძლავრე 5 მ.
2. ტუტე ბაზალტებით აგებული მასიური ვულკანური ბრექჩია. სიმძლავრე 18 მ.
3. თხელშრეებრივი, წვრილნატეხოვანი, ბიოტიტიანი ტრაქიტის ფერფლოვანი ტუფები. სიმძლვარე 1 მ.
4. მსხვილ და -საშუალონატეხოვანი, ბიოტიტიანი ტრაქიტის პემზიანი ტუფები. სიმძლავრე 62 მ.
5. ტრაქიბაზალტების ლავური განფენი. სიმძლავრე 8 მ.
6. ნეფელინიანი ტრაქიტების ლავური განფენი. სიმძლავრე 11 მ.
7. ტუტე ბაზალტებით აგებული მასიური ტუფოკონგლომერატ-ბრექჩია. სიმძლავრე 35 მ.
8. თხელშრეებრივი, წვრილნატეხოვანი, ბიოტიტიანი ტრაქიტების პემზიანი ტუფები. სიმძლავრე 19 მ.
9. მსხვილნატეხოვანი, მასიური, ბიოტიტიანი ტრაქიტების ტუფები. სიმძლავრე 12 მ.
10. ბიოტიტ-ანალციმიანი ტრაქიტული ლავური განფენი. სიმძლავრე 15 მ.
11. ანალციმიანი ტრაქიტების ბრექჩიული ლავები. სიმძლავრე 5 მ.
12. მე-11 დასტის ანალოგიური დასტა. სიმძლავრე 16 მ.
13. ბიოტიტ-ანალციმიანი ტრაქიტული ლავური განფენი. სიმძლავრე 8 მ.
14. მსხვილ და -საშუალონატეხოვანი ბიოტიტიანი ტრაქიტების პემზიანი ტუფები. სიმძავრე 13 მ.
15. მე-10 დასტის ანალოგიური დასტა. სიმძლავრე 4 მ.
16. ვულკანური ბრექჩიები. სიმძლავრე 18 მ.
17. ბიოტიტ-ანალციმიანი ტრაქიტული ლავური განფენი. სიმძლავრე 12 მ.
18. მე-17 დასტის ანალოგიური დასტა. სიმძლავრე 52 მ.
19. ბიოტიტ-ანალციმიანი ტრაქიტული ლავური განფენი. სიმძლავრე 16 მ.
20. თხელშრეებრივი, წვრილნატეხოვანი, ქვიშაქვიანი ტუფიტები მიკროფორამინიფერების ნარჩენებით. სიმძლავრე 18 მ.
21. თხელშრეებრივი, წვრილკრისტალური, ლაქებრივი ტუფები, სადაც გხვდება საშუალო და -მსხვილნატეხოვანი ტუფების შუაშრეები. სიმძლავრე 12 მ.
22. 21-ე დასტის ანალოგიური დასტა. სიმძლავრე 6 მ.
23. სქელშრეებრივი და მასიური, მსხვილ და -საშუალონატეხოვანი, შერეული ბაზალტური შედგენილობის ტუფები. სიმძლავრე 16 მ.
24. 22-ე დასტის ანალოგიური დასტა. სიმძლავრე 4 მ.
25. მაღალთიხამიწიანი, ოლივინიანი ბაზალტებისგან აგებული მასიური ვულკანური ბრექჩიები. სიმძლავრე 20 მ.
26. 23-ე დასტის ანალოგიური დასტა. სიმძლავრე 17 მ.

აღნიშნულ ჭრილში, დასტის სიმძლავრე შეადგენს 473 მ-ს.

დასავლეთით, მდინარეების საშვალას, ოჩხამურას, ბახვისწყალის და ნატანების ხეობებში დაიკვირვება მსგავსი ჭრილი, რომელიც აგებულია პემზიანი და ფერფლის ტუფებით, ტრაქიტული შედგენილობის ვულკანური ბრექჩიებით, სადაც ასევე დომინირებს ტრაქიტული შედგენილობის ლავური განფენები.
წყების სიმძლავრე 450-550მ-ია.

გურიის რეგიონის მთიანი ნაწილის გეოლოგიურ აგებულებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ინტრუზიული (pbeξP₂²) ქანები, რომელთა წარმოქმნა დაკავშირებულია პალეოგენური და უფრო იშვიათად, ნეოგენური ასაკის ტექტონიკურ პროცესებთან. პალეოგენური ინტრუზივები - მცირე ზომის ინტრუზიული სხეულები, დაიკები და ძარღვები, ჩართული არიან ეოცენური ასაკის ვულკანოგენურ-ტერიგენულ წყებებში და ძირითადად ლოკალიზდებიან მდ.მდ. სუფსის, გუბაზეულის, ნატანების და ბახვისწყალის ხეობებში.

მდ. ნატანების ხეობაში გხვდება ინტრუზივის ორი მძლავრი გამოსავალი - ვაკიჯვრის (3 კმ²) და ქორის-ბუდეს (1.5 კმ²). მცირე გამოსავლები გვხვდება აგრეთვე მდ. ნატანების შენაკადებში: მდ.მდ საღორიეს ღელე, ჩაჩუას ღელე და საოჩის ღელე.
მდ. ბჟუჟის ხეობაში გვხდება ინტრუზივის ერთი დიდი გამოსავალი (15 კმ²) და მცირე გამოსავლები მის მარჯვენა შენაკად მდ. აკიშაში. დასავლეთით მდ. აკი-დაკვაში, გვხდება ანალოგიური ზომის გამოსავლები, როგორც ჩაჩუას ღელეში, ასევე ქორის ბუდეში. ყველა ეს გამოსავალი მოქცეულია გურიის ქვეწყების ზედა და ქვედა ჰორიზონტებში. ინტრუზივი საკმაოდ რთული აგებულებისაა, აქ დომინირებს პიროქსენ-ბიოტიტიანი და ბიოტიტიანი ტუტე სიენიტები, ასევე გვხდება პიროქსენ-ბიოტიტიანი გაბრო და კვარციან-რქატყუარიანი და ბიოტიტიანი ტუტე სიენიტები. პიროქსენ-ბიოტიტიანი გაბრო შიშვლდება მდ. ბჟუჟის ცენტრალურ ნაწილში და ვრცელდება 400-500 მეტრზე. ინტრუზივი წარმოდგენილია საშუალო და წვრილმარცვლოვანი მასიური რუხი ფერის მონცონიტური და პორფირისებრი სტრუქტურის ქანებით. აგებულია მონოკლინური პიროქსენით, ბიოტიტით, პლაგიოკლაზით, K-Na-ანი მინდვრის შპატ-პერტიტით და მაგნეტიტით. გაბრო-მონცონიტები არც ქსენოლითებში და არც ეგზოკონტაქტში შეცვლებს არ იწვევს.
ინტრუზივში ყველაზე ფართო გავრცელებით სარგებლობს პიროქსენ-ბიოტიტიანი და ბიოტიტიანი ტუტე სიენიტები.

მაკროსკოპულად ტუტე სიენიტები წარმოდგენილია მსხვილმარცვლოვანი, იშვიათად პორფირისებრი, მოვარდისფრო ქანებით, რომლებიც შედგება მსხვილკრისტალური ალოტრიმორფული კალიუმ-ნატრიუმიანი მინდვრის შპატებით, მჟავე პლაგიოკლაზის (ოლიგოკლაზი), ბიოტიტის და მონოკლინური პიროქსენისგან. აქცესორებიდან გვხდება მაგნეტიტი, აპატიტი და სფენი.

ძალზე საინტერესოა ქორის-ბუდის ტუტე სიენიტები. ეს არის პორფირული აგებულების, საშუალო და წვრილკრისტალური ქანი, ტრაქიტული სტრუქტურის ძირითადი მასით. პორფირული გამონაყოფების სახით გვხდება K-Na მინდრის შპატი, იშვიათად პალგიოკლაზი. ძირითადი მასა შედგება K-Na მინდრის შპატით, პალგიოკლაზით, ბიოტიტით და იშვიათად, მონოკლინური პიროქსენით.

საკვლევ რაიონში **მეოთხეული სისტემის დანალექები** სარგებლობენ ფართო გავრცელებით, განსაკუთრებით კი მის დასავლურ ნაწილში, ასევე ჩოხატაურის და ოზურგეთის დეპრესიებში. ისინი წარმოდგენილია ალუვიური, ელუვიურ-დელუვიური, დელუვიური, ელუვიური, დელუვიურ-პროლუვიური, კოლუვიური და სხვა წარმონაქმნებით.

დელუვიური დანალექები **(dQIV)** ძირითადად გვხვდება ციცაბოდ დახრილი ფერდების ძირში და წარმოდგენილი არიან თიხებით და თიხნარებით, ღორღის და ხვინჭის ჩანართებით.

კოლუვიური დანალექები **(cQIV)** შეზღუდული გავრცელებით ხასიაღდება, რომლებიც ძირითადად გვხვდება მაღალი დახრილობის მქონე კლდოვანი მასივების ძირებში და წარმოდგენილია საშუალო და მსხვილი ზომის ღორღით და ლოდებით, თიხნარ-ქვიშნარის 10-15 %-მდე შემავსებლით.

მეწყრული მასები **(dlQIV)** წარმოდგენილია ყავისფერი თიხნარებით, ხვინჭის, ღორღის, ლოდების და კაჭარის შემცველობით.

პროლუვიური დანალექები **(pQIV)** წარმოდგენილია ხვინჭით, ღორღით და ლოდებით, თიხნარ-ქვიშნარის შემავსებლით და ძირითადად გვხვდება მდინარეთა შესართავებთან გამოტანის კონუსების სახით.

დელუვიურ-პროლუვიური დანალექები **(dpQIV)** ხასიათდება შეზღუდული გავრცელებით და ძირითადად წარმოდგენილია თიხნარებით, ქვიშნარებით, კენჭებით და ღორღით.

ელუვიურ-დელუვიური ქანების დაუნაწევრებელი სტრატიგრაფიულ-გენეტიკური კომპლექსის **(edQIV)** წარმონაქმნები მთლიანი საფარის სახით ფარავენ ზედა და შუა ეოცენის ასაკის ქანებით აგებულ მთის ფერდობებს. ლითოლოგიურად ისინი წარმოდგენილია თიხნარებით და თიხებით (მათში ჩართული ღორღით და ცალკეული ლოდებით), რომელთა სიმძლავრე მეტად მერყევია და საშუალოდ შეადგენს 1-3 მეტრს. ჩართული ნატეხოვანი მასალა მეტია შუა ეოცენის ქანებით აგებულ სუბსტრატზე განვითარებულ ელუვიურ-დელუვიურ დანალექებში.

ამრიგად, ელუვიურ-დელუვიური კომპლექსის თიხოვანი გრუნტები ბუნებრივ განლაგებაში ხასიათდებიან ნახევრადმკვრივი და ძნელადპლასტიკური კონსისტენციით.

აღწერილი კომპლექსის გავრცელების ზონაში ძლიერ განვითარებულია დახრამვითი და ფართობული ეროზია, იშვიათად კი მეწყერები.

ალუვიური დანალექები **(aQIV)** ფართოდაა გავრცელებული მდ.მდ აჭისწყლის, ბჟუჟის, ნატანების, ბახვისწყლის, გუბაზეულის და ხევისწყლს ხეობებში და მოიცავენ კალაპოტის თანამედროვე და ჭალისზედა I ტერასებს, რომლებიც აგებულია: მდინარეთა ზედა წელში - ლოდნარით და ლოდნარ-კენჭნარით, ქვიშიანი შემავსებლით; შუა წელში-კენჭნარებით, ქვიშებით და თიხნარებით; ხოლო დაბლობ ზონაში - თიხებით, თიხნარებით და ქვიშნარებით, რომლებშიც კენჭნარი და ქვიშები დამოკიდებულ როლს თამაშობენ.

შუა და ზედა პლეისტოცენური ასაკის ალუვიური ნალექების სტრატიგრაფიულ-გენეტიკური კომპლექსი **(aQII-III)** ფართოდაა გავრცელებული მდ.ნატანების ხეობაში. ლითოლოგიურად წარმოდგენილია: კენჭნარით, ხრეშით, ქვიშებით, თიხნარებით, იშვიათ შემთხვევაში სუსტად შეცემენტებული კონგლომერატებით. ისინი აგებენ მდინარეთა II, III და IV ჭალისზედა ტერასებს **(სურ.4)**

სურ.4

II და III ჭალისზედა ტერასები აგებულია კენჭნარებით, აგრეთვე ქვიშნარის და თიხნარის ლინზებით. კენჭნარის გრანულომეტრული შედგენილობა შემდეგია: 200 მმ>-8%; 200-100 მმ-7-13%; 100-50 მმ-6-8%; 50-20 მმ-15-22%; 20-10 მმ-8-22%; 10-5 მმ-11-18%; 5-2 მმ-7-25%; 2-1 მმ-4-28%; 1 მმ<3-12%.

როგორც ვხედავთ, კენჭნარებში ყველგან წარმოდგენილია წვრილმარცვლოვანი შემავსებელი, რომელიც 2მმ-ზე მეტი ფრაქციის ჩათვლით შეადგენს 28%-ს და ზოგჯერ მეტსაც. უმეტეს შემთხვევაში შემავსებელია საშუალო და მსუბუქი თიხნარები, იშვიათად კი ქვიშნარები.აღნიშნული კომპლექსის კენჭნარები და კონგლომერატები ყველგან გადაფარულია თანამედროვე დელუვიურ-პროლუვიური გრუნტებით.

ელუვიური დანალექები (eQIV) დიდი ფართობული გავრცელებით სარგებლობენ. ისინი გვხვდება, როგორც გორაკ-ბორცვიან ზონაში, ასევე დაბალ და საშუალო მთიანეთის წყალგამყოფის თხემებზე და მოსწორებულ ზედაპირებზე. ლითოლოგიურად ისინი წარმოდგენილია: გორაკ-ბორცვიან ზონაში, სუსტად ლატერიტიზირებული თიხებით და თიხნარებით, ხოლო რეგიონის მთიან ნაწილში, თიხნარებით და ღორღით. მათი სიმძლავრე მერყეობს 2-5 მეტრიდან 10 მეტრამდე.

2.2 საშიში გეოლოგიური პროცესები

მდ. ნატანები სათავეს იღებს აჭარა-იმერეთის ქედზე, ზღვის დონიდან 2548 მ. აბს. ნიშნულზე. მორფოლოგიური თვალსაზრისით ხეობას აქვს V-ს მაგვარი ფორმა. ფერდობების დახრილობა მერყეობს 35-70^0-ის ფარგლებში, ხოლო რიგ შემთხვევებში კიდევ უფრო მეტად იზრდება. ხეობის უმეტესი ნაწილი დაფარულია ტყით, იშვიათ შემთხვევებში გვხვდება ვაკე ადგილები, რომლებიც მორფოლოგიურად ტერასების სახით არის

წარმოდგენილი. მდინარის ჭალის სიგანე მერყეობს 30-დან 150 მეტრამდე. კალაპოტში წარმოდგენილია, როგორც მცირე ზომის კენჭნარი, ასევე დიდი ზომის ლოდები, რომელთა დიამეტრი მერყეობს 3-8 მეტრამდე.

საკვლევ ტერიტორიაზე ძირითადი კლდოვანი ქანები ფერდობების ზედა ნაწილში გადაფარულია ელუვიურ-დელუვიური დანალექები. ფერდობებზე იშვიათად გვხვდება ძირითადი ქანების მცირე ზომის გამოსავლები. კლდოვანი ქანები ასევე შიშვლდებიან ფერდობების გამკვეთ ვიწრო და ციცაბოდ დახრილ ხევებში, რომლებიც ძლიერი წვიმების პერიოდში ხასიათდაბიან წყალმოვარდნებით და ზოგიერთ შემთხვევაში ღვარცოფული ნაკადებით.

საკვლევ ტერიტორიაზე თანამედროვე საშიში გეოლოგიური პროცესებიდან უმეტესწილად გავრცელებულია **ეროზიული, ღვარცოფული და მეწყრულ-გრავიტაციული პროცესები.**

საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში ვხვდებით კლდეზვავური ტიპის მეწყრულ პროცესებს. მდ. ნატანების ხეობის მარჯვენა სანაპიროს მიმდებარე ფერდობზე ფიქსირდება კლდეზვავის ტიპის მეწყერი განვითარებული კლდოვან ქანებში. მისი სიგანე შეადგენს დაახლოებით 70 მეტრს, სიგრძე აღწევს 100 მეტრამდე, ხოლო მოწყვეტის კიდე მდინარის წყლის დონიდან 50-60 მეტრ სიმაღლეზეა, მოწყვეტის ხილული სიმძლავრე კი საშუალოდ 5-8 მეტრია (კოორდ. X-0266168, Y-4639996; X-0266110, Y-4640041; **სურ.5**).

სურ.5

მდინარე ნატანების ხეობის მარჯვენა სანაპიროს მიმდებარე ფერდობზე, ძირითად კლდოვან ქანებში განვითარებულია კლდეზვავური ტიპის მეორე მეწყერი, რომლის ძირის სიგანე 55-60 მეტრია, სიგრძე აღწევს 55 მეტრს, ხოლო მისი სიმაღლე 30 მეტრამდეა (კოორდ. X-0266314; Y-4639288 და X-0266318, Y-4639350). აღნიშნული მეწყერი არ ხვდება ნაგებობების განლაგების არეალში.

ამავე ფერდობზეა ჩაჭრილი მდ. ნატანების ხეობის მართობული, ორი ერთმანეთის პარალელური ხევი, თავისი გამოტანის კონუსებით (კოორდ: X-0266329, Y-4639506; X-0266374, Y-4639840), რომელთა სიმძლავრე ტერასის მიმდებარე ზოლში არ აჭარბებს რამდენიმე მეტრს.

მარჯვენა სანაპირო ფერდობზე აღსანიშნავია ქვათაცვენის საკმაოდ დიდი უბანი, რომლის ბაზისი 125 მეტრია, ხოლო სიგრძე აღწევს 70 მეტრს. იქ არსებული კოლუვიური დანაგროვების ხილული სიმძლავრე აღწევს 1.5-2.0 მეტრს (კოორდ: X-0265933, Y-4640273; X-0265843, Y-4640363).

მდ. ნატანების შენაკადების უმრავლესობა ღვარცოფული ხასიათის მატარებელია, რასაც ადასტურებს მათ შესართავებთან არსებული დანალექი მასალის შედგენილობა და დამუშავების ხარისხი (მარჯვენა სანაპიროზე, კოორდ: X-0265945, Y-4640261; X-0265305, Y-4640461-ბაზისი 55 მ, სიგრძე 30 მ; X-0264709, Y-4641874- ბაზისი 50 მ, სიგრძე 50მ; მარცხენა სანაპიროზე, კოორდ: X-0265131, Y-4640494 - ბაზისი 60 მ, სიგრძე 35 მეტრი **(სურ.6).**

სურ.6

მდ. ნატანები ხასიათდება ეროზიული ზემოქმედებით (გამოხატული გვერდით ეროზიაში, **სურ.7**), რაც მკაფიოდ ფიქსირდება ხეობის ცამეტ უბანზე:

1.X-0266196, Y-4639945; (l=50მ)
2.X-0266031, Y-4640065; (l=40მ)
3.X-0265810, Y-4640108; (l=20მ)
4.X-0265294, Y-4640497; (l=35მ)
5.X-0265040, Y-4640536; (l=25მ)
6.X-0264718, Y-4641010; (l=30მ)
7. X-0264684, Y-4641172; (l=15მ)
8. X-0264882, Y-4641261; (l=25მ)
9. X-0264668, Y-4641773; (l=15-20მ)
10. X-0264676, Y-4641943; (l=20მ)
11. X-0264640, Y-4642560; (l=20-25მ)
12. X-0264319, Y-4643063; (l=55-60მ)
13. X-0264382, Y-4643214; (l=25-30მ).

სურ.7

2.3 ტექტონიკა და სეისმურობა

საკვლევი რაიონი, საქართველოს ტერიტორიის ტექტონიკური დარაიონების სქემის (ე.გამყრელიძე, 2000წ) მიხედვით მიეკუთვნება მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემის აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის, გურიის და ჩრდილო ქვეზონებს, რომლებიც ერთმანეთისგან გამოყოფილია შეცოცებით და წარმოადგენს სურამი გოკიშურის რღვევის დასავლურ გაგრძელებას.

ჩრდილო ქვეზონა წარმოდგენილია შუა ეოცენური ასაკის ვულკანოგენებით. მის ჩრდილო პერიფერიაზე გვხდება ზედა ეოცენის და ოლიგოცენის რელიქტები. მესხეთის ქედის ჩრდილო ფერდობის აღმოსავლეთ ნაწილში გვხდება ხაზოვანი ნაოჭები და შეცოცების ხასიათის რღვევები.

ჩრდილო ქვეზონაში განვითარებულია ჩრდილო-აღმოსავლური მიმართულების ბრაქიფორმული ნაოჭები, გართულებული მრავალი განივი და გრძივი ნასხლეტ-ნაწევის და შესხლეტვის ხასიათის რღვევებით.

ჩრდილო ქვეზონის ჩრდილო პერიფერიაზე განვითარებულია ჩოხატაურის ჯგუფის რღვევები. ქვეზონა აგებულია მრავალი სხვადასხვა ბლოკისგან, ერთმანეთისგან გამოყოფილი ჩრდილო-დასავლური და ჩრდილო-აღმოსავლური მიმართულების რღვევებით, რომელთაგან ყველაზე დიდები, ჩოხატაურის და ჩხაკაურას ნასხლეტ-ნაწევის ტიპის რღვევებია.

სტრატიგრაფიულ ერთეულებში, ტექტონიკური უთანხმოების მიხედვით, საკვლევი ტერიტორიის ერთმნიშვნელოვანი შეფასება არ შეიძლება. გეოლოგიური, ტექტონიკური და სტრატიგრაფიული პირობების მიხედვით გამოიყოფა სამი სტრუქტურული ეტაპი: 1. შუა ეოცენურ - ზედა მიოცენური; 2. პლიოცენური და 3. მეოთხეული. საქართველოს სეისმური საშიშროების რუკის მიხედვით, საკვლევი ტერიტორია **მიეკუთვნება 8 ბალიანი მიწისძვრების ზონას, სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტით 0.13** (საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება N1-1/2284, 2009 წლის

7 ოქტომბერი, ქ. თბილისი; სამშენებლო ნორმების და წესების -„სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01-09) -დამტკიცების შესახებ).

გეოლოგიური და გეოფიზიკური მონაცემების საფუძველზე თითოეული ჭრილისთვის შეფასდა კლდოვანი გრუნტების კატეგორია, რომელიც საქართველოში მოქმედი ნორმების მიხედვით განისაზღვრა როგორც **I კატეგორია**, ხოლო საერთაშორისო ნორმების მიხედვით (IBC2006, ASCE7, Eurocode8) - გრუნტის **B კატეგორია**.



სეისმური საშიშროების რუკის დანართი

N	დასახლებული პუნქტი	მხარე	მუნიციპალიტეტი	A-სეისმურობის განზომილების კოეფიციენტი	ბალი(MSK-64 სკალა)
875	ზედა ბახვი	გურია	ოზურგეთი	0.14	8
878	ქვედა ბახვი	გურია	ოზურგეთი	0.14	8
883	დვაბზუ	გურია	ოზურგეთი	0.14	8
885	ვაკიჯვარი	გურია	ოზურგეთი	0.13	8
886	ფამფალეთი	გურია	ოზურგეთი	0.14	8

3. ჰიდროგეოლოგიური პირობები

საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით (ი.ბუაჩიძე, 1970წ) საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება აჭარა- თრიალეთის ნაოჭა ზონის წყალდაწნევითი სისტემების ოლქის, აჭარა-იმერეთის ნაპრალოვან წყალდაწნევით სისტემას, სადაც გაბატონებული გავრცელებით სარგებლობენ არაღრმა ცირკულაციის ნაპრალოვანი გრუნტის წყლები, რომლებიც შუა ეოცენის ვულკანურ-დანალექი ქანების წარმონაქმნებთან და ძარღვებთანაა დაკავშირებული და მეოთხეული ალუვიური ნალექების ფოროვანი გრუნტის წყლები.

საკვლევი ტერიტორია ხასიათდება, როგორც მუდმივი, ასევე სეზონური გრუნტის წყლებით, რომლებსაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ საშიში გეოლოგიური პროცესების წარმოშობასა და გააქტიურებაში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სეზონური ინფილტრაციული წყლების უარყოფითი გავლენა საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარებაზე.

საპროექტო ტერიტორიაზე გამოიყოფა სხვადასხვა გენეზისის წყალშემცველი ჰორიზონტების კომპლექსი:

- **თანამედროვე, ალუვიური ნალექების წყალშემცველი ჰორიზონტი** , რომელიც აგებულია ალუვიური კაჭარ-კენჭნარებით, ქვიშებით, ქვიშნარებით და თიხებით. ისინი მოიცავენ მდინარეთა ჭალებს და პირველ ჭალისზედა ტერასებს.
- **თანამედროვე და ზედა მეოთხეული, დელუვიურ-პროვულიური ნალექების წყალშემცველი ჰორიზონტი,** რომელიც აგებულია კაჭარ-კენჭნაროვანი, ქვიშა-ხრეშიანი და თიხოვანი მასალით. აღნიშნული ნალექების გამოსოლვის ზონაში ხდება მიწისქვეშა წყლების განტვირთვა მრავალრიცხოვანი წყაროების სახით. ეს წყლები მტკნარია, ხასიათდებიან დაბალი მინერალიზაციით და კარგი სასმელი თვისებებით;

შუა ეოცენის წყალშემცველი კომპლექსი. შუა ეოცენის ვულკანურ წარმონაქმნებს უჭირავს საკვლევი ტერიტორიის უდიდესი ნაწილი. ისინი ხასიათდებიან მეორადი ეგზოგენური დანაპრალიანების ზონებით, რომლებიც მდიდარია იმ ნაპრალოვანი გრუნტის წყლებით, რომელთა წარმოშობა და განტვირთვა ხდება უმოკლეს მონაკვეთზე, ერთი და იგივე ფერდის ფარგლებში. ნაოჭწარმოქმნის პროცესების ზემოქმედებით აღნიშნულ კომპლექსებში წარმოიშობა ღრმად ჩაღწეული ტექტონიკური ნაპრალები, რომელთანაც დაკავშირებულია ნაპრალოვან-ძარღვოვანი და ნაპრალოვან ფენოვანი წყლები. ასეთი ნაპრალოვნება შეინიშნება ტექტონიკური რღვევების გასწვრივ და ნაოჭების გადაკეცვის ადგილებში.

შუა ეოცენის ვულკანოგენური წარმონაქმნების წყალშემცველი კომპლექსის წყლები ნაპრალოვანი და ნაწილობრივ ნაპრალოვან-ფენებრივია. მათი წყალუხვობა დამოკიდებულია წყალშემცველი ქანების ნაპრალიანობის ხარისხზე. ქანების ნაპრალიანობა კომპლექსის საზღვრებში ფრიად არათანაბარია. აქ გამოფიტვის ზონაში შეიმჩნევა ინტენსიური ნაპრალიანობა 16 მ-მდე. სიღრმეში იგი მნიშვნელოვნად მცირდება და ქრება 40-50 მეტრ სიღრმეზე. მიწისქვეშა წყლების ფორმირება ძირითადად ხდება საშუალომთიან ზონაში.

ნაპრალოვანი გრუნტის წყლები ჰიდროკარბონატული, ნატრიუმ-კალციუმიანია და იშვიათად კალციუმ-მაგნიუმიანი. საერთო მინერალიზაცია 0,45გ/ლიტრამდეა. ნაპრალოვანი გრუნტის წყლებისგან ნასაზრდოები წყაროების დებიტები მერყეობს - 0,1-0,6 ლ/წმ-ის ფარგლებში. მიწისქვეშა წყლების ყველაზე დიდი გამოსავლები დაკავშირებულია ლოკალურ ტექტონიკურ ნაპრალებთან და ხასიათდება ხაზობრივი განლაგებით. წყაროების დებიტი მერყეობს 2,0-დან 16,0 ლ/წმ-მდე. წყალშემცველი კომპლექსების კვება ხორციელდება ატმოსფერული ნალექების და მდინარის წყლის ხარჯზე, რომელთა განტვირთვა ხდება მდინარეთა ხეობებში, დაღმავალი წყაროების სახით. რეგიონალურ ტექტონიკურ რღვევებთან დაკავშირებული წყაროების რეჟიმი მუდმივია, ხოლო ნაპრალოვანი გრუნტის წყლების ცვალებადია და დამოკიდებულია ნალექების მოსვლის რეჟიმზე.

გრუნტის წყლების აგრესიულობის განსაზღვრის მიზნით საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში აღებული იქნა წყლის სინჯები და მოხდა მათი ლაბორატორიული შესწავლა. ქიმიური ანალიზის შედეგების მიხედვით ფენებიდან აღებულ გრუნტის წყლებში არ არის აღმოჩენილი ბეტონებისადმი აგრესიული ქიმიური კომპონენტები და გარემო არ არის აგრესიული ბეტონისადმი.



ნატანების ჰესი 3-ის წყალმომარაგებისთვის სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლები, წყაროების სახით, მიმდებარე ტერიტორიაზე ვერ მოიძებნა. სამეურნეო მოხმარებისთვის აღებული უნდა იქნეს მდინარის წყალი, ხოლო სასმელი დანიშნულებისთვის ტერასაზე გაყვანილი უნდა იქნეს ჭაბურღილი, საშუალოდ 100 მეტრ სიღრმემდე, რაც მოგვცემს საშუალებას მივიღოთ თვითდენადი სასმელი წყალი, საშუალო ხარჯით 2ლ/წმ-დე, რასაც ადასტურებს „ჰიდროპროექტი“-ის ადრეულ პერიოდში განხორციელებული კვლევები.

გრუნტების ქიმიური შედგენილობა გამოკვლეულია (სგე-1), (სგე-2) და (სგე-3) - დან აღებული ნიმუშებით. ნიმუშის ქიმიურ შედგენილობაში, ბეტონებისადმი აგრესიულობის თვალსაზრისით, საშიში სულფატური და ქლორიდული კომპონენტები არ არის აღმოჩენილი, ამდენად, გრუნტი არ არის აგრესიული ნებისმიერ ცემენტზე დამზადებული ნებისმიერი მარკის ბეტონის მიმართ. გრუნტი პრაქტიკულად ნეიტრალურია წყალბადიონის (pH) მიხედვითაც. ლაბორატორიული კვლევის ცალკეული შედეგები მოცემულია დანართ-4-ში.

ქიმიური ანალიზის შედეგების მიხედვით, გრუნტის წყლებში არ არის აღმოჩენილი ბეტონებისადმი აგრესიული ქიმიური კომპონენტები და გარემო არ არის აგრესიული ბეტონებისადმი. რაც შეეხება მეტალის კონსტრუქციებს, გრუნტის წყალი გამოავლენს სუსტ აგრესიას რკინაბეტონის არმატურისადმი, მისი პერიოდულად დასველების დროს და საშუალო აგრესიულობას ნახშირბადიან ფოლადზე დამზადებული კონსტრუქციების მიმართ.

4. საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შეფასება (სპეციალური ნაწილი)

4.1 გეომორფოლოგიური თავისებურებანი

საკვლევი ტერიტორია მოქცეულია ამიერკავკასიის მთათაშორისი ქვაბულის და სამხრეთ საქართველოს მთიანეთის რეგიონის ფარგლებში და გეომორფოლოგიური თვალსაზრისით მიეკუთვნება დაბალმთიან ტექტოგენურ-ეროზიულ რელიეფს, 500-დან 1000 მეტრ აბს. ნიშნულებს შორის, დაფუძნებულს ვულკანოგენური დანალექი ქანებისგან აგებულ ნაოჭა სტრუქტურებზე.

ჰიდროგრაფიული ქსელი საკმაოდ კარგად არის განვითარებული, რომელთაც ახასიათებთ ვიწრო და ღრმა, ძირითადად V-ს მაგვარი ფორმის ხეობები. ძირითადი წყალსადინარი მდ. ნატანებია, თავისი მარჯვენა და მარცხენა შენაკადებით.

4.2 გეოლოგიური აგებულება და ქანების ფიზიკურ-მექანიკური (გეოტექნიკური) მახასიათებლები

საკვლევი ტერიტორია გეოლოგიურად აგებულია შუა ეოცენური ასაკის ვულკანოგენური და ვულკანოგენურ-დანალექი ქანებით, რომლებიც წარმოდგენილია ჭიდილას წყების ნაფოცხვარასა და გურიის ქვეწყებებით. ნაფოცხვარას ქვეწყების ზედა დასტა (**$P_2^2np_3$**) წარმოდგენილია მასიური ვულკანური ბრექჩიებით, მასიური და ბრექჩიული ლავური განფენებით, ბაზალტებით და თხელშრეებრივი ტუფების დასტებით. გურიის ქვეწყებაში გამოიყოფა ორი დასტა: ქვედა და ზედა. ქვედა დასტა (**$P_2^2gr_1$**) წარმოდგენილია მასიური ვულკანური ბრექჩიებით, ბაზალტებით და ტუფებით, ხოლო ზედა დასტა (**$P_2^2gr_2$**) წარმოდგენილია ტუფობრექჩიებით, ლავური ბრექჩიებით და ანდეზიტებით. გეოლოგიურ აგებულებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ინტრუზიული (**pbeξP_2^2**) წარმონაქმნები, რომელიც ძირითადად წარმოდგენილია ტუტე სიენიტებით და დიორიტებით. მეოთხეული ასაკის ნალექები საკვლევ რაიონში სარგებლობენ დიდი გავრცელებით და წარმოდგენილი არიან ფართო სპექტრით: კოლუვიონით, პროლუვიონით, დელუვიონ-პროლუვიონით, ელუვიონ-დელუვიონით და ალუვიონით. პრიორიტეტული გავრცელებით სარგებლობენ ელუვიურ-დელუვიური დანალექები (**edQ$_{IV}$**), რომელთა სიმძლავრე ძირითადად ცვალებადობს 1-3 მეტრიდან, მაქსიმუმ 5-7 მეტრამდე.

საკვლევი ტერიტორიის სივრცეში მეტნაკლები მასშტაბურობით ფიქსირდება თითქმის ყველა საშიში გეოლოგიური პროცესი, რომელთა შორის ყველაზე მეტ საშიშროებას წარმოადგენს ეროზიული, ქვათაცვენა-კლდეზვავური, მეწყრული და ღვარცოფული მოვლენები. აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ უმრავლეს შემთხვევაში ეროზიული პროცესებიდან საქმე გვაქვს, როგორც ძირითადი ქანებით აგებული ნაპირების ეროზიულ გარეცხვასთან, ასევე დახრამვასთან. აქ გამოირჩევა სრიალის ტიპის მეწყრული სხეულები, რომელთა გადაადგილება ხდება გამოფიტვის

ქერქის ლოდნარის და ღორღის ქვეზონის კონტაქტზე, ე.ი იქ, სადაც არის ელუვიურ-დელუვიური თიხნარების დიდი დანაგროვები, რომლებშიც ხდება მოცურება. კლდეზვავები და ქვათაცვენები დაკავშირებულია მაღალკლდოვან ფერდობებთან, რომელთა ფლატეები აგებულია ძლიერ დანაპრალიანებული ვულკანოგენური ქანებით (ეროზიულ-გრავიტაციული ფლატეები). ღვარცოფების გენეზისი ეროზიულია და ფორმირდება ელუვიურ-დელუვიური საფარის ჩამორეცხვის შედეგად, ასევე გვხვდება მეწყრული გენეზისის ღვარცოფებიც. გამოტანის კონუსების დანაგროვები მასალა იძლევა იმის საფუძველს, რათა დავასკვნათ, რომ უფრო ხშირია წყალქვიანი ტიპის ნაკადები, ვიდრე ქვატალახიანი.

საკვლევ ტერიტორიაზე გავრცელებული დანალექები ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მიხედვით დაჯგუფდა შემდეგნაირად:

- სგეN1 - pQIV - პროლუვიური დანალექები - ხვინჭოვან-ხრეშოვანი გრუნტი, კენჭების და ღორღის შემცველობით, ერთეული ლოდების ჩანართებით, თიხნარ-ქვიშნარის შემავსებლით;

- სგეN2 - dpQIV-dlQIV - დელუვიურ-პროლუვიური დანალექები - ხვინჭოვანი გრუნტი ღორღის და კენჭების შემცველობით, ლოდების ჩანართებით, მუქი ყავისფერი თიხნარის შემავსებლით; თიხნარი ყავისფერი, ხვინჭა, ღორღი და ლოდები (მეწყრული მასები);

- სგეN3 - edQIV - ელუვიურ-დელუვიური დანალექები - თიხნარები და თიხები, ღია მოყვითალო-ყავისფერი, ნახევრადმაგარი, ღორღის და ხვინჭის შემცველობით, ცალკეული ლოდებით;

- სგეN4 - aQIV - ალუვიური დანალექები (კალაპოტი, ჭალა და ჭალისზედა I ტერასა) - კენჭნარი, ხრეშის და კაჭარის შემცველობით, თიხნარის და ქვიშის შემავსებლით, დიდი ზომის ლოდების ცალკეული ჩანართებით;

- სგეN5 - aQIII - ალუვიური დანალექები (ჭალისზედა II ტერასა) - კენჭნარი კაჭარის ჩანართებით 10-15%-მდე, ნახევრად მაგარი, მუქი ყვითელი თიხნარის და იშვიათად ქვიშნარის (ლინზების სახით) შემავსებლით;

- სგეN6 - $P_2^2gr_{1+2}np_3$ - გურიის ქვეწყების ქვედა და ზედა დასტა და ნაფოცხვარას ქვეწყების ზედა დასტა - ანდეზიტ-ბაზალტური ლავური განფენები და მათი პიროკლასტოლითები;

- სგეN7- pbeξP_2^2 - ეოცენის ინტრუზივები - პიროქსენ-ბიოტიტიანი და ბიოტიტიანი ტუტე სიენიტები და დიორიტები

.

<u>სგე-1</u> – ხვინჭოვან-ხრეშოვანი გრუნტი თიხნარის შემავსებლით კენჭების და ღორღის შემცველობით, ლოდების ჩანართებით **(pQ_{IV}).** ფენა პროლუვიური გენეზისისაა. ლაბორატორიული გამოკვლევისთვის ჭაბურღილებიდან და ნაჩენებიდან აღებულია 5 ნიმუში. ნიმუშების ლაბორატორიული კვლევის შედეგები მოცემულია დანართ-2-ში, აგრეთვე, ქვემოთ მოყვანილ 1 და 2 ცხრილებში.

ცხრილი-1 *სგე-1-ის გრანულომეტრიული შედგენილობა*

რიგითი № კრებსით ცხრილში	№ ნაჩენის, ჭაბ	სიღრმე, ინტერვალი	ფრაქციების შემცველობა %, ზომების მიხედვით					გრუნტის დასახელება სახსტ. 25100-82-ის მიხედვით
			ლოდები და კაჭარი >200მმ	კენჭი 200-10მმ.	ხრეში 10-2მმ	ქვიშა, 2.0-0.1მმ	მტვერი 0.1-0.005 მმ. თიხა < 0.005 მმ.	
2	ჭაბ.1	10.0-12.0	-	40.5	15.8	19.1	24.6	ხვინჭოვან-ხრეშოვანი გრუნტი თიხნარის შემავსებლით
4	ჭაბ.2	19.0-20.0	-	30.7	25.2	19	25.1	ხვინჭოვან-ხრეშოვანი გრუნტი თიხნარის შემავსებლით
7	ჭაბ.3	12.0-12.3	-	38.4	19.2	18.7	23.7	ხვინჭოვან-ხრეშოვანი გრუნტი თიხნარის შემავსებლით
9	41	0.5	16.0	58.4	11.6	9.5	4.5	ხვინჭოვან-ხრეშოვანი გრუნტი თიხნარის შემავსებლით
14	46	0.5	7.8	34.3	29.1	19.6	9.2	ხვინჭოვან-ხრეშოვანი გრუნტი თიხნარის შემავსებლით

ცხრილი-2 სგე-1-ის შემავსებლის ფიზიკური თვისებების მახასიათებელთა მნიშვნელობები

რიგითი № კრებსით ცხრილში	№ ნაჭრის, ჭაბ	სიღრმე, ინტერვალი, მ	შემავსებლის ტენიანობა, w%	შემავსებლის პლასტიკურობა			გრუნტის დასახელება სახსტ. 25100-82-ის მიხედვით
				ზედა ზღვარი, W_L%	ქვედა ზღვარი, W_p%	პლასტიკურობის რიცხვი, I_p	
2	ჭაბ.1	10.0-12.0	13.0	26.5	16.6	9.9	ხვინჭოვან-ხრეშოვანი გრუნტი თიხნარის შემავსებლით
4	ჭაბ.2	19.0-20.0	15.4	27.9	16.3	11.6	ხვინჭოვან-ხრეშოვანი გრუნტი თიხნარის შემავსებლით
7	ჭაბ.3	12.0-12.3	22.3	26.7	16.5	10.2	ხვინჭოვან-ხრეშოვანი გრუნტი თიხნარის შემავსებლით
9	41	0.5	35.1	41.2	28.4	12.8	ხვინჭოვან-ხრეშოვანი გრუნტი თიხნარის შემავსებლით
14	46	0.5	22.7	30.3	19.7	10.6	ხვინჭოვან-ხრეშოვანი გრუნტი თიხნარის შემავსებლით

ცხრილებში მოცემული შედეგების მიხედვით და სახსტ. 25100-82 კლასიფიკაციით **სგე-1** წარმოადგენს მსხვილნატეხოვან, ხვინჭოვან გრუნტს, რადგან 2 მმ-ზე მსხვილი ფრაქცია მეტია 50%-ზე. ხვინჭოვანი გრუნტის შემავსებლი პლასტიკურობის რიცხვის მიხედვით წარმოადგენს თიხნარს.

ელემენტის შინაგანი ხახუნის კუთხისა და შეჭიდულობის, ასევე დეფორმაციის მოდულის მნიშვნელობები გაანგარიშებულია შესაბამისი მეთოდიკით (ДальНИИС Госстроя СССР მიხედვით). გაანგარიშება შესრულდა ფიზიკური თვისებების მახასიათებლებზე დაყრდნობით (იხ. დანართი 2) და შესაბამისად შეადგენს:

- შინაგანი ხახუნის კუთხე $\varphi=33.8^0$;
- შეჭიდულობა C=0.0172 მპა
- დეფორმაციის მოდული E=41.83 მპა;

სნ და წ. 2.02.01-83-ის მიხედვით, საანგარიშო წინაღობა R_0=0.4 მპა.

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით (სნ და წ. IV-5-82 კრებ. 1) განეკუთვნება **6-ა ჯგუფს.**

სგე-2 – ხვინჭოვანი გრუნტი ღორღის შემცველობით, თიხნარის შემავსებლით, თიხნარის ლინზებით **(dpQ_{IV}).** მისი სიმძლავრე (სისქე) მერყეობს 1.0-6.0 მ-ის ფარგლებში. გრუნტი დელუვიურ-პროლუვიური გენეზისისაა. ნაჩენებიდან აღებულია 2 ნიმუში. ნიმუშების ლაბორატორიული კვლევის შედეგები მოცემულია

დანართ-2-ში, აგრეთვე, ქვემოთ მოყვანილ 3 და 4 ცხრილებში.

ცხრილი-3 ***სგე-2-ის გრანულომეტრიული შედგენილობა***

რიგითი № კრებსით ცხრილში	ნაჭენის №	ფრაქციების შემცველობა %, ზომების მიხედვით					გრუნტის დასახელება სახსტ. 25100-82-ის მიხედვით
		ლოდები >200მმ	ღორღი 200-10 მმ.	ხვინჭა 10-2 მმ	ქვიშა, მმ 2.0-0.1 მმ	მტვერი 0.1-0.005 მმ. და თიხა < 0.005 მმ.	
11	43	-	49.1	17.80	15.8	17.3	ხვინჭა თიხნარის შემავსებლით
12	44	-	41.5	21.90	21.9	14.7	ხვინჭა თიხნარის შემავსებლით

ცხრილი-4 ***სგე-2-ის შემავსებლის ფიზიკური თვისებების მახასიათებელთა მნიშვნელობები***

რიგითი № კრებსით ცხრილში	ნაჭენის №	შემავსებლის ტენიანობა, W%	შემავსებლის პლასტიკურობა			გრუნტის დასახელება სახსტ. 25100-82-ის მიხედვით
			ზღვარი, W_L%	ქვედა ზღვარი, W_p%	პლასტიკურობის რიცხვი, I_p	
11	43	40.8	47.0	32.0	15.0	ხვინჭა თიხნარის შემავსებლით
12	44	34.9	45.6	29.3	16.3	ხვინჭა თიხნარის შემავსებლით

ცხრილებში მოცემული შედეგების მიხედვით და სახსტ. 25100-82 კლასიფიკაციით **სგე-2** წარმოადგენს მსხვილნატეხოვან ხვინჭოვან გრუნტს, რადგან 2 მმ-ზე მსხვილი ფრაქციები მეტია 50%-ზე. ხვინჭოვანი გრუნტის შემავსებლი პლასტიკურობის რიცხვის მიხედვით წარმოადგენს თიხნარს.

ელემენტის შინაგანი ხახუნის კუთხისა და შეჭიდულობის, ასევე დეფორმაციის მოდულის მნიშვნელობები გაანგარიშებულია შესაბამისი მეთოდიკით (ДальНИИС Госстроя СССР მიხედვით). გაანგარიშება შესრულდა ფიზიკური თვისებების მახასიათებლებზე დაყრდნობით (იხ. დანართი 2) და შესაბამისად შეადგენს:

– შინაგანი ხახუნის კუთხე φ=31.9⁰;

– შეჭიდულობა C=0.01 მპა

– დეფორმაციის მოდული E=24.92 მპა;

სნ და წ. 2.02.01-83-ის მიხედვით, საანგარიშო წინაღობა R_0=0.4 მპა.

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით (სნ და წ. IV-5-82 კრებ. 1) განეკუთვნება **6-ა ჯგუფს.**

სგე-3 – თიხნარი, ღია მოყვითალო- ყავისფერი, ნახევრადმაგარი, ღორღის და ხვინჭის ჩანართებით **(edQ$_{IV}$).** მისი სიმძლავრე (სისქე) მერყეობს 3.0-8.0 მ-ის ფარგლებში. ლაბორატორიული გამოკვლევისთვის ნაჩენებიდან აღებულია 2 ნიმუში. ნიმუშების ლაბორატორიული კვლევის შედეგები მოცემულია დანართ-2-ში, აგრეთვე, ქვემოთ მოყვანილ 5 და 6 ცხრილებში.

ცხრილი-5 *სგე-3-ის გრანულომეტრიული შედგენილობა*

რიგითი № კრებსით ცხრილში	ნაჭრის, ჭაბ №	სიღრმე, ინტერვალი	ფრაქციების შემცველობა %, ზომების მიხედვით					გრუნტის დასახელება სახსტ. 25100-82-ის მიხედვით
			ლოდები და კა-ჭარი >200მმ	კენჭი 200-10მმ.	ხრეში 10-2მმ	ქვიშა, 2.0-0.1მმ	მტვერი 0.1-0.005 მმ. თიხა < 0.005 მმ.	
8	40	0.5	-	8.5	5.5	12.9	73.1	თიხნარი, ღორღი
13	45	0.5	-	7.4	8.0	13.6	71.0	თიხნარი, ღორღი

ცხრილი-6 *სგე-3-ის ფიზიკური თვისებების მახასიათებელთა მნიშვნელობები*

რიგითი № კრებსით ცხრილში	ნაჭრის, ჭაბ №	სიღრმე, ინტერვალი	ტენიანობა, W%	პლასტიკურობა			კონსისტენციის მაჩვენებელი	სიმკვრივე, ρ გრ/სმ³	ფორიანობის კოეფიციენტი e	გრუნტის დასახელება სახსტ. 25100-82-ის მიხედვით
				ზღვარი, W_L%	ზღვარი, W_p%	პლასტიკურობის რიცხვი, I_p				
8	40	0.5	30.9	42.4	29.2	13.2	0.13	1.92	0.848	თიხნარი, ღორღი
13	45	0.5	28.6	40.1	25.2	14.9	0.23	1.88	0.847	თიხნარი, ღორღი

ცხრილებში მოცემული შედეგების მიხედვით და სახსტ. 25100-82 კლასიფიკაციით **სგე**-3 წარმოადგენს ნახევრადმაგარ თიხნარ გრუნტს, რადგან პლასტიკურობის რიცხვი იცვლება 13.2-დან 14.9-დე ხოლო კონსისტენციის მაჩვენებელი 0.13-დან 0.23- მდე:

- სიმკვრივე ρ=1.90 გრ/სმ^3
- ფორიანობის კოეფიციენტი e=0.8475.

საცნობარო-ნორმატიული ლიტერატურის მიხედვით (სნ და წ. 2.02.01-83), ელემენტის შედგენილობისა და ფიზიკური თვისებების პარამეტრთა სიდიდეების შესაბამისად:

- შინაგანი ხახუნის კუთხე $\varphi=22^0$;
- შეჭიდულობა c=0.0022 მპა
- დეფორმაციის მოდული E=14 მპა;
- წინაღობა R_0 = 0.23 მპა.

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით (სნ და წ. IV-5-82 კრებ.1) განეკუთვნება **33-გ ჯგუფს.**

სგე-4 – კენჭნაროვანი გრუნტი ხრეშის და კაჭარის შემცველობით, თიხნარის შემავსებლით **(aQ_{IV}).** იგი წარმოადგენილია მდ. ნატანების კალაპოტში და ჭალაში. მისი სიმძლავრე (სისქე) მერყეობს 3.0-10.0 მ-ის ფარგლებში. გრუნტი ალუვიური გენეზისისაა. ლაბორატორიული გამოკვლევისთვის ჭაბურღილებიდან და ნაჩენებიდან აღებულია 5 ნიმუში. ნიმუშების ლაბორატორიული კვლევის შედეგები მოცემულია დანართ-2-ში, აგრეთვე, ქვემოთ მოყვანილ 7 და 8 ცხრილებში.

ცხრილი-7 *სგე-4-ის გრანულომეტრიული შედგენილობა*

რიგით № კრებსით ცხრილში	ნაჩენის, ჭაბ №	სიღრმე, ინტერვალი, მ	ფრაქციების შემცველობა %, ზომების მიხედვით					გრუნტის დასახელება სახსტ. 25100-82-ის მიხედვით
			ლოდები და კაჭარი >200მმ	კენჭი 200-10მმ.	ხრეში 10-2მმ	ქვიშა, 2.0-0.1მმ	მტვერი 0.1-0.005 მმ. თიხა < 0.005 მმ.	
1	ჭაბ.1	0.0-3.0	16.3	61.5	7.4	8.9	5.9	კენჭნარი თიხნარის შემავსებლით
3	ჭაბ.2	2.0-3.0	16.7	58.7	8.6	9.8	6.2	კენჭნარი თიხნარის შემავსებლით
5	ჭაბ.3	2.0-5.0	13.0	61.7	9.5	10.7	5.1	კენჭნარი თიხნარის შემავსებლით

6	ჭაბ.3	5.0-7.0	6.6	68.0	10.6	9.3	5.5	კენჭნარი თიხნარის შემავსებლით
10	42	0.5	18.1	59.7	8.3	8.9	5.0	კენჭნარი თიხნარის შემავსებლით

ცხრილი-8 სგე-4-ის შემავსებლის ფიზიკური თვისებების მახასიათებელთა მნიშვნელობები

რიგით № კრებსით ცხრილში	ნახვრეტის, ჭაბ №	სიღრმე, ინტერვალი, მ	შემავსებლის ტენიანობა, W%	შემავსებლის პლასტიკურობა			გრუნტის დასახელება სახსტ. 25100-82-ის მიხედვით
				ზედა ზღვარი, W_L%	ქვედა ზღვარი, W_p%	პლასტიკურობის რიცხვი, I_p	
1	ჭაბ.1	0.0-3.0	18.9	28.2	17.8	10.4	კენჭნარი თიხნარის შემავსებლით
3	ჭაბ.2	2.0-3.0	20.1	29.1	17.3	11.8	კენჭნარი თიხნარის შემავსებლით
5	ჭაბ.3	2.0-5.0	18.8	24.8	17.5	7.3	კენჭნარი თიხნარის შემავსებლით
6	ჭაბ.3	5.0-7.0	21.0	25.5	16.9	8.6	კენჭნარი თიხნარის შემავსებლით
10	42	0.5	34.7	37.4	29.8	7.6	კენჭნარი თიხნარის შემავსებლით

ცხრილებში მოცემული შედეგების მიხედვით და სახსტ. 25100-82 კლასიფიკაციით **სგე-4** წარმოადგენს მსხვილნატეხოვან, კენჭნაროვან გრუნტს, რადგან 10 მმ-ზე მსხვილი ფრაქცია მეტია 50%-ზე. კენჭნაროვანი გრუნტის შემავსებელი პლასტიკურობის რიცხვის მიხედვით წარმოადგენს თიხნარს.

ელემენტის შინაგანი ხახუნის კუთხისა და შეჭიდულობის, ასევე დეფორმაციის მოდულის მნიშვნელობები გაანგარიშებულია შესაბამისი მეთოდიკით (ДальНИИС Госстроя СССР მიხედვით). გაანგარიშება შესრულდა ფიზიკური თვისებების მახასიათებლებზე დაყრდნობით (იხ, დანართი 2) და შესაბამისად შეადგენს:

- შინაგანი ხახუნის კუთხე $\varphi=35.3^0$;
- შეჭიდულობა C=0.0072 მპა
- დეფორმაციის მოდული E=42.65 მპა;

სნ და წ. 2.02.01-83-ის მიხედვით, საანგარიშო წინაღობა R_0=0.5 მპა.

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით (სნ. და წ. IV-5-82, კრებ.1) განეკუთვნება **6-გ ჯგუფს**.

<u>სგე-5</u> - ჭალისზედა მე-2 ტერასის ალუვიური დანალექები, კენჭნარი კაჭარის ჩანართებით 10-15%-მდე, ნახევრად მაგარი, მუქი ყვითელი თიხნარის და იშვიათად ქვიშნარის (ლინზების სახით) შემავსებლით (**aQ**$_{III}$); მისი სიმძლავრე მერყეობს 2.0-3.0 მ-ის ფარგლებში. გრუნტი ალუვიური გენეზისისაა. ლაბორატორიული გამოკვლევისთვის შურფებიდან და ნაჩენებიდან აღებულია 5 ნიმუში. ნიმუშების ლაბორატორიული კვლევის შედეგები მოცემულია ქვემოთ მოყვანილ 9 და 10 ცხრილებში.

ცხრილი-9 ***სგე-5-ის გრანულომეტრიული შედგენილობა***

რიგითი № კრებსით ცხრილში	ნაჩენის, ჭაბ, შურფი №	სიღრმე, ინტერვალი, მ	ფრაქციების შემცველობა %, ზომების მიხედვით					გრუნტის დასახელება სახსტ. 25100-82-ის მიხედვით
			ლოდები და კაჭარი >200მმ	კენჭი 200-10მმ.	ხრეში 10-2მმ	ქვიშა, 2.0-0.1მმ	მტვერი 0.1-0.005 მმ. თიხა < 0.005 მმ.	
	შ.10	1.2-1.5	10.9	59.1	19.7	5.7	4.6	კენჭნარი თიხნარის შემავსებლით
	შ.10	1.5-1.9	13.7	55.7	15.6	7.8	7.2	კენჭნარი თიხნარის შემავსებლით
	შ.11	0.9-1.3	4.2	63.7	13.3	10.7	8.1	კენჭნარი თიხნარის შემავსებლით
	შ.11	1.5-2.0	14.6	55.0	21.6	4.3	4.5	კენჭნარი თიხნარის შემავსებლით
	47	-	9.1	57.7 7	21.7	5.6	5.9	კენჭნარი თიხნარის შემავსებლით

ცხრილი-10 ***სგე-5-ის შემავსებლის ფიზიკური თვისებების მახასიათებელთა მნიშვნელობები***

რიგითი № კრებსით ცხრილში	ნაჩენის, ჭაბ, შურფი №	სიღრმე, ინტერვალი, მ	შემავსებლის ტენიანობა, W%	შემავსებლის პლასტიკურობა			გრუნტის დასახელება სახსტ. 25100-82-ის მიხედვით
				ზედა ზღვარი, W_L%	ქვედა ზღვარი, W_p%	პლასტიკურობის რიცხვი, I_p	
	შ.10	1.2-1.5	14.1	21.4	13.8	7.6	კენჭნარი თიხნარის შემავსებლით
	შ.10	1.5-1.9	16.2	23.7	13.3	10.4	კენჭნარი თიხნარის შემავსებლით

	შ.11	0.9-1.3	14.4	22.5	15.5	7.0	კენჭნარი თიხნარის შემავსებლით
	შ.11	1.5-2.0	16.0	24.0	11.9	12.1	კენჭნარი თიხნარის შემავსებლით
	47	-	25.7	32.9	23.8	9.1	კენჭნარი თიხნარის შემავსებლით

ცხრილებში მოცემული შედეგების მიხედვით და სახსტ. 25100-82 კლასიფიკაციით **სგე-5** წარმოადგენს მსხვილნატეხოვან, კენჭნაროვან გრუნტს, რადგან 10 მმ-ზე მსხვილი ფრაქცია მეტია 50%-ზე. კენჭნაროვანი გრუნტის შემავსებელი პლასტიკურობის რიცხვის მიხედვით წარმოადგენს თიხნარს.

ელემენტის შინაგანი ხახუნის კუთხისა და შეჭიდულობის, ასევე დეფორმაციის მოდულის მნიშვნელობები გაანგარიშებულია შესაბამისი მეთოდიკით (ДальНИИС Госстроя СССР მიხედვით). გაანგარიშება შესრულდა ფიზიკური თვისებების მახასიათებლებზე დაყრდნობით და შესაბამისად შეადგენს:

- შინაგანი ხახუნის კუთხე $\varphi=35.1^0$
- შეჭიდულობა C=0.0077 მპა
- დეფორმაციის მოდული E=45.50 მპა;

სნ და წ. 2.02.01-83-ის მიხედვით, საანგარიშო წინაღობა R_0=0.45 მპა. გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით (სნ. და წ. IV-5-82, კრებ.1) განეკუთვნება **6-გ ჯგუფს**.

სგე-6 – ანდეზიტ-ბაზალტური შედგენილობის ლავები და პიროკლასტოლითები, მტკიცე, სუსტად გამოფიტული **($E_2^2gr_{1+2}+np_3$).** **სგე-6** გამოკვლეულია ნაჩენებიდან აღებული 6 ნიმუშით. გამოკვლეულია ქანის ბუნებრივი სიმკვრივე და სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე. სიმტკიცის განსაზღვრის ცდები ჩატარდა წერტილოვანი დატვირთვის მეთოდით. **სგე-6**-ის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების კვლევის სრული სურათი ასახულია დანართ-2-ში, ხოლო ქვემოთ, ცხრილი 11-ში მოცემულია პარამეტრთა გასაშუალოებული მნიშვნელობები.

ცხრილი-11 სგე-6-ის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მახასიათებელთა მნიშვნელობები

ნიმუშის აღების ადგილი	სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე $R_c(\sigma_u)_{საშ}$, მპა	სიმკვრივე, ρ,გრ/სმ^3
ნაჩენი №22	59.39	2.45
ნაჩენი №26	78.48	2.48
ნაჩენი №27	37.44	2.44
ნაჩენი №28	69.27	2.42
ნაჩენი №38	65.43	2.32
ნაჩენი №39	65.25	2.35

ცხრილში მოყვანილი მონაცემების მიხედვით, (სგე-6-ის) სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვისას იცვლება 37.44 მპა-დან 78.48 მპა-მდე, საშუალო მაჩვენებელი შეადგენს 62.54 მპა-ს. სახსტ. 25100-82 კლასიფიკაციით ანდეზიტური შედგენილობის ლავები არის მტკიცე კლდოვანი ქანი. ქანის მოცულობითი წონა იცვლება 2.32-2.48 გრ/სმ^3 ფარგლებში, საშუალო მნიშნელობით 2.41 გრ/სმ^3. გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით (სნ და წ. IV-5-82 კრებ-1) განეკუთვნება მე-19 ჯგუფს.

აღნიშნული ელემენტის კლდოვანი ქანების მასივის კლასი და ხარისხი (RMR) განისაზღვრა ტერიტორიაზე არსებული ნაჩენების გეომექანიკური აღწერის მონაცემების საფუძველზე, ASTM 2007-ის (კლდოვანი მასივის რეიტინგის სისტემა) შესაბამისად. გეომექანიკური აღწერის მონაცემთა დამუშავების შედეგები მოცემულია დანართ-8-ში, ხოლო მახასიათებელთა სიდიდეები მოყვანილია ქვემოთ, ცხრილ-12-ში.

ცხრილი-12 კლდოვანი ქანების კლასი და ხარისხი ნაჩენების გეომექანიკური აღწერის მიხედვით (B-ფაქტორის გათვალისწინების გარეშე)

ნაჩენის №	ფენის №	ჯამური რეიტინგი (RMR)	მასივის კლასი და ხარისხი
8	6	66	II-კარგი
9		67	
10		66	
11		67	
12		68	
13		70	

გრუნტის სიმკვრივის მნიშვნელობები მეორე ზღვრული მდგომარეობისათვის (ზიდვის უნარისთვის - დეფორმაციის მიხედვით) **α=0,85.**

$$\rho_{||}^{1} = \frac{2.41}{0.988} = 2.44\,\text{გ/სმ}^3 \qquad \rho_{||}^{2} = \frac{2.41}{1.012} = 2.38\,\text{გ/სმ}^3$$

გრუნტის სიმკვრივის მნიშვნელობები პირველი ზღვრული მდგომარეობისათვის (ამტანუნარიანობის მიხედვით) **α=0,95.**

$$\rho_{|}^{1} = \frac{2.41}{0.979} = 2.46\,\text{გ/სმ}^3 \qquad \rho_{|}^{2} = \frac{2.41}{1.021} = 2.36\,\text{გ/სმ}^3$$

საანგარიშო მნიშვნელობა: R_c**=51.26 მპა (513 კგძ/სმ^2)**

<u>სგე-7</u> – ტუტე სიენიტები და დიორიტები, მტკიცე, სუსტად გამოფიტული **(ξE_2^2).** სგე-7 გამოკვლეულია ნაჩენებიდან აღებული 10 ნიმუშით. გამოკვლეულია ქანის ბუნებრივი სიმკვრივე და სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე. სიმტკიცის განსაზღვრის ცდები ჩატარდა წერტილოვანი დატვირთვის მეთოდით. სგე-7-ის ფიზიკურ- მექანიკური თვისებების კვლევის სრული სურათი ასახულია დანართ-2-ში, ხოლო ქვემოთ, ცხრილ 13-ში მოცემულია პარამეტრთა საბოლოო გასაშუალოებული მნიშვნელობები.

ცხრილი-13 სგე-7-ის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მახასიათებელთა მნიშვნელობები

ნიმუშის აღების ადგილი	სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე $R_c(\sigma_u)_{საშ}$, მპა	სიმკვრივე, ρ,გრ/სმ^3
ნაჩენი №2	33.35	2.37
ნაჩენი №10	51.95	2.36
ნაჩენი №12	53.48	2.32
ნაჩენი №13	91.54	2.40
ნაჩენი №16	61.95	2.41
ნაჩენი №17	58.94	2.38
ნაჩენი №19	73.83	2.43
ნაჩენი №20	37.31	2.40
ნაჩენი №23	96.4	2.40
ნაჩენი №24	21.78	2.42

ცხრილში მოყვანილი მონაცემების მიხედვით, (სგე-7-ის) სიმტკიცის ზღვარი

ერთღერძა კუმშვისას იცვლება 21.78 მპა-დან 96.4 მპა-მდე, საშუალო მაჩვენებელი შეადგენს 58.05 მპა-ს. სახსტ. 25100-82 კლასიფიკაციით დიორიტები არის მტკიცე კლდოვანი ქანი. ქანის მოცულობითი წონა იცვლება 2.32-2.43 გრ/სმ^3 ფარგლებში, საშუალო მნიშნელობით 2.39 გრ/სმ^3. გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით (სნ და წ. IV-5-82 კრებ-1) განეკუთვნება **18-ვ ჯგუფს.**

აღნიშნული ელემენტის კლდოვანი ქანების მასივის კლასი და ხარისხი (RMR) განისაზღვრა ტერიტორიაზე არსებული ნაჩენების გეომექანიკური აღწერის მონაცემების საფუძველზე, ASTM 2007-ის (კლდოვანი მასივის რეიტინგის სისტემა) შესაბამისად. გეომექანიკური აღწერის მონაცემთა დამუშავების შედეგები მოცემულია დანართ-7-ში, ხოლო მახასიათებელთა სიდიდეები მოყვანილია ქვემოთ, ცხრილ-14-ში.

ცხრილი-14 კლდოვანი ქანების კლასი და ხარისხი ნაჩენების გეომექანიკური აღწერის მიხედვით (B-ფაქტორის გათვალისწინების გარეშე)

ნაჩენის №	ფენის №	ჯამური რეიტინგი (RMR)	მასივის კლასი და ხარისხი
1	7	63	II-კარგი
2		67	
3		70	
4		71	
5		67	
6		66	
7		70	

გრუნტის სიმკვრივის მნიშვნელობები პირველი ზღვრული მდგომარეობისათვის (ზიდვის უნარისთვის - ამტანუნარიანობის მიხედვით) **α=0,95:**

$$\rho_{|}^{1}=\frac{2.39}{0.993}=2.41\,\text{გ/სმ}^3 \qquad \rho_{|}^{2}=\frac{2.39}{1.008}=2.37\,\text{გ/სმ}^3$$

გრუნტის სიმკვრივის მნიშვნელობები მეორე ზღვრული მდგომარეობისათვის (დეფორმაციის მიხედვით) **α=0,85:**

$$\rho_{||}^{1}=\frac{2.39}{0.996}=2.40\,\text{გ/სმ}^3 \qquad \rho_{||}^{2}=\frac{2.39}{1.0045}=2.38\,\text{გ/სმ}$$

საანგარიშო მნიშვნელობა: $\boldsymbol{R_c}$**=48.88 მპა (489 კგძ/სმ^2)**

გრუნტების ლაბორატორიული და საველე გეოფიზიკური სეისმო-საძიებო გამოკვლევების, საველე იდენტიფიკაციისა და არსებული ფონდური მასალების შესწავლის საფუძველზე (ძირითადად ,,ჰიდროპროექტი“-ს მასალები), გრუნტების კლასიფიკაციის სახელმწიფო სტანდარტით (სახ.სტანდ. 25.100-82), საკვლევ უბანზე გამოყოფილი იქნა შვიდი ძირითადი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე), რომელთა გაერთიანებული გეოტექნიკური მახასიათებლები მოყვანილია **N15 ცხრილში** (შენიშვნა: წილადის სახით მოცემული მნიშვნელობები შეესაბამება: მნიშვნელში - ნორმატიულს, მრიცხველში - საანგარიშოს)

გრუნტების ფიზიკურ-მექნიკური (გეოტექნიკური) თვისებების მაჩვენებელთა საანგარიშო მნიშვნელობები
ცხრილი №15

მაჩვენებელთა დასახელება		სგე-ის N და გეოლოგიური ინდექსი						
		N1-pQIV	N2-dl-dpQIV	N3-edQIV	N4 - aQIV	N5 - aQIII	N6 - $P_2^2 gr_{1+2+}np_3$	N7-pbeƷP_2^2
სიმკვრივე, კნ/მ³	გრუნტის ნაწილაკთა, ρ_s	2700	2710	2705	2690	2700	-	-
	გრუნტის ბუნებრივი ტენიანობისას,ρ	2230	2210	1900	2260	2270	2410	2390
	მშრალი გრუნტის, ρ_d	-	-	1475	-	-	-	-
ფორიანობა, n% ფორიანობის კოეფიციენტი, e		-	-	45.87 0.848	-	-	-	-
ტენიანობა, W%; ბუნებრივი/შემავსებლის		18.5/27.9	20.1/37.85	29.7	11.92/22.7	5.0.3/10.9	-	-
დარბილების კოეფიციენტი, Fs		-	-	-	-	-	0.77-0.79	0,76
დროებითი წინაღობა კუმშვაზე, R_c მპა		-	-	-	-	-	51.3/62.5	48.9/62.08
საერთო დეფორმაციის მოდული (დრეკადობის მოდული), E მპა		41.83	24.92	14.00	42.69	45.50	20 000-22000 (წყალნაჯერი)	-
შიგა ხახუნის კუთხე, φ^0		30,7/33,8 24.3/26.7	29,0/31,9 22.6/29.9	19.1/22.0 15.1/18.3	32,3/35,3 25.6/28.2	31,9/35,1 25.6/28.1	-	-
შეჭიდულობა C, კპა		11,5/17,2 7.21/10.82	6,67/10,0 4.52/6.78	1.50/2.20	4,8/7,2 2.38/3.57	5,2/7,7 1.99/2.98	-	-
გრუნტის საანგარიშო წინააღმდეგობა, R_0, მპა		0.4	0.4	0.23	0.5	0.45	-	-
ფილტრაციის კოეფიციენტი, $K_ფ$ მ/დღეღამე		10.0-20.0	15.0-25.0	0.3-0.5	30.0-40.0	10.0-15.0	-	-
ხვედრითი წყალშთანთქმა, q ლ/წთ		-	-	-	-	-	0.05-0.1	- /0.01-0.5
დროებითი ქანობი ქვაბულში (3/5 მეტრ-დე)		1:1	1:1	1:0,75/1:1	1:1	1:1	1:0.5	1:0.5
ჯგუფი დამუშავების სიძნელის მიხედვით, СНиП IV.2-82		6ა	6ა	33გ	6გ	6გ	19	18ვ
დამუშავების კატეგორია		II	II	III	IV	IV	VII	VII

4.3 ჰიდროკვანძში შემავალ ნაგებობათა საინჟინრო-გეოლოგიური პირობები

ნატანების ჰესი III ჰიდროკვანძი მოქცეულია მდ.ნატანების კალაპოტის 400-650 მ. აბს. ნიშნულებს შორის, რომლის საბოლოო სახით წარმოსადგენად განხილული იქნა მის შემადგენლობაში შემავალ ნაგებობათა განლაგების ალტერნატიული ვარიანტები. მათ შორის შერჩეული უბნების საინჟინრო-გეოლოგიური პირობები თანმიმდევრულად განხილულია შემდგომ ქვეთავებში.

ჰიდროკვანძი ზოგადად წარმოდგენილია შემდეგი ნაგებობებით:

1. ტიროლის ტიპის წყალშემკრები კაშხალი;
2. პერიოდული რეცხვის სალექარი და სადაწნეო აუზი;
3. სადაწნეო სადერივაციო მილსადენი;
5. ჰესის შენობა (საგენერატირო) და გამყვანი არხი.

ქვემოთ მოყვანილ ქვეთავებში დეტალურად განხილულია ჰიდროკვანძში შემავალ ნაგებობათა განთავსების უბნების საინჟინრო-გეოლოგიური პირობები.

4.3.1 ტიროლის ტიპის წყალშემკრები კაშხალი, პერიოდული რეცხვის სალექარი და სადაწნეო აუზი

ტიროლის ტიპის წყალშემკრები კაშხალი, მასთან მიმდებარე პერიოდული რეცხვის სალექარი და სადაწნეო აუზი დანიშნულია მდ.ნატანების ხეობაში, მდინარის კიდის 645-650 მ.აბს. ნიშნულების ფარგლებში. კაშხლის გასწორში ხეობის ძირის სიგანე 110-120 მეტრია, სადაც მდინარის ორივე მხარეს განვითარებულია ტერასები, მარცხენაზე 70 მეტრამდე სიგანის და 2-3 მ სიმაღლის, ხოლო მარჯვენაზე 25-30 მეტრი სიგანის და 0,5-1,0 მეტრი სიმაღლის. კაშხლის გასწორში მდ.ნატანების ძირითადი კალაპოტის სიგანე 10-15 მეტრია, ხოლო მარჯვენა ტოტის 5 მეტრი. მათ შორის არსებული კუნძულის მაქსიმალური სიგანე 10 მტრია, სიგრძე კი 12-15 მეტრი (გაერთიანებული კალაპოტის სიგანე საშუალოდ 25-30 მეტრია). მარცხენა სანაპირო ფერდი საშუალოდ ციცაბო და მეტად დახრილია (30^0), ვიდრე მარჯვენა, რომლის დახრილობა აღწევს $15-17^0$-ს.

ორივე სანაპირო ფერდი აგებულია კლდოვანი ქანებით, წარმოდგენილი გურიის ქვეწყების ბრქჩიებით და ბაზალტებით **(სგე N6),** რომლებიც მარცხენაზე გადაფარულია მცირე სიმძლავრის (საშუალოდ 1-3 მეტრი) მეოთხეულის ელუვიურ-დელუვიური ღორღისა და ხვინჭის შემცველი თიხა-თიხნარებით **(სგე N3),** ხოლო მარჯვენაზე პროლუვიური დანალექებით - ხვინჭა, ღორღი და ლოდები თიხნარ-ქვიშნარის შემავსებლით **(სგე N1).**

კაშხლის, სალექარის და სადაწნეო აუზის განთავსების გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობას ღებულობენ, როგორც გურიის ქვეწყების კლდოვანი

ქანები **(სგე N6),** ასევე მეოთხეულის ალუვიური კაჭარ-კენჭნაროვანი დანალექები ლოდების ჩანართებით **(სგე N4)** და პროლუვიური დანალექები **(სგეN1).** პალეოგენის შუა ეოცენური ასაკის გურიის ქვეწყების ძირითადი კლდოვანი ქანებით აგებულია ხეობის კალაპოტის ლოჟა და ფერდები, რომლებიც წარმოდგენილია ბაზალტებით და ბრექჩიებით **(სგეN6),** ხოლო თავად გაერთიანებული კალაპოტი და მიმდებარე ტერასები აგებულია ალუვიური დანალექებით **(სგეN4),** რომელთა სიმძლავრე „ჰიდროპროექტი“-ის მონაცემებით და გეოფიზიკური კვლევების საფუძველზე საშუალოდ 6,5-7,0 მეტრია. ამ უბანზე გაყვანილი იქნა ორი შურფი - **N1 და N2,** საშუალოდ ორ მეტრ სიღრმემდე. გრუნტის წყლების სიღრმე შურფის და გეოფიზიკური კვლევების საფუძველზე 1.0-2.5 მეტრია. ძირითადი კლდოვანი ქანები ზედაპირულ ზონაში სუსტად გამოფიტული და მცირედ დანაპრალიანებულია (1.0-1.5 მეტრიანი ზონა) **(სურ.8).**

კაშხლის საფუძვლად რეკომენდირებული იქნება კლდოვანი ქანები **(სგეN6)** მათი გამოფიტვის სიმძლავრის გათვალისწინებით, რომელიც გეოფიზიკური კვლევების მონაცემებით, საშუალოდ 1-2 მეტრია. მშენებლობისას, ქვაბულში გასათვალისწინებელი იქნება ფილტრაციული გრუნტის წყლების მოდენა, ხოლო ღრმა ქვაბულის შემთხვევაში, შესაბამისი მდგრადობის ფერდოების შერჩევა **(ნახ.GS-2, ფურც.1, ნახ.GS-3, ფურც.1)**

სალექარი და სადაწნეო აუზი ასევე დაფუძნდება ძირითად კლდოვან ქანებში **(სგეN6)** და ზედაპირიდან გაკვეთს, საშუალოდ 1-1,5 მეტრი სიმძლავრის, პროლუვიურ დანალექებს, წარმოდგენილს თიხნარ-ქვიშნარის შემავსებლიანი ხვინჭით, ღორღით და ლოდებით **(სგე N1).**



სურ. 8

თანამედროვე საშიში გეოლოგიური პროცესებიდან, რომლებიც თავისი მასშტაბით საფრთხეს შეუქმნიდნენ კაშხლის, სლექარის და სადაწნეო აუზის ფუნქციონირებას არ ფიქსირდება, რადგან კაშხლის ტიპად მდინარის ღვარცოფულობიდან გამომდინარე, შერჩეულია უსაფრთხო ალტერნატივა -„ტიროლის“

ტიპის დაბალდაწნევიანი წყალშემკრები კაშხალი, ხოლო სალექარი და მასზე გადაბმული სადაწნეო აუზი დაცული იქნება შესაბამისი საინჟინრო ნაგებობებით (დამცავი კედელი, დამბა, გაბიონების სისტემა, წყალამრიდი არხები და სხვა).

4.3.2 სადაწნეო სადერივაციო მილსადენი

საველე კვლევების პროცესში განვიხილეთ სადაწნეო სადერივაციო მილსადენის ტრასის ორი ვარიანტი - ერთი ფერდობის ზედა ნიშნულებზე, ხოლო მეორე - მდ. ნატანების კალაპოტის სიახლოვეს, რომლის შედეგად ჰიდრომშენებლებთან კონსულტაციის და გეოლოგიური პირობების გათვალისწინებით, პრიორიტეტი მიენიჭა და პროექტირება-მშენებლობისთვის შერჩეული იქნა სადერივაციო მილსადენის ტრასის II ალტერნატიული ვარიანტი.

რელიეფი, რომელსაც გადაკვეთს მილსადენის ტრასა, დანაწევრებულია მდ. ნატანების შენაკადებით, პერიოდულად მოქმედი ხევებით და ღარტაფებით, ხოლო ფერდობების დახრილობა ზოგიერთ მონაკვეთზე ძალიან ციცაბოა.

ა) სადერივაციო მილსადენის ტრასის I ალტერნატიული ვარიანტი

სადაწნეო სადერივაციო მილსადენის საპროექტო ტრასა განლაგდება მდ.ნატანების ხეობის მარჯვენა ფერდზე **650-404** მ.აბს. ნიშნულებს შორის (სათავე ნაგებობებიდან ჰესის შენობამდე), რომლის საორიენტაციო სიგრძე **4416 მეტრია (ნახ.GS-2 და GS-6).**

სადერევაციო მილსადენის ტრასა სადაწნეო აუზიდან - **პკ0+00-დან პკ1+00**-მდე მონაკვეთში გაკვეთს პროლუვიურ დანალექებს **(სგეN1)** და განლაგდება გურიის ქვეწყების კლდოვან ქანებში **(სგეN6).** აღნიშნულ უბანზე, ფერდის მხრიდან ნაგებობის დასაცავად უნდა მოეწყოს ბეტონის კედელი. **პკ1+26-ზე** მილსადენი გადაკვეთს წყლოვან ხევს, სადაც საჭირო იქნება დამცავი ღონისძიების გატარება, რაც გულისხმობს მილსადენის თავზე წყალგამტარი არხის მოწყობას.
ამ უბანზე მილსადენის დაზიანების შემცველი სხვა საშიში გეოლოგიური პროცესი არ ფიქსირდება.

პკ1+00-პკ2+24-ს შორის ტრასა ზედაპირიდან გაკვეთს ელუვიურ-დელუვიურ დანალექებს **(სგეN3)** და განლაგდება: პირველ ნაწილში **(პკ1+70-მდე)** გურიის ქვეწყების კლდოვან ქანებში **(სგეN6),** ხოლო მეორე ნაწილში ნაფოცხვარას ქვეწყების ასევე კლდოვან ქანებში **(სგეN6).**
ამ უბანზე მილსდენის დაზიანების შემცველი სხვა საშიში გეოლოგიური პროცესი არ ფიქსირდება.

პკ2+24-პკ2+52-ს შორის ტრასა განლაგდება ნფოცხვარას ქვეწყების კლდოვან ქანებში **(სგეN6).**

ამ უბანზე მილსდენის დაზიანების შემცველი სხვა საშიში გეოლოგიური პროცესი არ ფიქსირდება.

პკ2+52-პკ3+26-ს შორის ტრასა გადაკვეთს კლდეზვავის ტიპის მეწყრულ სხეულს, ხილული სიმძლავრით1-1,5 მეტრი **(იხ. მეწყრის აღწერა).** მეწყრულ მასებში მკაფიოდ ჩანს კლდოვანი ქანების გამოსავლები. საჭირო იქნება მეწყრული მასების გატანა და მიმდებარე ფერდის დაფარვა ლითონის ბადით, რომლის შემდგომ განხორციელდება კლდოვან ქანებში **(სგეN6)** გაჭრილ ტრანშეაში მილსადენის ჩაღრმავება. **პკ2+28**-ზე ტრასა გადაკვეთს მცირე ზომის უწყლო ხევს, რომლის ზემოქმედებისგან მილსადენის დასაცავად საჭირო იქნება მილსადენის ტრანშეის ბეტონის ფილებით გადახურვა და მისი მიტვირთვა თიხნაროვანი გრუნტებით.
ამ უბანზე მილსდენის დაზიანების შემცველი სხვა საშიში გეოლოგიური პროცესი არ ფიქსირდება.

პკ3+26-პკ3+74-ს შორის ტრასა ზედაპირიდან გაკვეთს მცირე სიმძლავრის (1-2მ) ელუვიურ-დელუვიურ დანალექებს **(სგეN3)** და ჩაღრმავდება ძირითად ქანებში **(სგეN6).**
ამ უბანზე მილსდენის დაზიანების შემცველი სხვა საშიში გეოლოგიური პროცესი არ ფიქსირდება.

პკ3+74-პკ4+64-ს შორის ტრასა სრულად განლაგდება ნაფოცხვარას კლდოვან ქანებში **(სგეN6).**
ამ უბნებზე მილსადენის დაზიანების შემცველი საშიში გეოლოგიური პროცესები არ ფიქსირდება.

პკ4+64-პკ12+69-ს შორის ტრასა ზედაპირიდან გაკვეთს ელუვიურ-დელუვიურ დანალექებს **(სგეN3)** და ჩაღრმავდება ძირითად კლდოვან ქანებში, სადაც **პკ5+62**-მდე (სავარაუდოდ ამ უბანზე გადის ტექტონიკური რღვევა) გვექნება ნაფოცხვარას ქვეწყების კლდოვანი ქანები **(სგეN6),** შემდგომ **პკ12+00**-მდე გურიის ქვეწყების კლდოვანი ქანები **(სგეN6),** ხოლო **პკ12+69**-მდე ტრასა განლაგდება შუა ეოცენურ ინტრუზივებში **(სგეN7). პკ-6+64**-ზე ტრასა გადაკვეთს წყლოვან ხევს, რომლის კალაპოტში შიშვლდებიან ძირითადი კლდოვანი ქანები **(სგეN7),** ხოლო ხეობის ფერდები დაფარულია მცირე სიმძლავრის პროლუვიური დანალექებით **(სგეN1).** ამ უბანზე საჭირო იქნება დამცავი ღონისძიებების გატარება, რაც გულისხმობს მილსადენის ქვეშ ხევების გამტარუნარიანობის შესაბამისი გადასასვლელების მოწყობას.

აქვე, **პკ6+80-პკ8+00-ს** შორის, საპროექტო ტრასის გასწვრივ 20-25 მეტრში, ფერდის მხარეს ფიქსირდება კოლუვიური დანაგროვები, რომლის არეალში განვითარებულია ქვათაცვენის პროცესი. ამ უბანზე ტრასის გასწვრივ საჭირო იქნება დამცავი კედლის მოწყობა გაბიონის ან ბეტონის კედლის სახით. **პკ8+89**-ზე ტრასა გადაკვეთს მცირე ზომის პერიოდულ წყლოვან ხევს, რომლის ზემოქმედებისგან

დასაცავად საჭირო იქნება მილსადენისთვის მოწყობილი ტრანშეის გადახურვა ბეტონის ფილებით.
ამ უბანზე მილსადენის დაზიანების შემცველი სხვა საშიში გეოლოგიური პროცესი არ ფიქსირდება.

პკ12+69-პკ14+06-ს შორის ტრასა სრულად განლაგდება შუა ეოცენის ინტრუზივებში მოწყობილ თაროზე **(სგეN7),** სადაც **პკ13+62**-ზე ტრასა გადაკვეთს ღვარცოფულ ხევს, სადაც უნდა მოეწყოს ღვარცოფული ნაკადის გამტარუნარიანობის შესაბამისი გადასასვლელი ხიდი, რითაც გამორიცხული იქნება მილსადენის დაზიანების შესაძლებლობა.
ამ უბანზე მილსადენის დაზიანების შემცველი საშიში გეოლოგიური პროცესები არ ფიქსირდება.

პკ14+06-პკ17+09-ს შორის ტრასა ზედაპირიდან გაკვეთს მცირე სიმძლავრის ელუვიურ-დელუვიურ დანალექებს **(სგეN3)** და ჩაღრმავდება ინტრუზიულ კლდოვან ქანებში (სგეN8). **პკ16+70**-ზე ტრასა გადაკვეთს მცირე ხევს, სადაც უნდა მოეწყოს შესაბამისი კვეთის წყალგამტარი.
ამ უბანზე მილსდენის დაზიანების შემცველი სხვა საშიში გეოლოგიური პროცესი არ ფიქსირდება.

პკ17+09-პკ19+50-ს შორის ტრასა სრულად განლაგდება შუა ეოცენურ ინტრუზივებში მოწყობილ თაროზე **(სგეN7). პკ18+93**-ზე ტრასა გადაკვეთს წყლოვან მცირე ხევს, ფერდების სიმაღლით 5-7 მეტრი, რომელზეც უნდა მოეწყოს ხიდური გადასასვლელი.
ამ უბანზე მილსდენის დაზიანების შემცველი სხვა საშიში გეოლოგიური პროცესი არ ფიქსირდება.

პკ19+50-პკ34+00-ს შორის სადერივაციო მილსადენის ტრასა ზედაპირიდან გაკვეთს სხვადასხვა სიმძლავრის (1-3მ) ელუვიურ-დელუვიურ დანალექებს **(სგეN3)** და ჩაღრმავდება ძირითად კლდოვან ქანებში, სადაც **პკ33+65-მდე** გვექნება შუა ეოცენური ინტრუზივები, წარმოდგენილი სიენიტების სახით **(სგეN7),** ხოლო შემდგომ **პკ34+00-მდე** გურიის ქვეწყების სუსტად გამოფიტული კლდოვანი ქანები **(ბრექჩიები და ანდეზიტები-სგეN6).**

ამ მონაკვეთზე სადერივაციო ტრასა გადაკვეთს **6 ხევს,** რომელთაგან სამი წყლოვანი ხევის **(პკ23+06, პკ25+52 და პკ32+29-ზე)** ძირში შიშვლდებიან ძირითადი კლდოვანი ქანები, წარმოდგენილი შუა ეოცენის ინტრუზიული წარმოშობის სიენიტებით (სგეN8), რაც მიუთითებს მათ ღვარცოფულ ბუნებაზე, რადგანაც საველე კვლევების პერიოდისთვის ხევების წყლოვანი ნაკადებით მდ. ნატანების კალაპოტისკენ უკვე გადაადგილებული იყო ხევების ძირზე დაგროვილი ელუვიურ-დელუვიური დანალექების ჩამონაშალი მასალა, რაც დამახასიათებელია საკვლევი

რაიონისთვის. აღნიშნულ ხევებზე უნდა მოეწყოს ხიდური გადასასვლელები ხევების კვეთში გამავალი ღვარცოფული ნაკადების მოცულობის გათვალისწინებით.

დარჩენილი სამი უწყლო ხევიდან **(პკ27+62, პკ30+30 და პკ33+10)** ერთ-ერთ მცირე ხევზე **(პკ27+62)** მილსადენის თავზე უნდა მოეწყოს წყალგამტარი არხი, ხოლო ორზე აკვედუკის ტიპის გადასასვლელი.

ამ უბანზე მილსდენის დაზიანების შემცველი სხვა საშიში გეოლოგიური პროცესი არ ფიქსირდება.

პკ34+00-პკ42+88-ს შორის სადერივაციო მილსადენის ტრასა განლაგდება მდ. ნატანების ჭალისზედა მეორე ტერასაზე, რომელიც გეოლოგიურად აგებულია ალუვიური დანლექებით **(სგეN5),** ხოლო ზემოდან გადაფარულია დელუვიურ-პროლუვიური დანალექებით **(სგეN2)** და შესაბამისად სადერივაციო ტრასა მოექცევა აღნიშნულ დანალექში.

ამ უბანზე მილსდენის დაზიანების შემცველი სხვა საშიში გეოლოგიური პროცესი არ ფიქსირდება.

ამ მონაკვეთზე სადერივაციო მილსადენი ოთხ უბანზე: **პკ 35+78, პკ 36+93, პკ 37+74 და პკ 39+88 -ზე** გადაკვეთს ხევებს, რომელთაგან პირველი ორი პერიოდულად წყლიანია და მათი ზემოქმედებისგან მილსადენის დასაცავად საჭირო იქნება მილსადენის ტრანშეის ბეტონის ფილებით გადახურვა. მომდევნო ორი ხევი მუდმივად წყლიანია და მათზე საჭირო იქნება აკვედუკის ტიპის გადასასვლელების მოწყობა, ხეობის კვეთში წყლის ხარჯის გატარების გათვალისწინებით.

ამ უბანზე მილსადენის დაზიანების შემცველი საშიში გეოლოგიური პროცესები არ ფიქსირდება.

პკ 42+88 - პკ 43+24-ს შორის გადაიკვეთება 10-15მ სიმაღლის შვეული - 65-70^0-ანი დახრილობის მქონე კლდოვანი ფერდი, წარმოდგენილი ნაპრალოვანი და ძლიერ მტკიცე ტუფობრექჩიებით **(სგეN6).** აღნიშნული კლდოვანი ფერდი საკმაოდ საიმედოა საანკერე დამჭერებისთვის მილსადენის მოსაწყობად. *ამ უბანზე სხვა საშიში გეოლოგიური პროცესი არ ფიქსირდება.*

სადერივაციო მილსადენის ტრასის ბოლო მონაკვეთი, **პკ 43+24 - პკ 44+16**-ს (ჰესის შენობა) შორის განლაგდება ტერასაზე, ალუვიურ კაჭარ-კენჭნარებში ჩაღრმავებით **(სგეN4).** ტრანშეის გაჭრისას გასათვალისწინებელი უნდა იქნეს წყალმოდინება ქვაბულში. *ამ უბანზე საშიში გეოლოგიური პროცესი არ ფიქსირდება.*

ბ) სადერივაციო მილსადენის ტრასის II ალტერნატიული ვარიანტი

სადაწნეო სადერივაციო მილსადენის საპროექტო ტრასა განლაგდება მდ. ნატანების ხეობის მარჯვენა ფერდზე **650-410** მ.აბს. ნიშნულებს შორის (სათავე

ნაგებობებიდან ჰესის შენობამდე), რომლის საორიენტაციო სიგრძე **4540 მეტრია (ნახ.GS-2,GS-5 და GS-6).**
სადერევაციო მილსადენის ტრასა **პკ0+00-პკ1+67-მდე** მონაკვეთში გაკვეთს პროლუვიურ დანალექებს **(სგეN1)** და განლაგდება გურიის ქვეწყების კლდოვან ქანებში **(სგეN6).** აღნიშნულ უბანზე, ფერდის მხრიდან ნაგებობის დასაცავად უნდა მოეწყოს ბეტონის კედელი. **პკ0+90-ზე** მილსადენი გადაკვეთს წყლოვან ხევს, სადაც საჭირო იქნება დამცავი ღონისძიების გატარება, რაც გულისხმობს მილსადენის თავზე წყალგამტარი არხის მოწყობას.
ამ უბანზე მილსადენის დაზიანების შემცველი სხვა საშიში გეოლოგიური პროცესი არ ფიქსირდება.

პკ1+67-პკ2+77-ს შორის ტრასა ზედაპირიდან გაკვეთს ელუვიურ-დელუვიურ დანალექებს **(სგეN3)** და განლაგდება: პირველ ნაწილში **(პკ2+30-მდე)** გურიის ქვეწყების კლდოვან ქანებში **(სგეN6),** ხოლო მეორე ნაწილში ნაფოცხვარას ქვეწყების ასევე კლდოვან ქანებში **(სგეN6).**
ამ უბანზე მილსდენის დაზიანების შემცველი სხვა საშიში გეოლოგიური პროცესი არ ფიქსირდება.

პკ2+77-პკ3+07-ს შორის ტრასა განლაგდება ნფოცხვარას ქვეწყების კლდოვან ქანებში **(სგეN6).**
ამ უბანზე მილსდენის დაზიანების შემცველი სხვა საშიში გეოლოგიური პროცესი არ ფიქსირდება.

პკ3+07-პკ3+79-ს შორის ტრასა გადაკვეთს კლდეზვავის ტიპის მეწყრულ სხეულს, ხილული სიმძლავრით1-1,5 მეტრი (იხ.მეწყრის აღწერა). მეწყრულ მასებში მკაფიოდ ჩანს კლდოვანი ქანების გამოსავლები. საჭირო იქნება მეწყრული მასების გატანა და მიმდებარე ფერდის დაფარვა ლითონის ბადით, რომლის შემდგომ განხორციელდება კლდოვან ქანებში **(სგეN6)** გაჭრილ ტრანშეაში მილსადენის ჩაღრმავება. **პკ3+36-ზე (კოორდ: 266145/4640015)** ტრასა გადაკვეთს მცირე ზომის უწყლო ხევს, რომლის ზემოქმედებისგან მილსადენის დასაცავად საჭირო იქნება მილსადენის ტრანშეის ბეტონის ფილებით გადახურვა და მისი მიტვირთვა თიხნაროვანი გრუნტებით.
ამ უბანზე მილსდენის დაზიანების შემცველი სხვა საშიში გეოლოგიური პროცესი არ ფიქსირდება.

პკ3+79-პკ5+22-მდე ტრასა განლაგდება ნფოცხვარას ქვეწყების კლდოვან ქანებში **(სგეN6).**
ამ უბანზე მილსდენის დაზიანების შემცველი სხვა საშიში გეოლოგიური პროცესი არ ფიქსირდება.

პკ5+22-პკ5+42-ს შორის ტრასა ზედაპირიდან გაკვეთს მცირე სიმძლავრის (1-2მ) ელუვიურ-დელუვიურ დანალექებს **(სგეN3)** და ჩაღრმავდება ძირითად ქანებში **(სგეN6).**
ამ უბანზე მილსდენის დაზიანების შემცველი სხვა საშიში გეოლოგიური პროცესი არ ფიქსირდება.

პკ5+42-პკ6+30-ს შორის მილსადენი ჩაღრმავდება დელუვიურ-პროლუვიურ დანალექებში **(სგეN2)** და დაფუძნდება ტერასულ ალუვიურ ნალექებში **(სგეN5).**
ამ უბანზე მილსდენის დაზიანების შემცველი სხვა საშიში გეოლოგიური პროცესი არ ფიქსირდება.

პკ6+30-პკ6+40-ს შორის ტრასა სრულად განლაგდება ნაფოცხვარას კლდოვან ქანებში **(სგეN6).**
ამ უბნებზე მილსადენის დაზიანების შემცველი საშიში გეოლოგიური პროცესები არ ფიქსირდება.

პკ6+40-პკ8+10-მდე ტრასა გადაინაცვლებს მდინარის მიმართულებით და განლაგდება მდინარეულ ალუვიურ კენჭნარებში **(სგეN4).** მილსადენის ტრანშეაში ჩადების სიღრმე უნდა განისაზღვროს ჰიდროლოგიური გაანგარიშებების საფუძველზე. **პკ-7+51-ზე** ტრასა გადაკვეთს წყლოვან ხევს. ამ უბანზე საჭირო იქნება დამცავი ღონისძიებების გატარება, რაც გულისხმობს მილსადენის ჩასმას რკინაბეტონის სარკოფაგში. **პკ6+50**-ის ფარგლებში სავარაუდოდ გადის ტექტონიკური რღვევა, რომლის ურთიერთსაწინააღმდეგო ფრთები აგებულია ნაფოგხვარის გა გურიის ქვეწყებების კლდოვანი ქანებით **(სგეN6).**
ამ უბანზე მილსდენის დაზიანების შემცველი სხვა საშიში გეოლოგიური პროცესი არ ფიქსირდება.

პკ8+10-პკ11+92-ს შორის ტრასა ზედაპირიდან გაკვეთს მცირე სიმძლავრის ელუვიურ-დელუვიურ დანალექებს **(სგეN3)** და ჩაღრმავდება ნაფოცხვარას ქვეწყების ძირითად კლდოვან ქანებში **(სგეN6).**
ამ უბანზე მილსდენის დაზიანების შემცველი სხვა საშიში გეოლოგიური პროცესი არ ფიქსირდება.

პკ11+92-პკ14+41-მდე ტრასა გადაინაცვლებს მდინარის მიმართულებით და განლაგდება მდინარეულ ალუვიურ კენჭნარებში **(სგეN4).** მილსადენის ტრანშეაში ჩადების სიღრმე უნდა განისაზღვროს ჰიდროლოგიური გაანგარიშებების საფუძველზე.
ამ უბანზე მილსდენის დაზიანების შემცველი სხვა საშიში გეოლოგიური პროცესი არ ფიქსირდება.

პკ14+41-პკ15+80-ს შორის ტრასა სრულად განლაგდება შუა ეოცენის ინტრუზივის კლდოვან ქანებში მოწყობილ თაროზე **(სგეN7). პკ14+92**-ზე მილსადენის ტრასა გადაკვეთს ღვარცოფულ ხევს, სადაც უნდა მოეწყოს ღვარცოფული ნაკადის გამტარუნარიანობის შესაბამისი გადასასვლელი ხიდი, რითაც გამორიცხული იქნება მილსადენის დაზიანების შესაძლებლობა.
ამ უბანზე მილსდენის დაზიანების შემცველი სხვა საშიში გეოლოგიური პროცესი არ ფიქსირდება.

პკ15+80-პკ17+46-ს შორის ტრასა გადაინაცვლებს მდინარის მიმართულებით და განლაგდება მდინარეულ ალუვიურ კენჭნარებში **(სგეN4).** მილსადენის ტრანშეაში ჩადების სიღრმე უნდა განისაზღვროს ჰიდროლოგიური გაანგარიშებების საფუძველზე.
ამ უბანზე მილსდენის დაზიანების შემცველი სხვა საშიში გეოლოგიური პროცესი არ ფიქსირდება.

პკ17+46-პკ18+73-ს შორის ტრასა ზედაპირიდან გაკვეთს მცირე სიმძლავრის ელუვიურ-დელუვიურ დანალექებს **(სგეN3)** და ჩაღრმავდება ინტრუზიულ კლდოვან ქანებში **(სგეN7). პკ18+43**-ზე ტრასა გადაკვეთს მცირე ხევს, სადაც უნდა მოეწყოს შესაბამისი კვეთის წყალგამტარი.
ამ უბანზე მილსდენის დაზიანების შემცველი სხვა საშიში გეოლოგიური პროცესი არ ფიქსირდება.

პკ18+73-პკ22+41-მდე ტრასა სრულად განლაგდება შუა ეოცენის ინტრუზივის კლდოვან ქანებში მოწყობილ თაროზე **(სგეN7). პკ20+57**-ზე მილსადენის ტრასა გადაკვეთს მცირე წყლიან ხევს, ბორტების სიმაღლით 5-7 მეტრი, რომელზეც უნდა მოეწყოს ხიდური გადასასვლელი, რითაც გამორიცხული იქნება მილსადენის დაზიანების შესაძლებლობა.
ამ უბანზე მილსდენის დაზიანების შემცველი სხვა საშიში გეოლოგიური პროცესი არ ფიქსირდება.

პკ22+41-პკ23+37-ს შორის დერივაცია განლაგდება მდინარეულ ალუვიურ კენჭნარებში **(სგეN4).** მილსადენის ტრანშეაში ჩადების სიღრმე უნდა განისაზღვროს ჰიდროლოგიური გაანგარიშებების საფუძველზე.
ამ უბანზე მილსდენის დაზიანების შემცველი სხვა საშიში გეოლოგიური პროცესი არ ფიქსირდება.

პკ23+37-პკ24+78-მდე ტრასა სრულად განლაგდება შუა ეოცენის ინტრუზივის კლდოვან ქანებში მოწყობილ თაროზე **(სგეN7).**
ამ უბანზე მილსდენის დაზიანების შემცველი სხვა საშიში გეოლოგიური პროცესი არ ფიქსირდება.

პკ24+78-პკ26+35-მდე მილსადენის ტრასა ზედაპირიდან გაკვეთს მცირე სიმძლავრის ელუვიურ-დელუვიურ დანალექებს **(სგეN3)** და ჩაღრმავდება ინტრუზიულ კლდოვან ქანებში **(სგეN7). პკ26+07**-ზე ტრასა გადაკვეთს მცირე ხევს, სადაც უნდა მოეწყოს შესაბამისი კვეთის წყალგამტარი.
ამ უბანზე მილსდენის დაზიანების შემცველი სხვა საშიში გეოლოგიური პროცესი არ ფიქსირდება.

პკ26+35-პკ26+95-ს შორის ტრასა სრულად განლაგდება შუა ეოცენის ინტრუზივის კლდოვან ქანებში მოწყობილ თაროზე **(სგეN7).**
ამ უბანზე მილსდენის დაზიანების შემცველი სხვა საშიში გეოლოგიური პროცესი არ ფიქსირდება.

პკ26+95-პკ34+00-ს შორის სადერივაციო მილსადენის ტრასა ზედაპირიდან გაკვეთს მცირე სიმძლავრის ელუვიურ-დელუვიურ დანალექებს **(სგეN3)** და ჩაღრმავდება ინტრუზიულ კლდოვან ქანებში **(სგეN7). პკ27+95 და პკ30+41**-ზე მილსადენის ტრასა გადაკვეთს ხევებს. **პკ33+60**-ე მილსადენი გადაკვეთს ხევს, რომლის ფარგლებში ტრასა ზედაპირიდან ჩაღრმავდება მცირე სიმძლავრის პროლუვიურ დანალექებში **(სგეN1)** და დაფუძნდება კლდოვან ქანებზე **(სგეN7).**

პკ34+00-პკ34+88-მდე ტრასა გადაინაცვლებს მდინარის მიმართულებით და განლაგდება მდინარეულ ალუვიურ კენჭნარებში **(სგეN4).** მილსადენის ტრანშეაში ჩადების სიღრმე უნდა განისაზღვროს ჰიდროლოგიური გაანგარიშებების საფუძველზე.
ამ უბანზე მილსდენის დაზიანების შემცველი სხვა საშიში გეოლოგიური პროცესი არ ფიქსირდება.

პკ34+88-პკ36+25-ს შორის ტრასა სრულად განლაგდება შუა ეოცენის ინტრუზივის კლდოვან ქანებში მოწყობილ თაროზე **(სგეN7). პკ35+54** და **პკ36+25**-ზე მილსადენი კვეთს წყლოვან ხევებს.
ამ უბანზე მილსდენის დაზიანების შემცველი სხვა საშიში გეოლოგიური პროცესი არ ფიქსირდება.

პკ26-დან პკ37-მდე მონაკვეთის ფარგლებში სადერივაციო მილსადენის ტრასა გადაკვეთს **6 ხევს,** რომელთაგან სამი წყლოვანი ხევის **(პკ26+07, პკ27+95 და პკ35+54-ზე)** ძირში შიშვლდებიან ძირითადი კლდოვანი ქანები, წარმოდგენილი შუა ეოცენის ინტრუზიული წარმოშობის სიენიტებით **(სგეN8),** რაც მიუთითებს მათ ღვარცოფულ ბუნებაზე, რადგანაც საველე კვლევების პერიოდისთვის ხევების წყლოვანი ნაკადებით მდ. ნატანების კალაპოტისკენ უკვე გადაადგილებული იყო ხევების ძირზე დაგროვილი ელუვიურ-დელუვიური დანალექების ჩამონაშალი მასალა, რაც დამახასიათებელია საკვლევი რაიონისთვის. აღნიშნულ ხევებზე უნდა მოეწყოს

ხიდური გადასასვლელები ხევების კვეთში გამავალი ღვარცოფული ნაკადების ხარჯების გათვალისწინებით.
დარჩენილი სამი უწყლო ხევიდან (**პკ30+41, პკ33+60 და პკ36+25**) ერთ-ერთ მცირე ხევზე (**პკ30+41**) მილსადენის თავზე უნდა მოეწყოს წყალგამტარი არხი, ხოლო ორზე აკვედუკის ტიპის გადასასვლელი.
ამ უბნებზე მილსდენის დაზიანების შემცველი სხვა საშიში გეოლოგიური პროცესი არ ფიქსირდება.

პკ36+25-პკ38+28-მდე ტრასა გადაინაცვლებს მდინარის მიმართულებით და განლაგდება მდინარეულ ალუვიურ კენჭნარებში (**სგეN4**). მილსადენის ტრანშეაში ჩაღრმავების სიღრმე უნდა განისაზღვროს ჰიდროლოგიური გაანგარიშებების საფუძველზე. **პკ36+82**-დან ინტრუზიულ ქანებს (**სგეN7**) ცვლის გურიის ქვეწყების კლდოვანი ქანები (**სგეN6**).
ამ უბნებზე მილსდენის დაზიანების შემცველი სხვა საშიში გეოლოგიური პროცესი არ ფიქსირდება.

პკ38+28-პკ43+70-მდე მონაკვეთში სადერივაციო მილსადენის ტრასა განლაგდება გურიის ქვეწყების კლდოვან ქანებში მოწყობილ თაროზე (**სგეN6**). **პკ41+12, პკ40+35** და **პკ38+90**-ზე მილსადენი გდაკვეთს წყლოვან ხევებს,
ამ უბნებზე მილსდენის დაზიანების შემცველი სხვა საშიში გეოლოგიური პროცესი არ ფიქსირდება.

პკ43+70-პკ44+95-ს შორის მილსადენის ტრასა გადაინაცვლებს მდინარის მიმართულებით, ფერდის ძირთან და განლაგდება მდინარეულ ალუვიურ კენჭნარებში (**სგეN4**). მილსადენის ტრანშეაში ჩაღრმავება უნდა განისაზღვროს ჰიდროლოგიური გაანგარიშებების საფუძველზე.
ამ უბნებზე მილსდენის დაზიანების შემცველი სხვა საშიში გეოლოგიური პროცესი არ ფიქსირდება.

პკ38-დან პკ44-მდე მონაკვეთში, სადერივაციო მილსადენი ოთხ უბანზე: **პკ 38+90, პკ 40+35, პკ 41+12 და პკ 43+75**-ზე გადაკვეთს ხევებს, რომელთაგან პირველი ორი პერიოდულად წყლიანია და მათი ზემოქმედებისგან მილსადენის დასაცავად საჭირო იქნება ტრანშეაში ჩადებული მილსადენის ბეტონის ფილებით გადახურვა. მომდევნო ორი ხევი მუდმივად წყლიანია და მათზე საჭირო იქნება აკვედუკის ტიპის გადასასვლელების მოწყობა, ხეობის კვეთში წყლის ხარჯის გატარების გათვალისწინებით.

ამ უბნებზე მილსადენის დაზიანების შემცველი საშიში გეოლოგიური პროცესები არ ფიქსირდება.

პკ44+95-პკ45+14-ს შორის მონაკვეთში სადერივაციო მილსადენის ტრასა განლაგდება გურიის ქვეწყების კლდოვან ქანებში მოწყობილ თაროზე **(სგეN6).**
ამ უბანზე მილსადენის დაზიანების შემცველი საშიში გეოლოგიური პროცესები არ ფიქსირდება.

პკ45+14-პკ45+42-მდე, ანუ ჰესის შენობამდე ზედაპირიდან ჩაღრმავდება დელუვიურ-პროლუვიურ **(სგეN2)** და ალუვიურ დანალექებში **(სგეN5)** და ღრმა ჩაჭრით დაფუძნდება კლდოვან ქანებში **(სგეN6).**
ამ უბანზე მილსადენის დაზიანების შემცველი საშიში გეოლოგიური პროცესები არ ფიქსირდება.

სადაწნეო სადერივაციო მილსადენის საპროექტო ტრასის ერთი ნაწილი განლაგდება ციცაბოდ დახრილ ფერდობზე, სადაც დერეფნის მოწყობისას გასათვალისწინებელი იქნება გააქტიურებული ქვათაცვენის და მცირე მასშტაბის მეწყრული პროცესები, რომელთა მიმდებარე ფერდის დატერასება უნდა განხორციელდეს ფერდოების დამუშავებისთვის შედგენილი სპეციალური პროექტის გათვალისწინებით, ყოველი ცალკეული უბნისთვის, შესაბამისი ფერდოების მდგრადობის ანგარიშიდან გამომდინარე. ექსპლუატაციის პერიოდში აუცილებელი გახდება სადერივაციო მილსადენის გარკვეული უბნების დაცვა ბეტონის ფილებით და თიხნაროვანი საფარით, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი გაძლიერებული დამცავი საინჟინრო ნაგებობებით. იმ შემთხვევაში, თუ კი ფერდოების მოწყობის მდგრადობის პროექტი ვერ დააკმაყოფილებს მოთხოვნებს, საჭირო გახდება ტრასის გარკვეული მიმართულების შეცვლა, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში დაიგეგმება მოკლე გვირაბების გაყვანა, რასაც სრულად აკმაყოფილებს საკვლევ უბანზე გავრცელებული კლდოვანი ქანების გეოტექნიკური მახასიათებლები.

სადერივაციო ტრასის გარკვეული ნაწილი განლაგდება საშუალოდ ციცაბო, 15-25^0-ანი დახრილობის მქონე ფერდობებზე, სადაც გრავიტაციული პროცესები არ ფიქსირდება და სავარაუდოდ არც იქნება მოსალოდნელი, ხოლო მშენებლობის პროცესში გასათვალისწინებელი იქნება ზოგიერთი გამონაკლისი შემთხვევა.

სადერივაციო მილსადენის ტრასის რამდენადმე სახასიათო უბანზე შესრულდა ფერდობების მდგრადობის წინასწარი ანგარიში, რისთვისაც გამოყენებული იქნა ნ. მასლოვის მეთოდი ცოცვის ბრტყელი ზედაპირის შემთხვევისთვის, რომლის თანახმად ფერდობის ნებისმიერ ჰორიზონტალურ კვეთში უზრუნველყოფილია მისი ამგები ქანების მდგრადობა, რომელიც გამოისახება შემდეგი ფორმულით:

$$\eta=\mathrm{ctg}\alpha\mathrm{tg}\varphi+\frac{2C}{\rho h\sin\alpha}$$, სადაც

η - ფერდობის მდგრადობის კოეფიციენტი
α - პოტენციური გადაადგილების ზედაპირის კუთხე
C - შეჭიდულობა
φ - შინაგანი ხახუნის კუთხე
ρ - შესუსტებული გრუნტის სიმკვრივე

h - იმავე გრუნტის სიმძლავრე

ჭრილი 6-6, (ნახ.6 ფ.1)

სგე-3

როდესაც **α=36⁰,** ctgα=1,37, sinα=0.59

ρ=1,9ტ/მ³

h=2,0მ

φ=35.3⁰ tgφ=0,71

C=0,022მპა=0,22ტ/მ²

$\eta=1,37*0,71+\frac{2*0.22}{1,9*2,0*0,59}$=0,97+0,196=1.17 - **η>1**-ზე, მდგრადია

როდესაც **α=29⁰**, ctgα=1,82, sinα=0.48

ρ=1,9ტ/მ³

h=2,0მ

φ=35.3⁰ tgφ=0,71

C=0,022მპა=0,22ტ/მ²

$\eta=1,82*0,71+\frac{12*0.22}{1,9*2,0*0,48}$=1.29+0,024=1,31 - **η>1**-ზე, მდგრადია

ჭრილი 7-7, (ნახ.6 ფ.1)

სგე-3

α=43⁰, ctgα=1,08, sinα=0.68

ρ=1,9ტ/მ³

როდესაც **h=2,0მ**

φ=35.3⁰ tgφ=0,71

C=0,022მპა=0,22ტ/მ²

$\eta=1,08*0,71+\frac{12*0.22}{1,9*2,0*0,68}$=0,76+0,17=0,93 - **η<1**-ზე, არამდგრადია

α=43⁰, ctgα=1,08, sinα=0.68

ρ=1,9ტ/მ³

როდესაც **h=1,5მ**

φ=35.3⁰ tgφ=0,71

C=0,022მპა=0,22ტ/მ²

$\eta=1,08*0,71+\frac{2*0.22}{1,9*1,5*0,68}$=0,77+0,23=1.0 - **η=1**-ზე ფერდობი ზღვრულ წონასწორობაშია.

ჭრილი 8-8, (ნახ.6, ფ.1)

სგე-3

α=39⁰ (და ნაკლები), ctgα=1,23, sinα=0.63

ρ=1,9ტ/მ³

h=1,4მ
φ=35.3^0 tgφ=0,71
C=0,022მპა=0,22ტ/მ^2
η=1,23*0,71+$\frac{2}{1,9*1,4*0,63}$=0,873+0,263=1,14 - **η>1**-ზე მდგრადია

ამ უბანზე ტრასის ქვედა ნიშნულებზე გადასვლის შემთხვევაში ფერდობის მდგრადობა დააკმაყოფილებს მოთხოვნებს

ჭრილი 9-9, (ნახ.6, ფ.1)

სგე-2
α=12^0, ctgα=4,76, sinα=0.21
ρ=2.2ტ/მ^3
h=2,0მ
φ=31.9^0 tgφ=0,622
C=0,1ტ/მ^2
η=4,76*0,622+$\frac{2*0.1}{2.2*2,0*0,21}$=2.96+0,22=3.18 - **η>1**-ზე მდგრადია

ჭრილი 10-10, (ნახ.6, ფ.1)

სგე-2
α=15^0, ctgα=3,70, sinα=0.26
ρ=2.2ტ/მ^3
h=2,0მ
φ=31.9^0 (20^0-25^0) tgφ=0,622
C=0.1ტ/მ^2
η=3,70*0,622+$\frac{2*0.1}{2.2*2,0*0,26}$=2.3+0,18=2.48 - **η>1**-ზე მდგრადია.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, იმ უბნებზე, სადაც ფერდობის მდგრადობის კოეფიციენტი ნაკლებია ერთზე, ფერდოების მოწყობის პროექტის შედგენისას გასათვალისწინებელი იქნება დამატებითი პრევენციული ღონისძიებები. სადერივაციო მილსადენის ტრასის II ალტერნატიული ვარიანტის შერჩევა ნაწილობრივ ეყრდნობა ფერდობების წინასწარი მდგრადობის ანგარიშის შედეგებს, რის გამოც ტრასის ღერძმა გადაინაცვლა მდინარის მიმართულებით, შედარებით ნაკლები დახრილობის მქონე ფერდობების სივრცეში.

ტრასის პროექტირებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მის მართობულად მკვეთ ხევებს, რომელთა გადაკვეთის უბნებზე უნდა მოეწყოს ხევების გამტარუნარიანობის შესაბამისი გადასასვლელები.

მილსადენის დერეფანში გრუნტებში ჩასაღრმავებლად საჭირო იქნება თაროების მოწყობა, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ფერდობების მდგრადობის დარღვევა.

საპროექტო გადაწყვეტილების შესაბამისად, როდესაც მოცემული იქნება ფერდოების მოწყობის პროექტი, საჭირო გახდება ფერდობების მდგრადობის პროგნოზირება, ხოლო სამუშაოების განხორციელებისას აუცილებელი იქნება ინჟინერ-გეოლოგის ზედამხედველობითი უზრუნველყოფა.

სადაწნეო მილსადენის ტრასა გაკვეთს ალუვიურ, ელუვიურ-დელუვიურ, დელუვიურ-პროლუვიურ და პროლუვიურ დანალექებს და შუა ეოცენურ კლდოვან ქანებს, რომელთა გეოტექნიკური მახასიათებლები მოცემულია 4.2 ქვეთავის **N15 ცხრილში**.

ამჟამად, სადერევაციო მილსადენის განლაგების სივრცეში თანამედროვე გეოლოგიური პროცესები, რომლებიც მშენებლობა-ესპლუატაციისას შესაძლოა მოგვევლინოს ხელისშემშლელ პირობად, არ ფიქსირდება.

მშენებლობის და ექსპლუატაციის პერიოდში თანამედროვე საშიში გეოლოგიური პროცესებიდან გასათვალისწინებელი იქნება კლდოვან ქანებში თაროების მოწყობისას გააქტიურებული და ახლად წარმოქმნილი ქვათაცვენები, ფერდობებზე ელუვიურ-დელუვიურ საფარში განვითარებული მცირე ტექნოგენური მეწყრული პროცესები, ხოლო ტერასაში ჩაღრმავებისას ჭარბი წყალმოდენა ქვაბულებში.

4.3.3 ჰესის შენობა (საგენერატორო) და გამყვანი არხი

ჰესის შენობა და გამყვანი არხი საპროექტო გადაწყვეტილების მიხედვით განლაგდება მდ. ნატანების ხეობის მარჯვენა ფერდზე არსებული მაღალი ჭალისზედა მეორე ტერასის ვაკე რელიეფზე **(სურ.9)**, ზედაპირის **424-426** მ. აბს. ნიშნულების ფარგლებში, რომლის სიგანე 25-30 მეტრია **(ნახ.GS-2, ფურც.3 და ნახ.GS-4).**

სურ.9

კლდოვანი ფერდობის დახრილობა, რომელზეც განვითარებულია აღნიშნული ტერასა, ძალიან ციცაბოა (60-65^0), ხოლო ზოგ შემხვევაში 80^0-ს აღემატება. მისი სიმაღლე საშუალოდ 10-15 მეტრია და წარმოდგენილია საკმაოდ მტკიცე კლდოვანი ქანებით **(სგე N6).** ტერასა გეოლოგიურად აგებულია მეოთხეული ასაკის ალუვიური კაჭარ-კენჭნაროვანი დანალექებით **(სგეN5),** რომელთა სიმძლავრე ჰესის კონტურის ფარგლებში ჩვენს მიერ ჩატარებული გეოლოგიური აგეგმვის, ორი გაყვანილი შურფის - N10 და N11-ის, ფერდობის ხილული ლითოლოგიური ჭრილის და ,,ჰიდროპროექტი"-ს კვლევების მონაცემების საფუძველზე დაყრდნობით იცვლება 2.0 მეტრიდან 2.5 მეტრამდე. ალუვიონი გადაფარულია ერთ მეტრამდე სიმძლავრის დელუვიურ-პროლუვიური დანალექებით **(სგეN2).** ტერასულ დანალექებში გრუნტის წყლის დონე შურფების მონაცემების მიხედვით არ ფიქსირდება

ტერასების და კალაპოტის ნაწილში ალუვიური ნალექებით გადაფარულია კლდოვანი ქანები, რომლებიც ზედაპირულ ნაწილში წარმოდგენილია სუსტად გამოფიტული ანდეზიტ-ბაზალტებით **(სგეN6, სურ.10).**

სურ.10

სავარაუდოდ, ჰესის შენობის საფუძვლად რეკომენდირებული იქნება კლდოვანი ქანები **(სგეN6),** მათი გამოფიტვის სიმძლავრის გათვალისწინებით, რომელიც საშუალოდ 1-2 მეტრია.

არ არის გამორიცხული ნაგებობის დაფუძნება ჭალისზედა პირველი ტერასის ალუვიურ **(სგეN4)** დანალექებზე (ჰესის შენობის I ვარიანტით, რომელიც შეესაბამებოდა სადერივაციო ტრასის ასევე I ვარიანტს).

მშენებლობის პერიოდში, კლდოვან ქვაბულში გასათვალისწინებელი იქნება ფილტრაციული გრუნტის წყლების მოდენა, რაც იქნება უმნიშვნელო და მხოლოდ ერთეული ნაპრალებიდან, ხოლო ღრმა ქვაბულის შემთხვევაში შესაბამისი მდგრადობის ფერდოების შერჩევა.

საგენერატოროს შენობის დაფუძნების პირობების დაზუსტების მიზნით, შესრულდა კლდოვანი ქანების **(სგეN6)** დეტალური გეომექანიკური აღწერა, რომლის მიხედვით, ფლატე ზედაპირზე გაშიშვლებული კლდოვანი ქანების შრეები ეცემიან ფერდის სიღრმეში, რომელთა წოლის ელემენტებია: მიმართების აზიმუტი სამხრეთ-აღმოსავლური - 150-160^0, ხოლო დახრის კუთხე 40-55^0-ია. კლდოვანი ქანების შრეების დახრილობიდან და გაშიშვლებების საველე გეომექანიკური აღწერის **(დან.7)** და ნაჩენებიდან აღებული ნიმუშების ლაბორატორიული შესწავლის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჰესის შენობის დასაფუძნებლად შერჩეული კლდოვანი ქანები **(სგეN6)** თავიანთი გეოტექნიკური მახასიათებლების და შრეების წოლის ფორმის მიხედვით, წარმოადგენენ საიმედო გრუნტებს ნაგებობის დასაფუძნებლად **(სურ.11)**.

სურ.11

ჰესის შენობა განლაგდება ჭალისზედა მეორე ტერასის ფარგლებში და სავარაუდოდ ჩაღრმავდება პირველი ტერასის ნიშნულებამდე, ძირითად კლდოვან ქანებში, საჭირო გახდება გამყვანი ტრაქტის (ღია ან დახურული არხი და მეტალის ან რკინაბეტონის მილი) განლაგება ტერასაში ჩაღრმავებით უსაფრთხო ნიშნულამდე, რომლის დაფუძნების სიღრმე უნდა განისაზღვროს ჰიდროლოგიური გათვლებით.

იმ შემთხვევაში, თუ ჰესის შენობა განლაგდება ჭალისზედა პირველ ტერასაზე (I ვარიანტით), წყალდიდობების და მძლავრი ღვარცოფული ნაკადების გავლის პირობებში, გასათვალისწინებელი იქნება საგენერატორო სადგურის განლაგების ტერიტორიის პერიოდული დატბორვა, ხოლო <u>საშიშროებების თავიდან აცილების მიზნით, საპროექტო გადაწყვეტილებაში გათვალისწინებული უნდა იქნას ნაპირდამცავი საინჟინრო ნაგებობების მოწყობა, რომლებიც უზრუნველყოფენ საგენერატოროს შეუფერხებელ ექსპლუატაციას.</u>

5. მდ.ნატანების ხეობაში ნატანების ჰესი III ჰიდროკვანძის საპროექტო უბანზე გეოფიზიკური კვლევების ანგარიში
(სეისმური პროფილები)

საკვლევი უბანი და ამოცანები

კვლევის ობიექტს წარმოადგენდა მდ. ნატანების ხეობაში ნატანების ჰესი III ნაგებობათა განლაგების უბნები. ნახ.1(ა,ბ,გ)–ზე მითითებულია საკვლევი ტერიტორია და გეოლოგიური და გეოფიზიკური პროფილების განლაგებარომელთა საფუძველზე აიგო სეისმოგეოლოგიური ჭრილები, ჩატარდა გეოფიზიკური პარამეტრების შერჩევა და იდენტიფიკაცია, აგრეთვე განისაზღვრა გრუნტის კატეგორია.



ნახ.1ა. საკვლევი უბანი და სეისმური პროფილების განლაგების სქემა.



ნახ.1ბ. საკვლევი უბანი და სეისმური პროფილების განლაგების სქემა.



ნახ.1გ. საკვლევი უბანი და სეისმური პროფილების განლაგების სქემა.

კვლევის ამოცანას წარმოადგენდა

საპროექტო უბანზე სეისმური პროფილების გატარება და შესაბამისი ჭრილების აგება, დრეკადი ტალღების სიჩქარეების და მათთან დაკავშირებული ფიზიკურ–მექანიკური პარამეტრების მნიშვნელობების განაწილებების შეფასება გეოლოგიური კვლევების საფუძველზე მიღებული გეოტექნიკური შედეგების და საკადასტრო მონაცემების გამოყენებით, ასევე გრუნტის კატეგორიის მნიშვნელობების განაწილების დადგენა.

გეოფიზიკური კვლევა

სეისმური პროფილირება გარდატეხილი ტალღების მეთოდით

ქანების თვისებების გამოკვლევა საინჟინრო სეისმოძიების პრობლემების გადაწყვეტისათვის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს. ჩვენი ძირითადი ამოცანა იყო მოცემული უბნის აგებულების შესწავლა და ფიზიკურ-მექანიკური პარამეტრების განსაზღვრა განივი და გრძივი დრეკადი ტალღების სიჩქარეების მნიშვნელობების საფუძველზე. ამისათვის ამორჩეულ იქნა გარდატეხილი ტალღების საველე სეისმური მეთოდი.

შერჩეული საველე მეთოდები საშუალებას გვაძლევენ, განვსაზღროთ აღნიშნული პარამეტრი უშუალოდ ადგილზე, ქანების ბუნებრივ მდგომარეობაში, სადაც მოქმედებს ბუნებრივი წნევის ქიმიური, თერმიული და სტრუქტურული თვისებების ფაქტორები. სეისმური მეთოდებით ქანის დინამიური თვისებების გამოთვლას აქვს რიგი უპირატესობები: არ არის საჭირო ნიმუშების ამოღება, რომლებშიც დაძაბულობა ქიმიური, თერმიული და სტრუქტურული პირობები ცვლილებას განიცდიან. აღნიშნული მეთოდებით იკვლევენ ქანების შედარებით დიდ მოცულობებს და ამგვარად ამცირებენ მასშტაბის ეფექტის გავლენას, რაც თან ახლავს ნიმუშების გამოკვლევას.

ბევრი საველე მეთოდი ემყარება ისეთ დეფორმაციებს, რომლებიც ახასიათებს დრეკადი ტალღების გავრცელების პროცესს. მეორეს მხრივ საველე მეთოდები იძლევიან უშუალოდ გამოსაკვლევი პარამეტრების მნიშვნელობებს, რომლებიც სეისმური მონაცემებით შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ თეორიული ანალიზით ან ემპირიული დამოკიდებულებით. ამის გამო გათვალისწინებულ იქნა გეოტექნიკური (საველე და ლაბორატორიული) მეთოდების შედეგებიც.

გარდატეხილი ტალღების მეთოდი იძლევა საშუალებას განისაზღვროს ზედაპირული და უფრო ღრმა ფენების სიმძლავრეები და მათში დრეკადი ტალღების გავრცელების სიჩქარეები. მეთოდი ემყარება დრეკადი ტალღების წყაროდან ერთ ხაზზე განლაგებულ გეოფონებში P და S ტალღების პირველი შემოსვლების დროების განსაზღვრას. ამრიგად კვლევის ამოცანა იყო ქანების სტრუქტურის განსაზღვრა 30მ.

სიღრმემდე და გამოყოფილ სტრუქტურულ ელემენტებში შემდეგი ფიზიკურ-მექანიკური პარამეტრების განსაზღვრა:

1. გრძივი და განივი ტალღების სიჩქარეები V_P, V_S;
2. პუასონის კოეფიციენტი μ;
3. იუნგის დინამიური მოდული E_D
4. ძვრის დინამიური მოდული G_D
5. ყოველმხრივი კუმშვის მოდული K
6. სიმკვრივე ρ.
7. საერთო დეფორმაციის მოდული D
8. სიმტკიცის ზღვარი კუმშვაზე τ .

შემდეგ კი, ამპარამეტრების საფუძველზე სეისმოგეოლოგიური ჭრილების აგება.

შენიშვნა. აღნიშნული პარამეტრებიდან 1-5 გამოთვლილია ცნობილი თეორიული დამოკიდებულებების საფუძველზე, ხოლო 6-8 მიღებულია ჩვენს ხელთ არსებული ემპირიული კავშირების გამოყენებით. პარამეტრების გამოთვლილი მნიშვნელობები მოყვანილია ცხრილი 1–7-ში.

სეისმოპროფილირება ჩატარდა 10 ჰერციანი გეოფონებით, რომელთა შორის დაშორებაც 3-5 მეტრს შეადგენდა. სეისმური ტალღების ინდუცირება ხდებოდა 8კგ-იანი უროს ტიტანის ფირფიტაზე დარტყმით. გეოფონები და დარტყმები სრულდებოდა Z-Z და Y-Y ორიენტირებით, გამოიყენებოდა 5 დარტყმის წერტილიანი სისტემა, რომელიც შეიცავდა 2 დარტყმას პროფილის თავსა და ბოლოში, ერთ დარტყმას მის შუაში და ორ პროფილიდან გატანილ დარტყმას.

ტალღების რეგისტრაცია ხორციელდებოდა ამერიკული ***GEOMETRICS*** ფირმის ***GEODE*** მარკის 24 არხიანი საინჟინრო სეისმური სადგურით.ტალღის ტიპის მიხედვით იცვლებოდა დარტყმის მიმართულებაც. შემდეგ კი ინტერპრეტაცია შესრულდა ამავე ამერიკული ***GEOMETRICS*** ფირმის ლიცენზირებული ***SeisImager*** პროგრამის გამოყენებით.

გაკეთებულია მიღებული სეისმოგრამების ანალიზი, აგებულია სეისმოგეოლოგიური ჭრილები და შეფასებულია შესაბამისი ფიზიკურ–მექანიკური პარამეტრები. პროფილების განლაგება მოცემულია ნახ. 1(ა–ბ)-ზე.

გეოფიზიკური კვლევების შედეგები

სეისმოპროფილირება გარდატეხილი ტალღების მეთოდით

კვლევის სხვადასხვა უბანზე გეოლოგიური ჭრილების შესაბამის უბნებზე გატარდა სხვადასხვა სიგრძის შვიდი სეისმური პროფილი 30მ სიღრმემდე ინფორმაციის მიღებით.

ამრიგად, გეოფიზიკური პარამეტრების მიხედვით გამოყოფილია სხვადასხვა საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტები (**ფენი**), დადადგენილია მათში V_P, V_S სიჩქარეების მნიშვნელობების განაწილება. შესაბამისი ფიზიკურ-მექანიკური პარამეტრების მნიშვნელობები მოცემულია ცხრილებში 1-7(ნახ.: 2-22).

გეოლოგიურ-გეოფიზიკური დაკვირვებების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ყველა აგებულ ჭრილში (ნახ.2-22) გამოიყო სამი ძირითადი ფენი. ეს ფენები გეოფიზიკური მონაცემების საფუძველზე იდენტიფიცირებულია საინჟინრო-გეოლოგიურ ელემენტებად (**ფენი**) შემდეგი თანმიმდევრობით:

ფენი 1 - ხვინჭა, ღორღი, ლოდები თიხნარ-ქვიშნარის შემავსებლით, ზოგან კაჭარ-კენჭნარი ქვიშის შემავსებლით, ზოგან მკვრივი კაჭარ-კენჭნარი, მკვრივი ქვიშები და თიხნარი. გეოლოგიური მონაცემების მიხედვით შეიძლება შეესაბამებოდეს **სგე-1, სგე-4** და **სგე-5**-ს.

ფენი 2 - თიხები, თიხნარები ღორღისა და ხვინჭის შემავსებლით. გეოლოგიური მონაცემების მიხედვით შეესაბამება **სგე-3**-ს.

ფენი 3 - ბაზალტები, ვულკანური ბრექჩიები და ინტრუზიული სიენიტები. გეოლოგიური მონაცემების მიხედვით შეიძლება შეესაბამებოდეს **სგე-6** და **სგე-8**-ს.

სეისმური პროფილი #1:

ფენი 1 ვრცელდება ზედაპირიდან 5მ-ის სიღრმემდე პროფილის 80მ სიგრძიდან ბოლომდე გრძივი და განივი ტალღების შემდეგი საშუალო მნიშვნელობებით: V_p =1470 მ/წმ; V_S =375 მ/წმ.

ფენი 2 ვრცელდება ზედაპირიდან 1მ-ის სიღრმემდე პროფილის დასაწყისიდან 80მ სიგრძემდე გრძივი და განივი ტალღების შემდეგი საშუალო მნიშვნელობებით: V_p =1050 მ/წმ; V_S =250 მ/წმ.

აღნიშნულ ფენებს ქვემოდან ესაზღვრება **ფენი 3**, რომელიც ჩვენს მიერ დაკვირვებულია 30მ-ის სიღრმემდე გრძივი და განივი ტალღების შემდეგი საშუალო მნიშვნელობებით: V_p =3750 მ/წმ; V_S =1900 მ/წმ.



ნახ.2. პროფილი#1-ის შესაბამისი გეოლოგიური ჭრილი



ნახ.3. სეისმოგეოლოგიური ჭრილი #1.



ნახ.4. დრეკადი ტალღების სიჩქარეების განაწილების ინტეგრალური მრუდი სეისმური პროფილი#1-სთვის.

ცხრილი 1. ფიზიკურ–მექანიკური პარამეტრების ცხრილი სეისმური პროფილი #1-სათვის

Vp m/sec	Vs m/sec	Vs/Vp	ρ gr/cm^3	μ	G MPa	Ed MPA	K MPA	D MPA	τ_{Mpa}	Vs30 m/sec
				Layer 1						
1470	375	0.26	1.99	0.47	280	820	39346	48.60	0.053	
				Layer 2						
1050	250	0.24	1.83	0.47	115	340	18681	22.20	0.02	1001
				Layer 3						
3750	1900	0.51	2.52	0.33	9096	24150	233059	1331.75	6.81	

სეისმური პროფილი #2:

ფენი 1 ვრცელდება ზედაპირიდან 4მ-ის სიღრმემდე გრძივი და განივი ტალღების შემდეგი საშუალო მნიშვნელობებით: V_p =2050 მ/წმ; V_s =375 მ/წმ.

აღნიშნული ფენს ქვემოდან ესაზღვრება **ფენი 3**, რომელიც ჩვენს მიერ დაკვირვებულია 30მ-ის სიღრმემდე გრძივი და განივი ტალღების შემდეგი საშუალო მნიშვნელობებით: V_p =3750 მ/წმ; V_s =1900 მ/წმ.



ნახ.5. პროფილი#2-ის შესაბამისი გეოლოგიური ჭრილი



ნახ.6. სეისმოგეოლოგიური ჭრილი #2.



ნახ.7. დრეკადი ტალღების სიჩქარეების განაწილების ინტეგრალური მრუდი სეისმური პროფილი#2-სთვის.

ცხრილი 2. ფიზიკურ–მექანიკური პარამეტრების ცხრილი სეისმური პროფილი #2-სათვის

Vp m/sec	Vs m/sec	Vs/Vp	ρ gr/cm^3	μ	G MPa	Ed MPA	K MPA	D MPA	τ_{Mpa}	Vs30 m/sec
Layer 1										
2050	375	0.18	2.17	0.48	305	900	86992	53.00	0.03	
Layer 2										1607
3250	1900	0.58	2.43	0.24	8777	21770	139776	1200.85	8.75	

სეისმური პროფილი #3:

ფენი 1 ვრცელდება ზედაპირიდან 3-8მ-ის სიღრმემდე პროფილის 30მ სიგრძიდან 230მ-მდე გრძივი და განივი ტალღების შემდეგი საშუალო მნიშვნელობებით: V_p =2050 მ/წმ; V_S =375 მ/წმ.

ფენი-2 ვრცელდება ზედაპირიდან 0,5მ-ის სიღრმემდე პროფილის დასაწყისიდან 10მ სიგრძემდე გრძივი და განივი ტალღების შემდეგი საშუალო მნიშვნელობებით: V_p =1050 მ/წმ; V_S =250 მ/წმ.

აღნიშნულ ფენებს ქვემოდან ესაზღვრება **ფენი-3**, რომელიც ჩვენს მიერ დაკვირვებულია 30მ-ის სიღრმემდე გრძივი და განივი ტალღების შემდეგი საშუალო მნიშვნელობებით: V_p =3750 მ/წმ; V_S =1900 მ/წმ.



ნახ.8. პროფილი#3-ის შესაბამისი გეოლოგიური ჭრილი



ნახ.9. სეისმოგეოლოგიური ჭრილი #3.



ნახ.10. დრეკადი ტალღების სიჩქარეების განაწილების ინტეგრალური მრუდი სეისმური პროფილი#3-სთვის.

ცხრილი 3. ფიზიკურ–მექანიკური პარამეტრების ცხრილი სეისმური პროფილი #3-სათვის

Vp m/sec	Vs m/sec	Vs/Vp	ρ gr/cm^3	μ	G MPa	Ed MPA	K MPA	D MPA	τ_{Mpa}	Vs30 m/sec
Layer 1										
2050	375	0.18	2.17	0.48	305	900	86992	53.00	0.030	
Layer 2										
1050	250	0.24	1.83	0.47	115	340	18681	22.20	0.02	**1063**

Layer 3										
3750	1900	0.51	2.52	0.33	9096	24150	233059	1331.75	6.81	

სეისმური პროფილი #4:

ფენი-1 ვრცელდება ზედაპირიდან 2-8მ-ის სიღრმემდე პროფილის 80მ სიგრძიდან ბოლომდე გრძივი და განივი ტალღების შემდეგი საშუალო მნიშვნელობებით: V_p =1470 მ/წმ; V_S =375 მ/წმ.

ფენი-2 ვრცელდება ზედაპირიდან 1მ-ის სიღრმემდე პროფილის დასაწყისიდან 80მ სიგრძემდე გრძივი და განივი ტალღების შემდეგი საშუალო მნიშვნელობებით: V_p =1050 მ/წმ; V_S =250 მ/წმ.

აღნიშნულ ფენებს ქვემოდან ესაზღვრება **ფენი-3**, რომელიც ჩვენს მიერ დაკვირვებულია 30მ-ის სიღრმემდე გრძივი და განივი ტალღების შემდეგი საშუალო მნიშვნელობებით: V_p =3750 მ/წმ; V_S =1900 მ/წმ.



ნახ.11. პროფილი#4-ის შესაბამისი გეოლოგიური ჭრილი



ნახ.12. სეისმოგეოლოგიური ჭრილი #4.



ნახ.13. დრეკადი ტალღების სიჩქარეების განაწილების ინტეგრალური მრუდი სეისმური პროფილი#4-სთვის.

ცხრილი 4. ფიზიკურ–მექანიკური პარამეტრების ცხრილი სეისმური პროფილი #4-სთვის

Vp m/sec	Vs m/sec	Vs/Vp	ρ gr/cm^3	μ	G MPa	Ed MPA	K MPA	D MPA	τ_{Mpa}	Vs30 m/sec
Layer 1										
2050	375	0.18	2.17	0.48	305	900	86992	53.00	0.030	
Layer 2										
1050	250	0.24	1.83	0.47	115	340	18681	22.20	0.02	988
Layer 3										
3750	1900	0.51	2.52	0.33	9096	24150	233059	1331.75	6.81	

სეისმური პროფილი #5:

ფენი-1 ვრცელდება ზედაპირიდან 5-10მ-ის სიღრმემდე გრძივი და განივი ტალღების შემდეგი საშუალო მნიშვნელობებით: V_p=600 მ/წმ; V_S=375 მ/წმ.

აღნიშნულ ფენს ქვემოდან ესაზღვრება **ფენი-3**, რომელიც ჩვენს მიერ დაკვირვებულია 30მ-ის სიღრმემდე გრძივი და განივი ტალღების შემდეგი საშუალო მნიშვნელობებით: V_p=3250 მ/წმ; V_S=1900 მ/წმ.



ნახ.14. პროფილი#5-ის შესაბამისი გეოლოგიური ჭრილი



ნახ.15. სეისმოგეოლოგიური ჭრილი #5.



ნახ.16. დრეკადი ტალღების სიჩქარეების განაწილების ინტეგრალური მრუდი სეისმური პროფილი#5-სთვის.

ცხრილი 5. ფიზიკურ–მექანიკური პარამეტრების ცხრილი სეისმური პროფილი #5-სათვის

Vp m/sec	Vs m/sec	Vs/Vp	ρ gr/cm^3	μ	G MPa	Ed MPA	K MPA	D MPA	τ_{Mpa}	Vs30 m/sec
Layer 1										
600	375	0.63	1.59	0.18	224	530	2749	32.65	0.26	
Layer 2										912
3250	1900	0.58	2.43	0.24	8777	21770	139776	1200.85	8.75	

სეისმური პროფილი #6:

ფენი-1 ვრცელდება ზედაპირიდან 4-8მ-ის სიღრმემდე პროფილის 35მ სიგრძიდან ბოლომდე გრძივი და განივი ტალღების შემდეგი საშუალო მნიშვნელობებით: V_p =1050 მ/წმ; V_S =250 მ/წმ.

აღნიშნულ ფენს ქვემოდან ესაზღვრება **ფენი-3**, რომელიც ჩვენს მიერ დაკვირვებულია 30მ-ის სიღრმემდე გრძივი და განივი ტალღების შემდეგი საშუალო მნიშვნელობებით: V_p =3250 მ/წმ; V_S =1900 მ/წმ.



ნახ.17. პროფილი#6-ის შესაბამისი გეოლოგიური ჭრილი



ნახ.18. სეისმოგეოლოგიური ჭრილი #6.



ნახ.19. დრეკადი ტალღების სიჩქარეების განაწილების ინტეგრალური მრუდი სეისმური პროფილი#6-სთვის.

ცხრილი 6. ფიზიკურ–მექანიკური პარამეტრების ცხრილი სეისმური პროფილი #6-სთვის

Vp m/sec	Vs m/sec	Vs/Vp	ρ gr/cm^3	μ	G MPa	Ed MPA	K MPA	D MPA	τ_{Mpa}	Vs30 m/sec
Layer 2										
1050	250	0.24	1.83	0.47	115	340	18681	22.20	0.02	
Layer 3										819
3250	1900	0.58	2.43	0.24	8777	21770	139776	1200.85	8.75	

სეისმური პროფილი #7:

ფენი-1 ვრცელდება ზედაპირიდან 4-7მ-ის სიღრმემდე პროფილის დასაწყისიდან 70მ-მდე და 90მ სიგრძიდან ბოლომდე გრძივი და განივი ტალღების შემდეგი საშუალო მნიშვნელობებით: V_p=1050 მ/წმ; V_s=250 მ/წმ.

აღნიშნულ ფენს ქვემოდან ესაზღვრება **ფენი-3**, რომელიც ჩვენს მიერ დაკვირვებულია 30მ-ის სიღრმემდე გრძივი და განივი ტალღების შემდეგი საშუალო მნიშვნელობებით: V_p=3250 მ/წმ; V_s=1900 მ/წმ.



ნახ.20. პროფილი#7-ის შესაბამისი გეოლოგიური ჭრილი



ნახ.21. სეისმოგეოლოგიური ჭრილი #7



ნახ.22. დრეკადი ტალღების სიჩქარეების განაწილების ინტეგრალური მრუდი სეისმური პროფილი#7-სთვის.

ცხრილი 7. ფიზიკურ–მექანიკური პარამეტრების ცხრილი სეისმური პროფილი #7-სთვის

Vp m/sec	Vs m/sec	Vs/Vp	ρ gr/cm^3	μ	G MPa	Ed MPA	K MPA	D MPA	τ_{Mpa}	Vs30 m/sec
Layer 2										
1050	250	0.24	1.83	0.47	115	340	18681	22.20	0.02	
Layer 3										905
3250	1900	0.58	2.43	0.24	8777	21770	139776	1200.85	8.75	

როგორც გეოფიზიკური კვლევების შედეგებიდან ჩანს, სეისმოგეოლოგიური ჭრილები კარგ შესაბამისობაშია არსებულ გეოლოგიურ მონაცემებთან, რაც ჩატარებული სამუშაოების ხარისხზე მეტყველებს.

გრუნტის კატეგორიის შეფასება

გეოფიზიკური კვლევების საფუძველზე განივი ტალღების საშუალო სიჩქარეების მიხედვით გრუნტის ზედა 30მ ფენში (Vs30, რომელიც მთლიანად სამშენებლო უბნისთვის მიღებული იქნა გასაშუალოებული მნიშვნელობა 1042 მ/წმ) განისაზღვრა გრუნტის კატეგორიები, როგორც საქართველოში მოქმედი ნორმების მიხედვით, ასევე საერთაშორისო ნორმების მიხედვით (IBC2006, Eurocode8, ASCE7). დეტალური შედეგები თითოეული პროფილის უბნისათვის მითითებულია ცხრილი 6-ში.

ცხრილი 6. გრუნტის კატეგორიები როგორც საქართველოში მოქმედი ნორმების მიხედვით, ასევე საერთაშორისო სტანდარტებით

პროფ. #	Vs30 მ/წმ	ქართ.ნორმ.	IBC2006	ASCE7	Eurocode8
1	1001	I	B	B	A
2	1607	I	B	B	A
3	1063	I	B	B	A
4	988	I	B	B	A
5	912	I	B	B	A
6	819	I	B	B	A
7	905	I	B	B	A

საინჟინრო-გეოლოგიური და გეოფიზიკური მონაცემების საფუძველზე თითოეული ჭრილისთვის შეფასდა კლდოვანი გრუნტების კატეგორია, რომელიც (ყველა ჭრილისათვის) საქართველოში მოქმედი ნორმების მიხედვით განისაზღვრა

როგორც **I კატეგორია**, საერთაშორისო ნორმების მიხედვით (IBC2006, ASCE7, Eurocode8) - გრუნტის **B კატეგორია**.

დასკვნა

ანგარიშში წარმოდგენილია გეოფიზიკური შედეგები. გეოლოგიურ-გეოფიზიკური დაკვირვებების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ყველა აგებულ ჭრილში (ნახ.2-22) გამოიყო სამი ძირითადი ფენი. ეს ფენები გეოფიზიკური მონაცემების საფუძველზე იდენტიფიცირებულია საინჟინრო-გეოლოგიურ ელემენტებად (**ფენი**) შემდეგი თანმიმდევრობით:

ფენი 1 - ხვინჭა, ღორღი, ლოდები თიხნარ-ქვიშნარის შემავსებლით, ზოგან კაჭარ-კენჭნარი ქვიშის შემავსებლით, ზოგან მკვრივი კაჭარ-კენჭნარი, მკვრივი ქვიშები და თიხნარი. გეოლოგიური მონაცემების მიხედვით შეიძლება შეესაბამებოდეს **სგე-1, სგე-4** და **სგე-5**-ს.

ფენი 2 - თიხები, თიხნარები ღორღისა და ხვინჭის შემავსებლით. გეოლოგიური მონაცემების მიხედვით შეესაბამება **სგე-3**-ს.

ფენი 3 - ბაზალტები, ვულკანური ბრექჩიები და ინტრუზიული სიენიტები. გეოლოგიური მონაცემების მიხედვით შეიძლება შეესაბამებოდეს **სგე-6** და **სგე-7**-ს. სეისმოგეოლოგიური ჭრილები კარგ შესაბამისობაშია არსებულ გეოლოგიურ მონაცემებთან.

გეოლოგიური და გეოფიზიკური მონაცემების საფუძველზე თითოეული ჭრილისთვის შეფასდა კლდოვანი გრუნტების კატეგორია, რომელიც (ყველა ჭრილისათვის) საქართველოში მოქმედი ნორმების მიხედვით განისაზღვრა როგორც **I კატეგორია**, ხოლო საერთაშორისო ნორმების მიხედვით (IBC2006, ASCE7, Eurocode8) - გრუნტის **B კატეგორია**.

გამოყენებული ლიტერატურა

Ляховицкий Ф.М., Хмелевский В.К., Ященко З.Г. Инженерная геофизика. М.: Недра, – 1989, 252с.

В.Н.Никитин, Основы инженерной сейсмики, МГУ ,1981, 176с.

Огильви А.А. Основы инженерной геофизики. М.: Недра, 1990. – 501с.

Пузырев Н.Н., 1997 г., Методы и объекты сейсмических исследований. Введение в общую сейсмологию, Изд-во Сибирского отделения, РАН, 301 с.

Sheriff R. Geldart, 1995 Exploration Seismology, Cambridge University Press, 592 p.

6. მდ. ნატანების ხეობაში ნატანები ჰესი III საპროექტო ტერიტორიის სეისმური საშიშროების შეფასება

შესავალი

ანგარიშში წარმოდგენილია მდ. ნატანების ხეობაში ნატანების ჰესი III სამშენებლო ტერიტორიაზე ჩატარებული სეისმური საშიშროების შეფასების შედეგები.

საკვლევ ტერიტორია ასახულია ნახ.1-ზე.



ნახ.1. საკვლევი უბანი

სეისმური საშიშროების შეფასება

კვლევის მეთოდოლოგია

მსხვერპლის რაოდენობითა და დამანგრეველი მოქმედებით მიწისძვრა აღემატება ყველა სხვა ბუნებრივ კატასტროფას. კავკასიის რეგიონი სეისმური აქტიური ზონაა და თითოეული შენობა-ნაგებობისა თუ სხვა საინჟინრო პროექტის პირველ ეტაპზე უნდა განხორციელდეს დეტალური სეისმური საშიშროების შეფასება ლოკალური უბნისათვის. მიწისძვრის მოკლევადიანი ეფექტიანი პროგნოზირება, რაც სეისმური საფრთხისა და რისკის შეფასებაში გამოიხატება, ამოუხსნელ ამოცანად რჩება მსოფლიო სეისმოლოგიური საზოგადოებისათვის. გრძელვადიანი ალბათური პროგნოზი შედარებით კარგად არის დამუშავებული.

ანგარიშში წარმოდგენილია სეისმური საშიშროების შეფასების ალბათური მეთოდი, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა შემდეგი ეტაპების დეტალური ანალიზი:

- **მიწისძვრის კერის ზონების გამოვლენა, რღვევების სქემების შეფასება და პარამეტრიზაცია;**
- **მიწისძვრათა განმეორებადობის კანონზომიერებების განსაზღვრა;**
- **გრუნტის რხევის დაცხრომის მოდელების შეფასება;**
- **სეისმური საშიშროების ალბათური შეფასება შეფასება.**

რეგიონის გეოლოგიის ზოგადი მიმოხილვა

საქართველო მდებარეობს კავკასიაში, რომელიც ერთ-ერთ სეისმურად აქტიურ რეგიონს წარმოადგენს ალპურ-ჰიმალაურ კოლიზიის სარტყელში. როგორც ისტორიული ასევე ინსტრუმენტული მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ რეგიონი ხასიათდება ე. წ. საშუალო სეისმურობით, როდესაც ძლიერი მიწისძვრები მაგნიტუდით 7 და ეპიცენტრში მაკროსეისმური ინტენსივობით 9 ბალი (MSK სკალა) ხდება, 10^3-10^4 წლის განმეორადობით.

საქართველოში სეისმურობა ასახავს რეგიონის ძირითად ტექტონიკას, რომელსაც განაპირობებს არაბეთის ფილაქნის მოძრაობა ჩრდილოეთის მიმართულებით, რაც თავის მხრივ იწვევს თურქეთის და ირანის ფილაქნების გასხლეტვას შესაბამისად დასავლეთის და აღმოსავლეთის მიმართულებებით, კავკასიონის ქედის აღზევებას და ძირითადად შეცოცების ტიპის სეისმურად აქტიური რღვევების ფორმირებას (*Triep et al. 1995, McClusky et al. 2000, Bird 2003)*.

მიწისძვრის კერის ზონების გამოვლენა, რღვევების სქემების შეფასება და პარამეტრიზაცია

გეოლოგიური რუკა თანახმად (*Gamkrelidze 2005)* საკვლევი ტერიტორია მდებარეობს მცირე კავკასიონის ჩაძირვის ზონის აჭარა-თრიალეთის ქვეზონაში (ნახ. 2).



ნახ. 2. საქართველოს ძირითადი ტექტონიკური ზონები

კვლევისათვის გამოყენებული იქნა რღვევების სქემა შემუშავებული ე.გამყრელიძის მიერ (Gamkrelidze et. al. 1998) (ნახ.3).



ნახ.3. აქტიური რღვევების სქემა (Gamkrelidze et a. 1998)

რეგიონის სეისმურობა და მიწისძვრათა განმეორებადობის კანონზომიერებების განსაზღვრა

კვლევისთვის გაანალიზებული იყო ისტორიული და ინსტრუმენტული პერიოდის სხვადასხვა სეისმური კატალოგი: კავკასიის შესწორებული კატალოგი (მეცნ. აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტი, გამოუქვეყნებელი მასალა), მიწისძვრების სპეციალური კატალოგი, რომელიც დამუშავდა პროექტ GSHAP-ისთვის კავკასიის რეგიონისთვის (SCETAC), სადაც გამოყენებული იყო მიწისძვრები ჩვ.წ.აღ.-მდე 2000-დან 1993 წლამდე, ედიტორი იყო ნ.ვ.კონდოროვსკაია (*Balassanyan et al. 1999),* ჩრდილოეთ ევრაზიის მიწისძვრების კატალოგი (1995-1999 წლების), ძლიერი მიწისძვრების კატალოგი *(Kondorskaya, Shebalin 1982)*. ასევე საერთაშორისო კატალოგები (ISC, EMSC, IRIS) (ნახ.4).



ნახ.4. რეგიონის სეისმურობის რუკა

გრუნტის რხევის დაცხრომის მოდელების შეფასება

მიწისძვრის ეფექტი შეფასდა გრუნტის მაქსიმალური აჩქარებისათვის (PGA), კერძოდ, გრუნტის მაქსიმალური ჰორიზონტალური აჩქარება (PGA). გამოყენებული იქნა დაცხრომის ორი მოდელი (Smit et al 2000) და (Ambraseys et al. 1996).

კვლევის შედეგები

სეისმური საშიშროება შეფასდა გრუნტის მაქსიმალური ჰორიზონტალური აჩქარებისათვის 50 წელი დაბრუნების პერიოდისათვის 1,2,5 და 10% ალბათობებისათვის. მიღებული შედეგები მოცემულია ცხრილ 1-ში.

ცხრილი 1. მაქსიმალური აჩქარების მნიშვნელობები სხვადასხვა ალბათობებისათვის

ალბათობა (%)	1	2	5	10
მაქს.ჰორიზ.აჩქარება (g)	**0.29**	**0.27**	**0.24**	**0.21**

ინტენსივობის შესაფასებლად გამოყენებული იქნა შემდეგი ფორმულა:

$$I = 3.66\log(PGA) - 1.66,$$

სადაც I წარმოადგენს ინტენსივობას, ხოლო PGA - გრუნტის მაქსიმალური აჩქარება სმ/წმ^2 (*Gutenberg, B., Richter, C., 1942*).

აქედან გამომდინარე, ინტენსივობის მიხედვით საკვლევი ტერიტორია MSK64 სკალის მიხედვით მდებარეობს **8 ბალიან** ზონაში.

დასკვნა

ანგარიშში წარმოდგენილია მდ. ნატანების ხეობაში ნატანები ჰესი III სამშენებლო ტერიტორიაზე ჩატარებული სეისმური საშიშროების შეფასების შედეგები.

საკვლევ უბანზე სეისმური საშიშროება შეფასდა გრუნტის მაქსიმალური ჰორიზონტალური აჩქარებისათვის 50 წელი დაბრუნების პერიოდისათვის **1, 2, 5 და 10%** ალბათობებისათვის, რომელთათვისაც მიღებული იქნა შემდეგი მნიშვნელობები **0.29g, 0.27g, 0.24g და 0.21g**.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინტენსივობის მიხედვით საკვლევი ტერიტორია MSK64 სკალის მიხედვით მდებარეობს **8 ბალიან** ზონაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. *Adamia S., Zakariadze G., Chkhotua T., Sadradze N., Tsereteli N., Chabukiani A. and Gventsadze A., Geology of the Caucasus: A Review, Turkish Journal of Earth Sciences (Turkish J. Earth Sci.), Vol. 20, 2011, pp 489-544.*
2. Bius, Ye. I.; 1948: Seismic Conditions of the Trans-Caucasus, Parts I, II, III, Tbilisi, Acad. Sci. USSR, (in Russian).
3. Cornell A.; 1968: Engineering seismic risk analysis.Bull. Seism. Soc. Am., 58, 5, 1583-1606. .
4. *Harmsen, S., and A. Frankel (2001). Geographic deaggregation of seismic hazard in the United States, Bull. Seism. Soc. Am. 91, no. 1, 13–26.*

5. *Gamkrelidze, I., Giorgobiani T., Kuloshvili S., Lobjanidze G., Shengelaia G.; 1998: Active Deep Faults Map and the Catalogue for the Territory of Georgia. Bulletin of the Georgian Academy of Sciences, 157, N1, 80-85.*

6. *Gamkrelidze (editor), Gujabidze. 2003, Geological Map of Georgia scale 1:500000,*

7. *Geguchadze, Gvineria, Kalinina, Beridze, 1985. Geological map of the Khudoni high dam*

8. *Gutenberg, B., Richter, C., 1942. Earthquake magnitude, intensity, energy, and acceleration. Bull. Seism. Soc. Am. 32, 163–191.*

9. *Gutenberg, B., and Richter, C. F. [1944] "Frequency of earthquakes in California." Bulletin of the Seismological Society of America, Vol. 34, No.1, pp185–188.*

10. *Kondorskaya, N. V. and Shebalin N. V.; 1982: New Catalogue of the Strong Earthquakes of the USSR from Ancient times through 1977. World Data Center A, Colorado, USA.*

11. *McGuire, R. K. (1995). Probabilistic seismic hazard analysis and design earthquake: closing the loop, Bull. Seism. Soc. Am. 85, no. 5, 1275–1284.*

12. *McGuire, R. K. (2004). MNO-10, Seismic hazard and risk analysis, Earthquake Engineering Research Institute, 240 pp*

13. McClusky et al. (2000). Global Positioning System constraints on plate kinematics and dynamics in the eastern Mediterranean and Caucasus. Journal of Geophysical Research, vol 105, No B3, pp. 5695-5719.

14. Musson R.; 1999: Probapilistic seismic hazard maps for the North Balkan region.. Annali di Geofisica. vol. 42, N6, 1109-1124.

15. Javakhishvili Z., Varazanashvili O., Butikashvili N.; 1998: Interpretation of the macroseismic field of Georgia. Journal of Georgian Geophysical Society. Issue (A) Solid Earth, v. 3. 85-88.

16. Javakhishvili Z., T. Godoladze, M. Elashvili, T. Mukhadze and I. Timchenko, "The Tbilisi earthquake of April 25, 2002 in the context of the seismic hazard of Tbilisi urban area", Bolletino di geofizika: Teoricaed Applckata. vol 45, n.3, pp. 169-185, September 2004

17. Rogozhin E., G. Reisner, L. Iohanson. 2001. Estimation of the seismic potential of the Greater Caucasus and Apennines with different methods. Modern mathematical and geological models in applied geophysics. Publ. of selected scientific articles. editor V. Strakhov, Moscow, JIPE RAS, 279-300 (in Russian)

18. Smit P., Arzumznian V., Javakhishvili Z., Arefiev S., Mayer-Rosa D., Balassanian S., Chelidze T.; 2000: The Digital Accelerograph Network in the Caucasus. In: "Earthquake Hazard and Seismic Risk Reduction". Kluwer Academic Publishers. pp. 109-118.

19. (GNBC2009) Building norms and codes - earthquake-resisting design, 2009 (in Georgian)

20. Triep E., Abers G., Lerner-Lam A., Mishatkin V., Zakharchenko N. & Starovoit O. (1995). Active thrust front of the Greater Caucasus: The April 29 1991 Racha Earthquake sequence and its tectonic implications. Journal of Geophysical Research, v. 100, N133, 4011 – 4033.

21. Tskhakaia, A.D, Papalashvili, V.G; 1973: Seismic Conditions of the Caucasus, Metsniereba Publ. Hause, Tbilisi, (in Russian).

22. Ulomov, V. I. and L. S. Shumilina, 1998. Set of new maps for general seismic zoning of the territory of Russian Federation. Seismically Protected Construction. N4, 30-34 (in Russian

23. Ulomov V. I. and the GSHAP Region 7 Working Group; 1999: Seismic Hazard in Northern Eurasia. Annali Di Geofisica, Vol. 42, N6, 1023-1038.

24. Varazanashvili, O. PapalaSvili V, 1998; Reconstruction of Strong Earthquake Prarameters by Historical Data of XI-XIV CC. Georgia. Journal of Georgian Geophysical Society (A), Vol. 3, 77-84

25. Varazanashvili, O.; 1998: Earthquake Source Occurrence Zones of the Caucasus and Adjacent Areas. Journal of Georgian Geophysical Society (A), Vol. 3, 67-76.

26. Wells D. and Coppersmith K., 1994: New Empirical Relationships among Magnitude, Rupture Length, Rupture Width, Rupture Area, and Surface Displacement. Bulletin of the Seismological Society of America, Vol. 84, No. 4, pp. 974-1002.

7. სამშენებლო მასალები

საკვლევ რაიონში 1971-72 წლებში საპროექტო-საძიებო ინსტიტუტ „ჰიდროპროექტი“-ს სპეციალისტების მიერ შესწავლილი იქნა კაჭარ-კენჭნარების საბადოები მდ. ნატანების ხეობაში, სოფ. ვაკიჯვარის და სოფ. ცხემლისხიდის მიმდებარედ, რომლებიც გამოყენებული უნდა ყოფილიყო მდინარეების – ბახვისწყალის და ნატანების ენერგეტიკული გამოყენების სქემაში განსაზღვრული ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობისთვის (გრაფიკები 1, 2, 3).

მდ. ნატანების ხეობაში შესწავლილი კაჭარ-კენჭნარის საბადოებიდან ერთი განლაგებულია სოფ. ცხემლისხიდის, ხოლო მეორე სოფ. ვაკიჯვარის მიდამოებში. მასალის ხარისხით და კერძოდ ქვიშის მიხედვით, ორივე საბადო პასუხობს სტანდარტების მოთხოვნებს ჰიდროტექნიკური ნაგებობებისთვის ბეტონის მოსამზადებლად.

ქვიშის რაოდენობა (5მმ-ზე ნაკლები ფრაქცია) პირველ საბადოზე შეადგენს 18%-ს, ხოლო მეორეზე 27%-ს.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ მსხვილი ფრაქციის დამსხვრევა-დაფხვნით მიღებული ქვიშა და ღორღი სავსებით გამოსადეგი იქნება მშენებლობისთვის.

ალუვიური ნალექების სიმძლავრე 7-8 მეტრამდეა, ხოლო გრუნტის წყლების ჰორიზონტი განლაგებულია 1,5-2 მეტრ სიღრმეზე. საბადოს დამუშავება უნდა განხორციელდეს ღია მეთოდით.

გადაზიდვების მანძილი ნატანები ჰესი III შენობამდე, პირველისთვის 1-1,5 კმ-ია, ხოლო მეორესთვის 0,5 კმ.

მდ. ნატანების ჭალის კენჭნაროვანი გრუნტების საშუალო გრანულომეტრიული შედგენილობის მრუდები სოფ. ცხემლისხიდის და სოფ. ვაკიჯვარის საბადოებისთვის, მოცემულია დანართებში 1 და 2, ხოლო მდ. ნატანების ხეობაში მარცხენა ჭალისზედა ტერასაზე გამოკვლეული საბადოს (410 ნიშნულის მიდამოებში, ნატანები ჰესი III შენობამდე 0,2-0,5კმ-ია) მრუდი მოცემულია N3 გრაფიკზე.

მოთხოვნების შესაბამისად, სამშენებლოდ ასევე შესაძლებელია გამოყენებული (რეკომენდირებული) იქნას ამავე წლებში შერჩეული და გამოკვლეული, საპროექტო რაიონში გავრცელებული სიენიტების, პორფირიტების და ბრექჩიების კლდოვანი ქანები, რომლებიც სავსებით აკმაყოფილებენ საპროექტო ნორმებს მშენებლობისთვის.


სამშენებლო მასალების საბადოების განლაგების სქემა
ლიცენზირებული საბადო - 1
ლიცენზირებული საბადო - 2
სალიცენზიო საბადო - 3
სალიცენზიო საბადო - 2
სალიცენზიო საბადო - 1
252000
254000
256000
258000
260000
262000
264000
266000
268000
270000
4648000
4646000
4644000
4642000
4640000
4638000
4636000

საპროექტო ნაგებობებთან განლაგებული, უახლოესი ლიცენზირებული საბადოებიდან მოგვყავს ორი მათგანის მონაცემები:

1. **დვაბზუს ქვიშა-ხრეშის საბადო-1,** რომლის მდებარეობა უახლოესი საავტომობილო გზის ღერძიდან არ აღემატება 100 მეტრს. წიაღითსარგებლობის ობიექტის (საბადოს) რაიონის ხაზოვანი კოორდინატებია:

I უბანი		
1	254800	4647974
2	254689	4648004
3	254721	4648035
4	254960	4648097
5	254952	4647960
S=2,17ჰა V=65000მ ^{3}		
I I უბანი		
1	257159	4647014
2	257297	4646897
3	259312	4646914
4	257214	4647054
S=0,79ჰა V=23700მ ^{3}		
W GS 1984		

ობიექტის აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან 120-130 მეტრია.

წარმოდგენილი დანალექების მასალა კარგად არის დამუშავებული და ძირითადად წარმოდგენილია ვულკანოგენური ქანებით – სხვადასხვა სახის პორფირიტებით, სიენიტებით და დიორიტებით. ქვიშა -მცხვილ და საშუალომარცვლოვანია, რუხი ფერის და შედგება ვულკანური და დანალექი ქანების ნაწილაკებისგან (გრაფიკი 4, ლიცენზირებული საბადო 1 და 2-სთვის).

გრანულომეტრიული შედგენილობა, %-ში:
<5მმ - 17,7

5-10მმ - 13,8
10-20მმ - 9,4
20-40მმ -15,8
40-70მმ -28.6
>70მმ - 14.7
ფიზიკურ-მექანიკური თვისებები მოცემულია ქვემოთ:

ინერტული მასალის ნარევისთვის:

ხრეში: მოცულობითი წონა - 1670კგ/მ^3

ქვიშა: ნაყარის მოცულობითი წონა - 1372კგ/მ^3

საბადო წარმოდგენილია მეოთხეული ასაკის ალუვიური, კარგად დამუშავებული კაჭარით, კენჭნარით, ხრეშით და ქვიშით.

საინჟრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ტერიტორია მიეკუთვნება I, მარტივ კატეგორიას.

ნატანები ჰესი I საგენერატორო შენობიდან დაცილებულია 17კმ-ით.

2. დვაბზუს ქვიშა-ხრეშის საბადო-2.

წიაღითსარგებლობის ობიექტის (საბადოს) რაიონის ხაზოვანი კოორდინატებია:

N	X	Y
1	257011	4647361
2	256947	4647313
3	257002	4647260
4	257081	4647287
S=0,73ა		
W GS 1984		

ობიექტის აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან 120-130 მეტრია .

დანალექების გრანულომეტრიული შედგენილობა და ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები პირველი საბადოს ანალოგიურია და წარმოდგენილია კარგად დამუშავებული კაჭარით, კენჭნარით, ხრეშით და ქვიშით.

სამშენებლო მასალის მოსაპოვებლად შესაძლებელია გამოყენებული იქნას საპროექტო ობიექტთან გაცილებით ახლოს მდებარე, მდ. ნატანების ჭალისა და ჭალისზედა ტერასების ფარგლებშია მოქცეული, ამჟამად სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული ფართებია:

1. X-263620, Y-4643606, მარცხენა სანაპიროზე, ნატანები ჰესი I შენობიდან 2კმ-ში
2. X-262277, Y-4644360, მარცხენა სანაპიროზე, ნატანები ჰესი I შენობიდან 5კმ-ში
3. X-261632, Y-4644598, მარჯვენა სანაპიროზე, ნატანები ჰესი I შენობიდან 6,5კმ-ში.

გრანულომეტრიული შედგენილობა ,,ჰიდროპროექტი“-ს მიერ დაძიებული საბადოების მონაცემების ანალოგიურია.

დანართი 1

კაჭარ-კენჭნარების გრანულომეტრიული შედგენილობის გრაფიკი



კაჭარ-კენჭნარების გრანულომეტრიული შედგენილობის ცხრილი

სინჯის აღების ადგილი	სინჯის აღების სიღრმე, მ	ნაწილაკთა შემცველობა, %														ჯამური გრანულომეტრიული შედგენილობა					
